თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
სახელმწიფო უნივერსიტეტი

შალვა ნათენაძე

ეკონომიკური კანონები
და
სამეურნეო მექანიზმი

თბილისი 1988

33.04
65.01
33
6 155

შრომაში განხილულია ობიექტურად მოქმედი ეკონომიკური კანონები და მათი ფუნქციონირების სპეციფიკურობა და თავისებურებანი. საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, ნაჩვენებია ამ კანონების მეცნიერული შემეცნების ისტორიული ეტაპები,მათი მოქმედების მექანიზმი და ამ უკანასკნელის გამოყენების თავისებურებანი განვითარებული სოციალიზმის სამეურნეო პრაქტიკაში, მიცემულია საზოგადოებრივი წარმოების პროცესებზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების ფორმებისა და მეთოდების დასაბუთების ცდა; გაანალიზებულია მისი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები.

შრომა განკუთვნილია სტუდენტებისა და პოლიტიკური ეკონომიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი დოც. მ. ქისტაური.

რეცენზენტები: ა. ხ. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრა, დოცენტები გ. ჭინჭარაული და მ. ძიძიშვილი

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1983

Н 10/01
М 608(06)-83

შესავალი

კომუნისტური ეკონომიკის მშენებლობაში პარტიის სამეურნეო პოლიტიკისა და მასთან ერთად სამეურნეო მექანიზმის შემუშავებაში ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი პუნქტია საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების კანონების შეცნობა და მათი მოქმედების მექანიზმის სწორი გამოყენება, რაც განსაკუთრებული აქტუალობით გამოირჩევა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში. საერთოდ, საზოგადოების განვითარების სისტემაში განმსაზღვრელი და წამყვანი ადგილი უკავია ეკონომიკურ კანონებს, ვინაიდან რამდენადაც ღრმამეცნიერულია მათი შემეცნების დონე, იმდენად ეფექტიანია მათი მოქმედების მექანიზმის გამოყენება და სწრაფია სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპებიც.

წარმართავს რა საზოგადოების განვითარებას ეკონომიკური კანონების მოთხოვნების შესაბამისად, კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით, რომელშიც ჩამოყალიბებულია საზოგადოებრივი წარმოების კვლევა-ძიების ნამდვილად მეცნიერული მეთოდოლოგია, და მასზე დაყრდნობით შეიმუშავებს ერთიან სამეურნეო პოლიტიკას და ასაბუთებს სამეურნეო მექანიზმს, რომლებშიც ასახულია სოციალისტური ეკონომიკის კომპლექსური განვითარების ძირითადი ასპექტები და მათი განხორციელების კონკრეტული მეთოდები და გზები.

საერთოდ, მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაში საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ თეორიას განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი აღმოცენდა და დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბდა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის მატერიალისტური გაგების ნიადაგზე. კერძოდ, მეცნიერული კომუნიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის კ. მარქსის მიერ ისტორიის მატერიალისტური გაგების აღმოჩენამ დასაბამი მისცა საზოგადოებრივი წყობილების შინაგანი ბუნების ღრმამეცნიერულ ახსნა-განმარტებას და მისი შემდგომი განვითარების კანონების შეცნობას, რომელზე დაყრდნობით მოხდა წარმოებითი ურთიერთობების შე-

მდგოსი თანამიმდევრული შესწავლა და გარკვა საწარმოო ძალებისადმი მისი შესაბამისობის საზოგადოებრივი ფორმა და გამოვლინება მისი ადგილი და როლი საერთო საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში. ყოველივე ამან წარმოებითი ურთიერთობა წარმოადგინა როგორც ბაზისური შინაარსის მქონე ურთიერთობა, რაც განაპირობებს შესაბამის საზედნაშენო ურთიერთობების აღმოცენებასა და განვითარებას.

როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები გვასწავლიან, საზოგადოებრივი პროცესების გარდაქმნის მატერიალისტური გაგება არის მისი მეცნიერული გაანალიზების ამოსავალი პუნქტი, რომელზე დაყრდნობით პარტია, შეიცნობს რა სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის ეკონომიკურ კანონზომიერებებს, შეიმუშავებს სახალხო მეურნეობის განვითარების ისეთ მეთოდებსა და ფორმებს, რომელთა გამოყენებაც აჩქარებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას. ცხადია, რომ ამ ურთიერთობათა სისტემაში ისტორიის მატერიალისტური გაგების საფუძველზე სოციალისტური საზოგადოებრივი წარმოებაც განიხილება როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესი..

ეყრდნობა რა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, კომუნისტური პარტია სწავლობს და აანალიზებს სახელმწიფოს შიგნით კლასობრივ სტრუქტურას, ავლენს მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების ხასიათს, განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების მიმართულებასა და სპეციფიკურობას, რათა სამეურნეო პოლიტიკაში ნათლად აისახოს მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის საზოგადოებრივი ყოფიერება და მათი როლი კომუნისტურ მშენებლობაში.

საზოგადოებრივი წარმოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური კანონების მოქმედების მექანიზმის გამოყენებას კომუნისტური პარტია ორგანულად უკავშირებს მშრომელი მასების შეგნებაზე, ნებაყოფლობით საქმიანობას, რაც გზას უკაფავს მილიონობით ადამიანთა შემოქმედებით ინიციატივას. აანალიზებს რა მილიონიანი მშრომელი

მასების საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისადმი დამოკიდებულების სოციალისტურ ფორმას, სამეურნეო მექანიზმი იგი შეიმუშავებს და პრაქტიკულად განახორციელებს მატერიალური და მორალური სტიმულების გამოყენების პრინციპებს, ორგანულად უთავსებს მას კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე მოთხოვნებს.

დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ახალ სამეურნეო სისტემაზე გადასვლა მოგვევლინა როგორც ახალი ეტაპი საზოგადოებრივი განვითარების ეკონომიკური კანონების შემეცნებასა და მათი მოქმედების მექანიზმის გამოყენებაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისშემდგომი /1964/ პლენუმების დადგენილებებსა და პარტიის XXIV, XXV და XXVI ყრილობების გადაწყვეტილებებში ნათლად აისახა ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა შესაბამისად ეკონომიკის განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების შემუშავების ობიექტური აუცილებლობა, რომელშიც მთავარ ამოცანად წარმოდგა მშრომელი მასების სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილება და საზოგადოების თითოეული წევრის თავისუფალი ყოველმხრივი განვითარება.

ჩვენი საზოგადოების ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა წინა პლანზე წამოწევამ აუცილებელყო საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საკითხის არა მარტო დაყენება, არამედ მისი დადებითად გადაწყვეტის აუცილებლობაც. სწორედ ამ მიმართულებას დაექვემდებარა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის დადგენილება "დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ".

კერძოდ, ამ დადგენილებაში განსაზღვრულია ის ამოცანა, რომლის გადაწყვეტამაც უნდა უზრუნველყოს თანამედროვე ეტაპის – განვითარებული სოციალიზმის – მოთხოვნათა შესაბამისად სახალხო მეურნეობის დაცალკეული დარგების ღრმამეცნიერულ საფუძველზე დაგეგმვისა და მეურნეობ-

რიობის დონის გაუმჯობესება, რათა მიღწეულ იქნას საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და მის ნიადაგზე ქვეყნის ეკონომიკისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ზრდა.

ცხადია, ყოველივე ეს შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებრივი წარმოების პროცესების მეცნიერულ საწყისებზე მართვით, რაც განპირობებულია ჩვენი საზოგადოების განვითარების კანონების ღრმამეცნიერული ანალიზის ბაზაზე, ეკონომიკური პოლიტიკისა და სამეურნეო მექანიზმის დასაბუთებით. ეს უკანასკნელი კი ისეთი რთული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა, რომ მისი მეცნიერული დასაბუთება საკმარისი არ არის საზოგადოებრივი წარმოების პროცესების ეფექტიანი მართვისათვის. ამ ურთიერთობათა სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო, ორგანიზაციული და შრომის დისციპლინის შესახებ საკითხების სათანადო დონეზე გადაჭრას. კერძოდ, პარტიის XXV და XXVI ყრილობებზე აღინიშნა, რომ ახლა, როდესაც მატერიალურად შექმნილია თითქმის ყველა პირობა თანამედროვე ხუთწლედების მთავარი ამოცანის დადებითად გადაჭრისათვის, მისი პრაქტიკული განხორციელების საქმეს წყვეტს თვით მატერიალური წარმოების ორგანიზაცია და მილიონიანი მშრომელი მასების დარაზმულობა, შრომის დისციპლინის განმტკიცება და გაღრმავება.

წინამდებარე შრომა არ ისახავს პრეტენზიას დასმული საკითხების სრულად გადაწყვეტაში. მასში განსაკუთრებულადაა ხაზგასმული იმ ურთიერთობათა განვითარება, რომლებიც აღმოცენდა და ჩამოყალიბდა სოციალიზმის ბუნებიდან და ამიტომ ისინი განიცდიან კომუნისტურ ურთიერთობებში თანამიმდევრულ გადასვლას, გადაზრდასა და გარდაქმნას. მასთან ერთად ნაჩვენებია იმ ურთიერთობათა თანდათანობითი შესუსტება და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან შესაბამისი განდევნა, რომლებიც სოციალიზმს შემორჩა მემკვიდრეობით და გამოყენება მატერიალური წარმოების კომუნისტურად გასაზოგადოების პროცესების დაჩქარების მიზნით.

1. ეკონომიკური კანონები და მათი მოქმედების ხასიათი

ბუნება, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს და მოღვაწეობს, მდიდარია მრავალფეროვნებით, სხვადასხვა თავისებურებებით, სპეციფიკურობითა და სხვა ნიშან-თვისებებით. მაგრამ ყოველივე ეს რამდენიმე ათასეული საუკუნეების მანძილზე თვით ადამიანისათვის უცნობი და გაურკვეველი იყო, ვინაიდან ბუნებრივი და საზოგადოებრივი მოვლენები მის წინაშე წარმოდგებოდა როგორც უხილავი ძალის მოქმედების შედეგი. ამიტომ საუკუნეების მანძილზე ეს მოვლენები აღიწერებოდა მათი მოძრაობის ზედაპირული სახით, რომელთა მოძრაობის შინაგანი ბუნების სათანადო დონეზე ახსნა-განმარტება ადამიანებმა დაიწყეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ცხოვრებამ წარმოაყენა მისი გაანალიზების ობიექტური აუცილებლობა. მაგ., კაცობრიობის არსებობის მთელი წლების მანძილზე ადამიანებმა იცოდნენ, რომ მზე ამოდის და ჩადის, მაგრამ თუ როგორია მზესა და დედამიწას შორის, ან მზესა და სხვა ციურ პლანეტებს შორის ურთიერთდამოკიდებულება, ამის გააზრება მათ დაიწყეს მხოლოდ მაშინ, როდესაც განვითარება პოვა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის დამყარებამ, კერძოდ, ვაჭრობის, მიმოსვლისა და ნაოსნობის განვითარებამ.

ბუნებრივ მოვლენათა ზედაპირული ფორმების აღწერიდან მათი მოძრაობის კანონების აღმოჩენამდე მრავალმა ათასმა წელმა განვლო, რომლის განმავლობაშიც თვით ადამიანთა საზოგადოებამ მრავალმხრივი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილება განიცადა. ამ უკანასკნელმა კი ბუნებაში და საზოგადოებაში მომხდარი გარდაქმნების ახსნა-განმარტებათა აუცილებლობა დააყენა. ამიერიდან ის, რაც მილიონი წლების მანძილზე ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი იყო, თანდათანობით მეცნიერების ჩარჩოებში მოექცა და ამიტომ როგორც სამყაროში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც მრავალფეროვნების, თავისებურებებისა და სპეციფიკურობის შიგნით ბუ-

ნებათა გამოვლინების საიდუმლოება მარადიული რჩევის საგნად გადაიქცა, რამაც შემდგომში საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებებში რევოლუციური გადატრიალება მოახდინა.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ასეული წლების მანძილზე ბუნებისა და საზოგადოებრივი მოვლენების კვლევა-ძიება მიმდინარეობდა ზედაპირული ფორმით, რამაც, კერძოდ, ვერ უზრუნველყო მათი არსის სრული სახით გამოვლინება, მაინც დადგინდა, რომ მოვლენის მოძრაობის ზედაპირული ფორმა არ შეიძლება დაემთხვეს და არც ემთხვევა მისი სინამდვილის შინაგან ბუნებას, მის არსს.

არსი, როგორც მოვლენის შინაგანი ბუნება, რასაკვირველია, თავისთავად არ არსებობს, ე.ი. მისი დამოუკიდებელი არსებობა და მოძრაობა ბუნებრივად შეუძლებელია. იგი ვლინდება ბუნების ყოველდღიურ მოძრაობასა და ადამიანთა საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგრამ მისი გამოვლინების ფორმა სხვა არა არის რა, თუ არა მოვლენა. მიუხედავად ამისა, მისი მოძრაობის სპეციფიკურობა და მეცნიერული გაანალიზების სირთულე ის არის, რომ არსი მოვლენათა მიმდინარეობაში სრულად არ ვლინდება. ასახავს რა საგნის, მოვლენის ან პროცესის ყველაზე საერთო, მტკიცე და ღრმა თვისებებს, იგი თავის გამოვლინებას პოულობს ბუნებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ფორმებში, რომელთა მიღმაც თვით არსია მოქცეული.

ბუნებრივი და საზოგადოებრივი მოვლენების ღრმამეცნიერული ანალიზი აჩვენებს, რომ არსი მოვლენის მოძრაობის შინაგანი ბუნებაა, ხოლო თვით მოვლენა კი—არსის მოძრაობის ზედაპირული ფორმაა. აქ მეცნიერებას საქმე აქვს არა მარტო ერთ და იმავე მოვლენის მოძრაობის ორ საფეხურთან /ზედაპირული და შინაგანი/, არამედ ერთ და იმავე მოვლენის [illegible] შემეცნებასთანაც /ემპირიულიდან სიღრმისეულისაკენ/.

საერთოდ, ბუნებრივი ან საზოგადოებრივი მოვლენის ემპირიული შემეცნება აღწერს მხოლოდ მისი მოძრაობის ზედაპირულ მხარეს, ხოლო იგივე მოვლენის სიღრმისეული შემეცნება – მისი მოძრაობის შინაგან ბუ-

ნებას. ეს უკანასკნელი კი არის საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკური მოვლენების, კანონებისა და კატეგორიების შესწავლის, გაანალიზებისა და ახსნა-განმარტების ამოსავალი პუნქტი. კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლები, მიხვდნენ რა კვლევა-ძიების ამ ობიექტურ აუცილებლობაში, შეეცადნენ, საზოგადოებრივი მოვლენების შესწავლისას გაერკვიათ მათი შინაგანი ბუნება, რათა აეხსნათ თითოეული მათგანის არსი და გადმოეცათ მოვლენათა მოძრაობის სისტემა, ე.ი. შეექმნათ ისეთი მეცნიერება, რომელიც ასახავდა მოვლენათა განსაზღვრებებს კატეგორიებისა და კანონების სახით, მათ შორის შინაგანი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზის ბაზაზე.

ის საკითხი, რომ მოვლენების მოძრაობის ზედაპირული ფორმა მის შინაგან ბუნებას, ე.ი. მის არსს, არ ემთხვევა, ადამიანთა საზოგადოების განვითარებასთან ერთად სულ უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, რამაც მოვლენათა ზედაპირულ კვლევა-ძიებას მათი შინაგანი ბუნების ახსნა-განმარტება დაუპირისპირა. მაგრამ ამ მიმართებით როგორც საბუნებისმეტყველო, ისე საზოგადოებრივი მეცნიერებების წინსვლა აშკარად ფერხდებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ თავის დროზე ზოგიერთი წამყვანი მეცნიერის /მაგ., ი. კანტის/ ვაგუბით, ადამიანს თითქოს არ ძალუძს მოვლენის შინაგანი ბუნების, ე.ი. მისი არსის, შემეცნება და ახსნა-განმარტება. ამიტომ, როგორც მათ მიაჩნდათ, ადამიანი უნდა კმაყოფილდებოდეს მოვლენათა ზედაპირული ფორმების მხოლოდ აღწერით.

საკითხის ასეთი გაგება კი ბუნებისა და საზოგადოების მოძრაობის კანონებს სტოვებს შემეცნების გარეშე. როგორც შემდეგში გაირკვა, სწორედ მოვლენისა და არსის ურთიერთდამოკიდებულება გადაიქცა პირველ და გადამწყვეტ მიზეზად საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერებების შემდგომი განვითარებისა, რადგან, როგორც ეს სრულიად სამართლიანად იყო კ. მარქსის მიერ შენიშნული: "...ყოველი მეცნიერება ... ზედმეტი იქნებოდა, თუ გამოვლინების ფორმა და საგანთა არსი უშუალოდ ერთმანეთს დაემთხვეოდნენ"[1].

---

[1] კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, გვ. 445.

ადამიანთა საზოგადოების ცხოვრების სინამდვილე არის ყოველი ცალკე აღებული მეცნიერების შემდგომი განვითარების ყოფიერება. საკითხი იმის შესახებ - ემთხვევა თუ არა მოვლენა არსს, ან შესაძლებელია თუ არა არსის შეცნობა და გამოვლინება – წყდება არა რომელიმე პიროვნების სქოლასტიკური მტკიცებით, არამედ ადამიანთა საზოგადოების პრაქტიკული ცხოვრების ღრმამეცნიერული /ყოველმხრივი/ ანალიზით. სწორედ პრაქტიკული ცხოვრების სინამდვილეზე დაყრდნობით პიროვნება მიიწევს წინ – მოვლენიდან არსისაკენ, რათა შეიცნოს ზედაპირზე მოძრავი ფორმა, გაანალიზოს იგი და გადმოსცეს მისი შინაგანი ბუნება. ე.ი. მხოლოდ მოვლენიდან არსისაკენ მიმავალი გზითაა შესაძლებელი პრაქტიკული ცხოვრების სინამდვილის შინაგანი სოციალურ-ეკონომიკური ბუნების შემეცნება და მისი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ახსნა-განმარტება. როგორც ფ.ენგელსი ლაპარაკობს, ანალიზის ეს პროცესი არის მოვლენიდან არსისაკენ და უფრო ნაკლებად სიღრმისეულიდან უფრო მეტად სიღრმისეული არსისაკენ სვლის პროცესი[1].

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების შემეცნების ეს პროცესი მეცნიერული თვალსაზრისით ერთადერთია, რაზე დაყრდნობითაც მკვლევარი არკვევს დამოუკიდებლად მოქმედ მოვლენებს შორის შინაგან ურთიერთკავშირებს და მათი ზედაპირული მოძრაობის სხვადასხვა ფორმებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, ე.ი. შემეცნების ეს პროცესი ბუნების მოძრაობის კანონების ან საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონების შემეცნების პროცესია და ამიტომ იგი ბუნებრივი ან საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოვლენების შემეცნების პროცესიცაა.

როგორც წესი, საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოვლენები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით, მოქმედებითა და სპეციფიკურობით, რაც ვლინდება იმაში; რომ მათგან ერთი

---

[1] К.Маркс и Ф.Энгельс.Соч.,т.29,с.203.

ჯგუფი შედეგობრივი მნიშვნელობისაა, მეორე კი-მიზეზობრივი, ან ერთი ჯგუფი უფრო ზედაპირული ხასიათისაა, ვიდრე მეორე, ან ერთი ჯგუფი ნაკლებად სიღრმისეულია, ვიდრე მეორე და ა.შ. ამიტომ ერთი მოვლენის შინაგანი ბუნების გამოვლინებით შესწავლა არ წყდება, პირიქით, მასზე დაყრდნობით მიმდინარეობს უფრო სიღრმისეული არსის შესწავლა და მისი მეცნიერული განზოგადება.

თავისებურება იმაშიც გამოიხატება, რომ ერთი მოვლენის შინაგანი ბუნების მეცნიერული შესწავლა ყოვლად შეუძლებელია მასთან ურთიერთკავშირში მყოფი მოვლენების შინაგანი ბუნების შესაბამისი დონით ახსნა-განმარტების გარეშე. მაგრამ მოვლენათა სისტემაში ამოსავალი პუნქტი თუ არ გამოინახა, პრაქტიკულადაც და თეორიულადაც მათი შინაგანი ბუნების შესწავლა და ამის საფუძველზე მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლინება ყოვლად შეუძლებელია.

ისიც უნდა გვქონდეს მხედველობაში, რომ ეკონომიკური მოვლენების, კანონებისა და კატეგორიების ერთდროული შემეცნება შეუძლებელია, ვინაიდან საზოგადოებრივი წარმოება არ შედგება ერთი მოვლენისაგან, მისი განვითარება არ ემყარება ერთ კანონს და მისი ურთიერთობა არ აისახება ერთ კატეგორიაში, და რამდენადაც იგი ეკონომიკური მოვლენების, კანონებისა და კატეგორიების ერთობლიობის სისტემაა, რომელშიც ყოველი მათგანი მტკიცე განსაზღვრულ ფუნქციას ასრულებს, იმდენად საზოგადოებრივი წარმოების მეცნიერული შესწავლა უნდა მიმდინარეობდეს ლოგიკური თანამიმდევრობით, რათა მოცემული სისტემა წარმოდგეს სრულყოფილად. რასაკვირველია, ასეთი რთული სისტემის კვლევა-ძიება მის ყოველმხრივობაში ერთი მკვლევარისათვის ბუნებრივად შეუძლებელია.

ჰქონდა რა ყოველივე ეს მხედველობაში, ვ.ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტური საზოგადოებრივი წარმოებისას თითოეულ საქონელმწარმოებელს გარკვეული ცვლილება შეაქვს ტექნიკის განვითარებაში, რის შედეგადაც თითოეული მათგანი თავისდაუნებურად ამა თუ იმ სახით ცვლის საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებს, მაგრამ "ყველა ამ ცვლილებათა ჯამს მთელი მი-

სი გამოკვლევით კაპიტალისტურ მსოფლიო მეურნეობაში 70 მარქსიც ვერ გაართმევდა თავს. მთავარი ისაა, რომ აღმოჩენილია ამ ცვლილებათა კანონები, ნაჩვენებია მთავარ ხაზებში და ძირითადად ამ ცვლილებათა და მათი ისტორიული განვითარების ობიექტური ლოგიკა"[1]. მაშასადამე, ერთი მკვლევარისათვის შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებრივ წარმოებაში ცვლილებათა კანონების აღმოჩენა და მათი ისტორიული განვითარების ობიექტური ლოგიკის ჩვენება, რაც გააკეთა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელმა კ. მარქსმა.

თეორიულად საზოგადოებრივი მოვლენების, ეკონომიკური კატეგორიებისა და კანონების ახსნა-განმარტება და ერთ მთლიან სისტემად გადმოცემა შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ გამოიყენა კვლევა-ძიების ახალი მეთოდი, რომლის დახმარებითაც პირველ რიგში გაანალიზებულ იქნა მეტად მარტივი და მეტად გავრცელებული ეკონომიკური კატეგორიები. ასე, მაგ., კ. მარქსმა კაპიტალისტური წარმოების ანალიზი დაიწყო საქონლით, რომელიც ბურჟუაზიული საზოგადოების ურთიერთობათა სისტემაში ყველაზე მარტივი, ყველაზე გავრცელებული და ყველაზე ელემენტარული ეკონომიკური კატეგორიაა, რომლის თანმიმდევრული განვითარებაც ითვისებს შესაბამისად რთულ ეკონომიკურ ურთიერთობებს და დასრულებული სახით წარმოადგენს ერთიან მთლიან სისტემას. ამიტომ კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში იგი ცნობილია როგორც "ეკონომიკური უჯრედი".

მივდივართ რა შემეცნების ამ გზით, უნდა აღვნიშნოთ, რომ კანონების არსის ახსნა-განმარტება ნიშნავს ცალკეულის მიგნით აუცილებელი კავშირების გამოაშკარავებას, ამ კავშირებს შორის ცვლილებათა ობიექტური ლოგიკის ჩვენებას. კერძოდ, ამ კანონის შემეცნება არის მოვლენის არსის გამოვლინება, მისი შინაგანი ბუნების გაგება, მოვლენის სიღრმისეული შესწავლა. მიუხედავად ამისა, კანონი მოვლენასთან შედარებით ღარიბია, რადგან მოვლენა ვლინდება მრავალსახეობაში, განსაკუთრებულობათა სიმდიდრეში. კანონი კი მხოლოდ მისი ასახვაა. როგორც წესი, ყოველი ასახვა კი არასრულია. ამიტომ ვ. ი. ლენინი შენიშნავს, რომ მოვლენა უფრო მდიდარია, ვიდრე კანონი.

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 14, გვ. 413

ბუნებაშიც და საზოგადოებაშიც მოქმედებს უმდაბლესი და უმაღლესი ფორმის კანონები. მაგ., საზოგადოების განვითარების კანონები თავიანთი შინაგანი ბუნებით შედარებით უმაღლესი ფორმის კანონებია, ვიდრე მატერიალური ნაწილების ერთი ცალკე აღებული დარგის განვითარების კანონი. ბუნებაში ბიოლოგიური ცხოვრების კანონები უფრო სიღრმისეული კანონებია, ვიდრე ფიზიკის ან ქიმიის სპეციფიკური კანონები. ამიტომ ამ კანონების ერთმანეთში არევა, ან ურთიერთგადაყვანა ყოვლად დაუშვებელია, ვინაიდან თითოეული მათგანი საზოგადოების ცხოვრების ან მატერიის მოძრაობის სპეციფიკურობის გამომხატველია. ბუნებრივი და საზოგადოებრივი კანონების ამ იერარქიაში უმდაბლესი ფორმის კანონები ნაკლებად რთულია, ხოლო უმაღლესი ფორმის კი, პირიქით, ნაკლებად მარტივი. აქედან ცხადია, რომ ნაკლებად მარტივი კანონების ახსნა შეუძლებელია მხოლოდ ნაკლებად რთული კანონების კვლევა-ძიებით. მეცნიერებაში მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი ადამიანთა საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპის გაანალიზება და მისი ღრმამეცნიერული გადმოცემა. მაგ., კაპიტალისტური საქონელწარმოების შინაგანი ბუნების ახსნა-განმარტების მიზნით კ. მარქსმა მისი კვლევა-ძიება დაიწყო ღირებულების კანონით და მასთან დაკავშირებული ურთიერთობებით, და კვლევის ამ გზაზე, სანამ იგი მივიდოდა ბურჟუაზიული საზოგადოების აბსოლუტურ კანონამდე, მან აღმოაჩინა მრავალი ეკონომიკური კანონი, რომელთა ფუნქციონირებაც და მოქმედების მიზანდასახულობაც განპირობებულია ამ უკანასკნელი კანონის მოთხოვნებით.

ცხადია, ეკონომიკურ კანონთა ამ ურთიერთდამოკიდებულებაში შუალედური ეკონომიკური კანონები ზემოქმედებას ახდენენ ბურჟუაზიული საზოგადოების ძირითად ეკონომიკურ კანონზე, მის მოქმედებაზე, ხასიათსა და სპეციფიკაზე. ე. ი. ამ ურთიერთობათა სისტემაში მათი ფუნქციონირება არ არის პასიური, პირიქით, ისინი გარკვეულწილად აქტიურებენ ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედებას.

ამასთან ერთად ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ განვითარებული ორგანიზმის, როგორც ერთი მთლიანის, შესწავლა რამდენადმე ადვილია, ვიდრე ამ ორგანიზმის ცალკეული უჯრედისა. მაგრამ რამდენადაც უკვე გაზიარებულია

განვითარებული ორგანიზმი, იმდენად დიდია შესაძლებლობა მის მიღმა შედარებით განუვითარებელი ორგანიზმებისა და უჯრედების თეორიული და პრაქტიკული გაგებისა. ადამიანის ანატომია, - წერს კ. მარქსი, - მაიმუნის ანატომიის გასაღებია[1].

სწორედ "ადამიანის ანატომიის" მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი შეიქნა ბურჟუაზიული ეკონომიკის მიღმა არსებული საზოგადოების ყველა იმ დაღუპული ფორმების სტრუქტურისა და წარმოებითი ურთიერთობების შესწავლა, რომელთა ნანგრევებზეც იგი აღმოცენდა. ამ გაგებით ბურჟუაზიული ეკონომიკის გაანალიზება ანტიკური საზოგადოებრივი წყობილების შემეცნებაცაა. ე. ი. ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონების შინაგანი ბუნების ახსნა-განმარტება არის ანტიკური საზოგადოების შემეცნების ერთ-ერთი უტყუარი საშუალება, რასაც კ. მარქსმა მიაღწია "კაპიტალში". ამიტომ ერთი ცალკე აღებული ეკონომიკური კანონი სხვა კანონების ან მოვლენების გარეშე არ არსებობს, ვინაიდან იგი არსებობს მხოლოდ როგორც მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლინების საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაგანსაზღვრულობა, როგორც მისი მოძრაობის აუცილებლობა და შედეგი.

ამავე დროს ბურჟუაზიული ეკონომიკის შინაგანი ბუნების გაგება არის კომუნისტური წარმოებითი ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების კანონზომიერებათა ახსნა-განმარტების მეცნიერული გასაღები, ვინაიდან მხოლოდ ამ მიზნითაა შესაძლებელი მუშათა კლასის, პროლეტარიატის ისტორიული მისიის დასაბუთება და მისი სოციალისტური რევოლუციის ჰეგემონად, ე. ი. კაპიტალიზმის მესაფლავედ, აღიარება. ამიტომ არსებულის /აწმყოს/ გაანალიზება არის არა მარტო წარსულის შემეცნება, არამედ იგი არის მომავლის, ე. ი. ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში ხვალინდელი დღის მეცნიერული ახსნა-განმარტებაც. მაგ., გაიგო რა კაპიტალისტური საზოგადოების შინაგანი ბუნება, კ. მარქსმა გვიჩვენა მისი რევოლუციური გარდაქმნის კონკრეტული გზები, რომლითაც შეიარაღა მუშათა კლასი და მოუწოდა მისი პრაქტიკული განხორციელებისათ-

---

[1] К.Маркс и Ф.Энгельс. Соч., т. 46, ч. I, с. I25.

ვის ბრძოლისაკენ. ამიერიდან "რეკავს კაპიტალისტური საკუთრების უკანასკნელი საათი. ხდება ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია"[1]. მართალია, კაპიტალისტური კერძო საკუთრების ერთიან კომუნისტურ საკუთრებად გარდაქმნის პროცესი დაკავშირებულია ისტორიულად ხანგრძლივ და მეტად მძიმე პერიოდებთან და პრობლემებთან, მაგრამ რამდენადაც ამ პროცესის გზები თეორიულად უკვე დასაბუთებულია, იმდენად მისი პრაქტიკული ექსპროპრიაცია შედარებით ადვილია.

კანონი საერთოდ მეცნიერული შემეცნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კატეგორიაა. ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების მოძრაობის კანონთა შემეცნების შედეგად მიმდინარეობს სინამდვილეში. მოვლენის სიღრმისეული, აუცილებელი და არსებითი კავშირების გამოვლინება, მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაგება და გამოაშკარავება. ეკონომიკური კანონების ცოდნა აადვილებს ადამიანთა საზოგადოების განვითარების და ცხოვრებისეული მოვლენების მოძრაობის საერთო მიმართულების შემეცნებასა და მის მიხედვით მატერიალური წარმოების პროცესების წარმართვას. მაგრამ, როგორადაც არ უნდა იყოს ეკონომიკური კანონი გააზრებული, ცოდნა მის შესახებ შეფარდებითია, არასრულია, რადგან ეკონომიკური კანონი სინამდვილეში და ეკონომიკური კანონი მკვლევარის მიერ თეორიულად ასახული მეცნიერული გაგებით სხვადასხვა კატეგორიებია. ამას განაპირობებს ისიც, რომ ეკონომიკური კანონი სინამდვილეში ობიექტურად მოქმედი რეალობაა, ხოლო კანონი ასახვაში - ობიექტურად მოქმედი რეალობის სარკეა, რომელიც მას გადმოსცემს როგორც სინამდვილის არსებით კავშირებს, მაგრამ იმ ფორმით, როგორითაც მკვლევარის თავში იგი აღიბეჭდა. აღიქვამს რა რეალურად არსებულ მოვლენებს, მეცნიერება განაზოგადებს მას და ჩამოაყალიბებს /გადმოსცემს/ სრულ შესაბამისობაში. ობიექტურად მოქმედი კანონის აღმოჩენა, მისი თეორიულად ჩამოყალიბება და განსაზღვრა დამოკიდებულია საზოგადოებრივი წარმოების ყოველმხრივ ღრმამეცნიერულ ანალიზზე, ვინაი-

---

1 კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 957.

დან ეს უკანასკნელი მკვლევარისათვის საზოგადოებრივი წარმოების ყველა საიდუმლოების, მისი შინაგანი ბუნების ამოხსნის უტყუარი გზაა.

აქვს რა მხედველობაში ყოველივე ეს, ავტორთა კოლექტივმა კატეგორია "კანონის" ცნება ასე ჩამოაყალიბა: კანონი არის მოვლენათა შინაგანი არსებითი კავშირი, რომელიც განპირობებულია მათი აუცილებელი განვითარებით. იგი გამოხატავს მატერიალური ობიექტების მოვლენებსა და თვისებებს შორის მიზეზობრივი, აუცილებელი და მტკიცე კავშირის განსაზღვრულ წესრიგს, განმეორებად არსებით ურთიერთობებს, რომელთა პირობებშიც ერთი მოვლენის ცვლილება იწვევს მეორის საკმაოდ განსაზღვრულ ცვლილებას[1].

გამოვდივართ რა ამ განსაზღვრებიდან, მიგვაჩნია, რომ ეკონომიკური კანონი არის საზოგადოებრივი წარმოების ცალკეულ მოვლენათა შინაგანი არსებითი კავშირების ასახვა, ამ მოვლენათა შორის მიზეზ-შედეგობრივი, ობიექტურად აუცილებელი და მტკიცედ განსაზღვრული კავშირურთიერთობების ლოგიკური წესრიგი /სუბორდინაცია/, რომლის შიგნითაც ერთის თანამიმდევრული ცვლილება იწვევს მეორის შესაბამის გარდაქმნას და ა.შ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში საზოგადოებრივი წარმოების კანონების განსაზღვრა შინაარსობრივად თითქმის ერთიმეორეს ემთხვევა. მაგ., პოლიტიკური ეკონომიის კურსში /ნ.ა.ცაგოლოვის რედაქციით/ ეკონომიკური კანონი განისაზღვრება როგორც ეკონომიკური ცხოვრების მოვლენებისა და პროცესების აუცილებელი, არსებითი, მტკიცე, მუდმივ განმეორებადი კავშირი, ურთიერთდამოკიდებულება[2]. თითქმის ასეთივე შინაარსისაა ეკონომიკური კანონის განსაზღვრა პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოში /ა.მ.რუმიანცევის და სხვების რედაქციით/. კერძოდ, აქ ნათქვამია: ეკონომიკურ პროცესებში და მოვლენებში არსებით, მტკიცე განმეორებად ურთიერთდამოკიდებულებებსა და მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, ურომლისოდაც შეუძლებელია ლაპარაკი წარმო-

---

I Философский словарь. Изд. 2, М., 1968, с. II8.

2 Курс политической экономии. Под ред. Н.А.Цаголова, ч. I, М., 1963, с. 37.

ებითი ურთიერთობების შესახებ მათ ერთიანობასა და განვითარებაში, ეკონომიკური კანონები ეწოდება[1].

რა თქმა უნდა, რამდენადაც ეკონომიკური კანონები ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის კანონებია, იმდენად, ისინი ვლინდებიან მხოლოდ უკანასკნელში. ამიტომ, აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ეკონომიის ავტორთა ჯგუფი /გ. ა. კოზლოვის რედაქციით/ ასკვნის, რომ ადამიანების მოქმედებაში ვლინდება მათი ცნობიერებისა და სურვილისაგან დამოუკიდებელი თვით საზოგადოებრივი წარმოების ბუნებრივი აუცილებლობა, რომელიც, კ. მარქსის განსაზღვრებით, არის საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური ობიექტური კანონი .

ეკონომიკური კანონებისადმი ასეთი ინტერესი იმითაა გამოწვეული, რომ თითოეული მათგანი გარკვეულწილად ასახავს საზოგადოებრივი წარმოების შიგნით არსებით მოვლენებს და საკუთარი ფუნქციონირების კანონზომიერებებით მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს მასზე, რაშიც ვლინდება ეკონომიკურ მოვლენათა შორის განსხვავების ერთიანობა.

ეკონომიკური კანონის მოქმედების ხასიათის, თავისებურებების, სპეციფიკურობის, საზოგადოებრივი წარმოების სისტემაში ადგილისა და როლის გაკვევა დამოკიდებულია თვით კანონში ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ასახვის თვისებრიობასა და რაოდენობრიობაზე, ე.ი. იმაზე, თუ როგორ აისახება საზოგადოებრივი წარმოების ესა თუ ის მოვლენა ან პროცესი თვით ეკონომიკურ კანონში.

მაგ., კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში ზედმეტი ღირებულების წარმოების კანონი ძირითადი ეკონომიკური კანონია მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სრულყოფილად ასახავს ბურჟუაზიული საზოგადოების არსებით მოვლენებს და არკვევს მისი მოძრაობის ძირითად მიმართულებებს, ან ღირებულების კანონი კაპიტალისტური წარმოების რეგულატორია მხოლოდ იმი-

---

I·Политическая экономия.Учебник,под ред.Р.А.Румянцева, ч.I,М.,I978,с. I6.

2 Политическая экономия. Под ред.Г.А.Козлова,ч.I,М., I973,с. 39.

ტომ, რომ პრაქტიკულად არსებითი მოვლენების ფუნქციონირება დამოკიდებულია საზოგადოებრივი წარმოების ხასიათზე, როდესაც კაპიტალისტსა და მუშას შორის, როგორც თანაბარ მდგომარეობაში მყოფ მესაკუთრეებს შორის, ადგილი აქვს საქონელთა ეკვივალენტურ გაცვლას.

მარქსისტულ-ლენინურ ეკონომიკურ მოძღვრებაში კანონები გაიგება როგორც "ორ მოვლენას შორის შინაგანი და აუცილებელი კავშირი" /კ. მარქსი/, როგორც "უნივერსუმის მოძრაობაში არსებითის ასახვა" /ვ. ი. ლენინი/. კერძოდ, ეკონომიკური კანონებისა და საერთოდ კანონების მეცნიერული განსაზღვრება მოცემულია კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის შრომებში შესაბამისად: "ფილოსოფიის სიღატაკე", "კაპიტალი", "ანტი-დიურინგი", "ბუნების დიალექტიკა", "მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", "ფილოსოფიის რვეულები" და "სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში".

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ "კანონის ცნება არის ადამიანის მიერ სამყაროს პროცესის ერთიანობისა და კავშირის, ურთიერთდამოკიდებულებისა და მთლიანობის შემეცნების ერთი საფეხურთაგანი. სიტყვებისა და ცნებების „შემოწმება" და "გადამუშავება", რასაც ჰეგელი აქ აკეთებს, არის ბრძოლა კანონის ცნების გააბსოლუტებასთან, მის გამარტივებასთან, მის გაფეტიშებასთან"[1].

ბუნების კანონებისაგან განსხვავებით საზოგადოების განვითარების კანონების ღრმამეცნიერული შემეცნება, შესწავლა და ახსნა-განმარტება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეში იგი არსებობს და მოქმედებს. მაგრამ მეცნიერებაში ბევრია ცდები, როდესაც შეისწავლება ისეთი ეკონომიკური კანონები და კატეგორიები, რომლებიც ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა, ან ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება. ცხადია, მათი ამ გზით შემეცნება მიახლოებითია და არასრული. მიუხედავად ამისა, კანონების შინაგანი ბუნების გამოვლინების ასეთი ცდები ობიექტურად აუცილებელია, ვინაიდან მისი მეცნიერული გაანალიზება სხვა გზით შეუძლებელია, თუ ემპირიული მასალა შედარებით ნაკლებია. როგორც ნე-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 38, გვ. 145.

მოთ აღინიშნა, ეკონომიკური მოვლენების ემპირიული /ზედაპირული/ კვლევა-ძიება მათი მეცნიერული გაანალიზების ამოსავალი პუნქტია. კაპიტალისტური წარმოების სინამდვილის გადმოცემა კ.მარქსმა "კაპიტალში" შეძლო მხოლოდ იმიტომ, რომ მან ძირეულად შეისწავლა და კრიტიკულად გადაამუშავა ყველა ის ემპირიული მასალა, რომელიც მანამდე კაპიტალიზმის შესახებ დაგროვდა. ეს მაგალითი ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ არა თუ იმ ეკონომიკური მოვლენის ღრმამეცნიერული დასაბუთება შიშველ ნიადაგზე არ ხდება, იგი საჭიროებს განსაკუთრებული რაოდენობით ემპირიული მასალის დაგროვებას.

საზოგადოების ეკონომიკური მოვლენების კვლევა-ძიების სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ აქ შეუძლებელია ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა, მაგ.,ექსპერიმენტი, გაზომვა, მოდელირება, წონა და ა.შ. მიუთითებდა რა ამ სპეციფიკურობაზე, კ.მარქსი წერდა: "ეკონომიკური ფორმების ანალიზის დროს არ შეიძლება არც მიკროსკოპის, არც ქიმიური რეაქტივების გამოყენება. ორივეს მაგივრობა უნდა გასწიოს აბსტრაქციის ძალამ"[1]. თუ, მაგ., ფიზიკოსი უკვირდება ბუნების პროცესებს, ან ახდენს ექსპერიმენტებს ამ პროცესის უზრუნველყოფისათვის წმინდა სახით; საზოგადოებრივი მოვლენების შესწავლაში შესაბამისი მეთოდების გამოყენება შეუძლებელია; ვინაიდან ყოველივე ცდა, ექსპერიმენტი ან სხვა სახის ხელოვნური მეთოდების გამოყენება ამ მოვლენების გარკვევის მიზნით არავითარ შედეგს მომცემია, რადგან თითოეული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია ბუნებრივ-ისტორიული პროცესია და მისი ხელოვნურად გამეორება პრაქტიკულად შეუძლებელია.

საზოგადოებაში ისტორიული კანონზომიერებების კვლევა-ძიება იმითაც რთულდება, რომ თვით საზოგადოება ერთდროულად არის ისტორიული პროცესის ობიექტიც და სუბიექტიც. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია იმ პერიოდში, როდესაც იგი განიცდის რევოლუციურ გარდაქმნას, ან ევოლუციურ აღმავლობას. როგორც წესი, ამ პერიოდში იცვლება არა მარტო ობიექტი – საზოგადოება /კო-

---

1 კ.მარქსი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 4

რთო, წარმოების წესი და მისი შესაბამისი წარმოებისა და გაცვლის ურთიერთობანი/, არამედ სუბიექტიც, ე.ი. საზოგადოების რევოლუციური ძალა /კერძოდ, ამ პერიოდში იცვლება მუშათა კლასის, მშრომელი მასების სოციალურ-საზოგადოებრივი მდგომარეობა/. წარმოების კომუნისტური წესის ბუნებით კი ადგილი აქვს ამ პროცესების ევოლუციურ გარდაქმნას, რის გამოც იგი აღწევს საკუთარი განვითარების სრულიად ახალ საფეხურებს. მაგ., სოციალიზმის /წარმოების კომუნისტური წესის პირველი ფაზის/ განვითარება გაივლის სხვადასხვა ეტაპებს, რის შედეგადაც სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობანი გარდაიქმნება თვისებრივად და სულ უფრო სრულყოფილი ხდება მათი განვითარების სიმწიფის დონე. ცხადია, რომ ამ საკითხების კვლევა-ძიებისას აღნიშნულის სირთულეთა გაუთვალისწინებლობა არ იწვევს დადებით შედეგს.

როგორც ლ.ი. ბრეჟნევი აღნიშნავს, სოციალისტური მშენებლობის "პირველ ეტაპზე საბჭოთა ადამიანები იძულებულნი იყვნენ თავიანთი რესურსებისა და ძალებისათვის თავი მოეყარათ უპირველესი ამოცანების გადაწყვეტაზე, იმაზე, რაზეც დამოკიდებული იყო ჩვენი სახელმწიფოს თვით არსებობა. ახლა კი, განვითარებული სოციალიზმის პირობებში, მთელი სახალხო მეურნეობის განუწყვეტელი ზრდის, საზოგადოების სოციალისტური ორგანიზაციის უპირატესობებთან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა ეკონომიკის საერთო მობრუნება ადამიანთა მრავალფეროვანი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების სულ უფრო სრული დაკმაყოფილებისაკენ"[1].

რა თქმა უნდა, კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების კვლევა-ძიება ჩვენი საზოგადოების განვითარების დღევანდელი პოზიციებიდან დადებითია იმ თვალსაზრისით, რომ მას შეუძლია სრულად გამოაშკარაოს ამ მოვლენათა როგორც დადებითი, ისე ნაკლოვანი მხარეები. მაგრამ იგივე მოვლენების კვლევა-ძიება გარდამავალ პერიოდში, ე.ი. იმ პერიოდში, როდესაც უშუალოდ წყდებოდა ჩვენი ქვე-

---

[1] ლ.ი. ბრეჟნევი, კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა, თბ., 1978, გვ.10.

ყნის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების არსებობის საკითხი, არც თუ ისე სრულად ავლენდა ან მხარეებს. სავალალოდ, შემეცნების ეს მეთოდი როგორც ფილოსოფიურ, ისე ეკონომიკურ ლიტერატურაში აღიარებულია შედარებით მცდარ ნივლესად. ეჭვი არ არის, რომ დღევანდელი პოზიციებიდან გარდამავალი პერიოდის შესწავლისას ვლინდება ისეთი მოვლენები, რომლებიც ასე თუ ისე აფერხებდნენ სოციალიზმის განვითარებას. მაგრამ იმ პერიოდში ამ მოვლენათა მეცნიერული კვლევა-ძიება მიმართული იყო ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შენარჩუნება – , განმტკიცებისაკენ, რაც გასათვალისწინებელია მისი შეფასების დროს.

საერთოდ გარდამავალ პერიოდში ეკონომიკური მოვლენების ღრმამეცნიერულ დონეზე კვლევა-ძიებასა და შესწავლას ამ სირთულეებთან ერთად ისიც აფერხებდა, რომ მსოფლიო პრაქტიკაში მის შესახებ არ არსებობდა მზა თეორიები, ხოლო უკვე არსებული ემპირიული მასალა კი გამოიყენებოდა სხვადასხვა დანიშნულებისამებრ. კერძოდ, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენლები მას იყენებდნენ ისტორიული მოვლენების პროგრესული გზით განვითარების შეფერხების მიზნით, ხოლო მუშათა კლასის იდეოლოგები კი – სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობების განვითარებისა და მათი კომუნისტურ ურთიერთობებში გადაზრდის ტემპების დაჩქარების მიზნით. ცხადია, რომ ამ ორთაჭიდილში საკითხების მეცნიერული გადაწყვეტა შედარებით ნაკლებ სიძნელისა იყო.

ამასთან ერთად ისიცაა მხედველობაში მისაღები, რომ სოციალიზმის საფუძვლების შექმნა, ე.ი. ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაცია და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საზოგადოებრივი საკუთრებითი ურთიერთობების დამყარება "ჯერ კიდევ არ გვაძლევს კომუნიზმზე უშუალო გადასვლის დაწყების საშუალებას. უწინარეს ყოვლისა უნდა გავიაროთ საკუთარ საფუძველზე სოციალიზმის განვითარების გარკვეული სტადიები"[1], რომელსაც თავისთავად ახასიათებს მთელი რიგი წინააღმდეგობები და ამ უკანასკნელთა გადალახვა მიმდინარეობდა არა მარტო სამეურნეო პრაქტიკაში, არამედ ყველა

---

[1] ლ.ი. ბრეჟნევი, კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა, გვ. 10.

სფეროში და ხაზ შორის ეკონომიკურ მეცნიერებაშიც.

ცხადია, რომ ემპირიული მასალების გაანალიზების მიზანდასახულობა უნდა განისაზღვრის სწორედ ამ მიმართებით და ახალი თეორიების ჩამოყალიბებისას ამოსავალ პუნქტად უნდა იქნას მიჩნეული ის, რომ "სოციალიზმის განვითარება, სრულყოფა, არანაკლებ რთული, არანაკლებ პასუხსაგები ამოცანაა, ვიდრე მისი საფუძვლების შექმნა"[1].

როგორც ცნობილია, ყოველ ეკონომიკურ მოვლენას საკუთარი თვისებრივი და რაოდენობრივი მხარე გააჩნია. მაგრამ მისი შინაგანი ბუნების შესწავლაში ამ თვისებათა კვლევა-ძიება რთულდება იმით, რომ თვით ეკონომიკურ მოვლენაში გადახლართულია მატერიალური და იდეოლოგიური ფაქტორები, რომელთა თვისებრივი და რაოდენობრივი მნიშვნელობით დანაწევრება ფაქტიურად შეუძლებელია. მაგ., რაოდენობრიობიდან თვისებრიობაში გადასვლა ნიშნავს წარმოების წესის ერთი საფეხურიდან მეორეში გადასვლას, რომელიც მიმდინარეობს ან ევოლუციური /ანტაგონისტურ საზოგადოებებში ერთი საფეხურიდან მეორეში გადასვლა/, ან რევოლუციური /კაპიტალიზმიდან კომუნისტურ საზოგადოებაში გადასვლა/ გზით.

რაოდენობრიობიდან თვისებრიობაში ევოლუციური გადასვლა მიმდინარეობს თვით კომუნისტური საზოგადოების შიგნითაც, რაც განაპირობებს მისი განვითარების ორი ფაზის არსებობას და ცალკეული მათგანის შიგნით- ეტაპობრივ წინსვლას. საერთოდ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემის შიგნით ყოველი ეკონომიკური მოვლენის რაოდენობრივი თვისებები ვლინდება მისი გარდაქმნილი ფორმებით, რაც ნამდვილი არსის ან დამახინჯებაა /ამას ადგილი აქვს ანტაგონისტურ ურთიერთობათა სისტემაში/, ან საგრძნობლად მიახლოებითი ასახვაა /მაგ., სოციალიზმის დროს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების გამოყენება ხელს უწყობს არსისეული კატეგორიების გარდაქმნას/.

საზოგადოების განვითარების შიგნით ეკონომიკური კანონების მოქმედება და მისი მოთხოვნების შესაბამისად მატერიალური წარმოების პროცესების მართვა მეტად რთული მოვლენაა, ამას ისიც ართულებს, რომ ადამიანთა

---

[1] ლ.ი. ბრეჟნევი, კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა, გვ. 10.

სამეურნეო საქმიანობაში ადგილი აქვს ახალი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების აღმოცენებას და მათთან ერთად მოძველებულის, ე.ი. უკვე დრომოჭმულის თანდათანობით კვდომას. ამიტომ ბუნებრივი პროცესებისაგან განსხვავებით საზოგადოებრივი წარმოება საკუთარი სპეციფიკურობით, თავისებურებებითა და მოძრაობის საკუთარი კანონზომიერებებით და ნიშან-თვისებებით გარდამავალი ხასიათისაა.

აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონები ბუნების კანონებისაგან განსხვავებით გარდამავალი ხასიათისაა, ე.ი. ისინი ისტორიული ხასიათისაა, ვინაიდან საზოგადოების განვითარების ერთ ეტაპზე შეიძლება მოქმედებდეს ერთი კანონი და მეორეზე კი – ნეორე და ა.შ. ამასთან ერთად ნხედველობაში უნდა გვქონდეს ისიც, თუ როგორია მოცემული საზოგადოება თავისი განვითარების დონით – უკვე ჩამოყალიბებული, მომწიფებული, თუ ჯერ კიდევ განვითარებადი. ზუსტად ამ ისტორიულ პირობებში საზოგადოებრივი წარმოების ღრმამეცნიერული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია მისი ყოველმხრივი შესწავლა და მასში მოქმედი ეკონომიკური კანონების შეცნობა. მაგრამ თუ საზოგადოება ჯერ კიდევ მოუმწიფებელია, ცხადია, მისი ყოველმხრივი შესწავლა შეუძლებელია და ამიტომ, როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავდა, მოუმწიფებელ საზოგადოებას მოუმწიფებელი თეორიები შეესაბამება. იგივე შეიძლება ითქვას სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის შესახებ ჩვენი საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპების მიხედვით. თუ გადავხედავთ მისი, როგორც მეცნიერების აღმოცენება-განვითარების ისტორიას, შევამჩნევთ, რომ 50-იანი წლების დასაწყისამდე ეკონომიკურ ლიტერატურაში ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების თეორიული განზოგადების დონე შედარებით ზედაპირულია. 50 – იანი წლების ეკონომიკურმა დისკუსიებმა კი საფუძველი ჩაუყარა ამ მოვლენების ნამდვილად მეცნიერულ დონეზე გადაწყვეტის შესაძლებლობას, რამაც საკუთარი ასახვა ჰპოვა პოლიტიკური ეკონომიის ახალ სახელმძღვანელო-

ში. განვითარებულმა სოციალისტურმა საზოგადოებამ ფართო საფუძველი შეუქმნა ხელფასთა სიღრმისეულ გაანალიზებას, რამაც განსაკუთრებულ სიმაღლეზე აიყვანა არა მარტო ეკონომიკური მეცნიერება, არამედ საზოგადოებრივ წარმოებაზე ჩვენი ზემოქმედების ეფექტიც.

რამდენადაც თვით ეკონომიკური კანონების მოქმედება ვლინდება ადამიანთა სამეურნეო საქმიანობაში, ამდენად მათი შეცნობა მიმდინარეობს ამ საქმიანობის ღრმამეცნიერული ანალიზის შედეგად. მაგრამ ასეთი ანალიზი საზოგადოების ყველა წევრს არ შეუძლია. ეს თუნდაც იმიტომ, რომ ეკონომიკური მოვლენების ღრმამეცნიერული ანალიზი უნდა ემყარებოდეს კვლევა-ძიების სათანადო გამოცდილებასა და დაგროვილი ცოდნის გარკვეულ დონეს. ცხადია, რომ ასეთი სახით ხელფასთა გაანალიზება საზოგადოებაში შეუძლიათ მხოლოდ ერთეულებს, რომლებიც მოცემული საზოგადოების კვლევა-ძიების საკუთარ მეთოდებს გამოიმუშავებენ და მასზე დაყრდნობით თეორიულად განაზოგადებენ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ მოვლენებს. ხოლო ერთეულები აღწევენ ზედაპირული მოჩვენებითობიდან გამოსვლას და მოვლენების შიდა არსის შემეცნებას, რის შედეგადაც საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილე წარმოდგება მეცნიერულად დასაბუთებული ფორმით.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანები მოქმედებენ თავიანთი ცნობიერებისა და უფლებების შესაბამისად, რომელსაც საფუძვლად უდევს განსაზღვრული მიზანი. ამ უკანასკნელის მიღწევის ეფექტიანობა კი დამოკიდებულია თვით ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის შეგნებულ ცნობიერებასა და უფლებამოსილებაზე, რომელსაც ერთი ძირითადი მიმართულება ამოძრავებს; - კერძოდ, დასახული მიზნის მიღწევა.

საზოგადოებრივი ცხოვრების ეს ზედაპირული ფორმა თითქოს ჩქმალავს ჩვენი განვითარების ეკონომიკური კანონების მოქმედების ხასიათს, რომლის გამოვლინებაც დამოკიდებულია ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის ღრმამეცნიერულ ანალიზზე. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ეს ანალიზი შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ისტორიული პირობების არსებობისას,

რომელთაგან ობიექტურად აუცილებელია შემდეგი: ა/ კვლევა-ძიების ობიექტი, ე.ი. წარმოებითი ურთიერთობები უკვე მომწიფებულია; ბ/ სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების კვლევა-ძიება ემყარება საზოგადოების ისეთი კლასის ინტერესებს, რომელიც სხვა კლასებთან შედარებით არის ყველაზე რევოლუციური და კლასობრივ ბრძოლაში ყველაზე თანმიმდევრული /ისტორიულად საზოგადოებაში ასეთი თვისებების მქონე მხოლოდ მუშათა კლასია/; გ/ თვით მკვლევარს უნდა გააჩნდეს ცოდნის ის მარაგი, რომელიც შექმნა კაცობრიობამ დღემდე და რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია საზოგადოებრივი წყობილების შინაგანი ბუნების მეცნიერულ დონეზე ახსნა-განმარტება.

ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება ვაღიაროთ, რომ ესა თუ ის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია მხოლოდ მაშინაა მეცნიერულად გაანალიზებული და დასაბუთებული, როდესაც იგი შეისწავლება ყველაზე პროგრესული და ყველაზე რევოლუციური კლასის, მუშათა კლასის ინტერესების პოზიციებიდან. კერძოდ, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა მეცნიერულად იმიტომ დაასაბუთეს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების აუცილებლობა, რომ ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ თავისი განვითარების ძირითადი შესაძლებლობანი უკვე ამოწურა, რამაც შედეგში საგრძნობლად შეაფერხა საწარმოო ძალების განვითარება. მუშათა კლასის ინტერესები კი ითვალისწინებს არა მარტო საერთოდ ექსპლოატატორული ურთიერთობების მოსპობას, არამედ საწარმოო ძალების აჩქარებული განვითარების საფუძველზე უკლასო საზოგადოების აშენებას. ე.ი. მუშათა კლასი, როგორც კლასი, წინააღმდეგია საკუთარი თავის არსებობისა. ამ ამოცანის გადაწყვეტა კი შესაძლებელია ბურჟუაზიული წესწყობილების დამსხვრევით და ახალ სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციაზე გადასვლით, რასაც გზა გაუკაფა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ.

ჩვენთან კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში დიდი წარმატებები იმიტომაა მიღწეული, რომ სოციალიზმის განვითარების ყოველ ეტაპზე პარტიის სადირექტივო გადაწყვეტილებებში შესაბამისი დონით იყო

გაანალიზებული საზოგადოების წინსვლის ყველა კონკრეტული მომენტი, მათ შორის ისეთი გლობალური ხასიათის მოვლენებიც, როგორიცაა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის განსაკუთრებული გარდამავალი პერიოდი, სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ჩამოყალიბება.

თანამედროვე პირობებში, როგორც ლ.ი.ბრეჟნევი აღნიშნავს, "ჩვენ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ განვითარებული სოციალიზმის ყველა შესაძლებლობების შეცნობა და გამოყენება ამავე დროს კომუნიზმის მშენებლობაზე გადასვლაც არის. აქ განვითარების დიალექტიკა ისეთია, რომ მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის კვალობაზე მიმდინარეობს კომუნიზმში მისი თანდათანობითი გადაზრდაც. ამ ორი პროცესის ერთმანეთისაგან გამოყოფა, მათ შორის ზღვარის გავლება შეუძლებელია"[1].

როგორც ცნობილია, ადამიანთა საზოგადოების არსებობის პირველადი წყარო მატერიალური დოვლათის წარმოება, რომლის პროცესშიც ადამიანები, ახდენენ რა ბუნებაზე გარკვეული მიზანდასახულობით ზემოქმედებას, ვითარდებიან და თავიანთ აზროვნებას ამდიდრებენ გარემო სამყაროს შემეცნებითა და შესწავლით. ამიტომ მატერიალური წარმოების პროცესში მათ მიერ გამოყენებული შრომის იარაღები თაობიდან თაობამდე უმჯობესდება და სრულყოფილი ხდება, რის შედეგადაც მათი მწარმოებლური ძალა, კერძოდ, შრომის ნაყოფიერება, თანდათან იზრდება. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ საზოგადოებრივ წარმოებაში საწარმოო ძალები /წარმოების საშუალებები და თვით მწარმოებელი, ე.ი. მშრომელი/ მუდმივ განვითარებაშია, რის გამოც დახარჯული შრომის ეფექტიც მაღლდება და ამიტომ სამუშაო დროს ხანგრძლიობაც მცირდება, რომლის ხარჯზეც მატულობს თავისუფალი დრო, რასაც ანტაგონისტური წინააღმდეგობებისაგან თავისუფალი საზოგადოება იყენებს თითოეული წევრის, როგორც პიროვნების ყოველმხრივი თავისუფალი განვითარებისათვის. რასაკვირველია, ადა-

---

[1] ლ.ი.ბრეჟნევი. კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა, გვ. 9-10.

ჩიანთა საზოგადოების განვითარების ეს ეტაპი ვლინდება სხვადასხვა სახის ფორმებში და შესაბამისად აისახება სხვადასხვა სახის ეკონომიკურ კატეგორიებში.

ავლენს რა საზოგადოებრივი წარმოების რომელიმე მხარეს, ეკონომიკური კანონი ასახავს ადამიანსა და ბუნებას შორის ურთიერთდამოკიდებულების ისეთ მოვლენებს, რომლებიც თვით ადამიანთა საზოგადოების განვითარების აუცილებელი პირობაა. როგორც წესი, ადამიანსა და ბუნებას შორის ურთიერთდამოკიდებულება მუდმივი ხასიათისაა, ამიტომ ადამიანთა საზოგადოების და მის შიგნით სამეურნეო საქმიანობის განვითარებაც მუდმივი ხასიათის მატარებელია. სამეურნეო მოვლენების წინსვლითი მოძრაობა გარკვეულ ცვლილებებს იწვევს ეკონომიკური კანონების მოქმედებაში, რის შედეგადაც დროისა და სივრცის მიხედვით ერთი და იგივე კანონი მოქმედების სხვადასხვა დონეზე იმყოფება. ე.ი. ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში იგი შედარებით მტკიცეა ან სუსტი. მაგ., კაპიტალისტური ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების უთანაბრობის კანონი მონოპოლისტურამდელ წარმოებით ურთიერთობებში შერყეულია და თავისი მოქმედებით შედარებით სუსტი, ხოლო მონოპოლისტურ ურთიერთობათა სისტემაში კი იგი იმდენად ძლიერია, რომ ყოველგვარი ანალიზის გარეშე შესამჩნევია მისი მოქმედება. ასევე შეიძლება ითქვას თავისუფალი კონკურენციის კანონზე, ოღონდ პირიქით. მონოპოლისტურამდელ წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში იგი მოქმედებს შედარებით მტკიცედ, ხოლო იმპერიალიზმის პირობებში კი იგი იმდენად შერყეული და სუსტია, რომ მისი მოქმედება შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ღრმამეცნიერული ანალიზის შედეგად.

კომუნისტური წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედება ნაკლებად სუსტია სოციალიზმის დროს, განსაკუთრებით კი – სოციალისტური მშენებლობის პირველ ეტაპზე. ხოლო განვითარებული სოციალიზმის პირობებში ამ კანონის მოქმედება საგრძნობლად გააქტიურდა. რამაც განაპირობა თანამედროვე ხუთწლედების ძი-

რითად მიმართულებებში მშრომელი მასების მატერიალური და კულტური დონის მნიშვნელოვანი ამაღლების წინა პლანზე წამოწევა. კომუნიზმის დროს კი, როგორც ცნობილია, საზოგადოების ძირითადი ეკონომიკური კანონი წარმოჩნდება არა მარტო როგორც მატერიალური წარმოების მიზანდასახულობა, არამედ როგორც მისი უშუალო შედეგი, ვინაიდან იქ იმოქმედებს პრინციპი "თითოეულისაგან - უნარის მიხედვით, თითოეულს კი - მოთხოვნილების მიხედვით".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე რიგგარეშე სესიამ, რომელმაც მიიღო და დაამტკიცა ახალი კონსტიტუცია /ძირითადი კანონი/, აღნიშნა, რომ ჩვენი საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების დღევანდელი დონე და მასთან ერთად მილიონიანი მშრომელი მასების შეგნების დონე საშუალებას არ გვაძლევს შრომის მიხედვით განაწილებიდან გადავიდეთ მოთხოვნილების მიხედვით განაწილებაზე. რამდენადაც სოციალიზმის პრინციპია "თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს--შრომის მიხედვით", იმდენად მისი /სოციალიზმის/ განვითარების ყველა ეტაპზე შრომა რჩება საზოგადოების თითოეული წევრის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების უშუალო წყარო. მიუხედავად იმისა, რომ განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე იქმნება ეკონომიკური კანონების მოქმედების შედარებით თავისუფალი ფართო შარაგზა, რაც თვით განვითარებული სოციალიზმის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია, ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედების გამოვლინების ზედაპირული სახე შედარებით სუსტია, რაც გამოიხატება იმაში, რომ მშრომელი მასების მზარდი მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილება აწყდება მთელ რიგ სოციალურ-ეკონომიკურ სიძნელეებს. ამიტომ ამ სიძნელეთა გადალახვის მიზნით პარტიამ და მთავრობამ დასახეს ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალურ და ეკონომიკურ ჭრილში განვითარება და მისი ტემპების დაჩქარება, რამაც გარკვეული ასახვა პოვა კომუნისტური პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიაში.

როგორც აღინიშნა, თითოეული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია ყალიბდება და ვითარდება მხოლოდ საკუთარი ეკონომიკური კანონების არსებობითა და მოქმედებით, რაც განპირობებულია შემდეგი ობიექტური აუცილებლობით: 1/ ადამიანებს არ შეუძლიათ შექმნან, გააუქმონ ან შეცვალონ ესა თუ ის კანონი; 2/ კანონების მოქმედების ხასიათი არ განისაზღვრება ადამიანების მიერ მათი შემეცნებით; 3/ კანონების მოქმედება არ არის დამოკიდებული იმაზე, სურთ თუ არა ადამიანებს მათი ფუნქციონირება.

ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური კანონების მოქმედების ობიექტური ხასიათი განპირობებულია თვით საზოგადოებრივი წარმოების შინაგანი ბუნებით. კერძოდ, ადამიანები თავიანთი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, ქმნიან რა მატერიალურ დოვლათს, საკუთარი სამეურნეო საქმიანობით ხელს უწყობენ ისეთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, რომელიც შემდგომში მათი სამეურნეო საქმიანობის ხასიათის ამსახველი ურთიერთობებია.

კაპიტალიზმის პირობებში ადამიანთა მიერ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების აღმოცენება და განვითარება მიმდინარეობს საზოგადოებრივი წარმოების სტიქიურობასა და ანარქიაში, ამიტომ ისინი ადამიანებზე ბატონობენ როგორც უცხო საზოგადოებრივი ძალები. სოციალიზმის დროს კი ასეთი სახის ურთიერთობები აღმოცენდებიან და ვითარდებიან გეგმაზომიერად. ამიტომ ჩვენს საზოგადოებაში ეს პროცესი წინასწარ განსაზღვრულ მიზანდასახულობას ექვემდებარება, რაც გამორიცხავს წარმოების ანარქიასა და სტიქიურობას.

მიუხედავად ამისა, სოციალიზმის დროსაც ადამიანებს არ შეუძლიათ აირჩიონ წარმოებითი ურთიერთობების კონკრეტული ფორმა, ვინაიდან საზოგადოების განვითარების ბუნებრივ-ისტორიული პროცესიდან გამომდინარე ადამიანებს არ შეუძლიათ და ვერც შეძლებენ გამოტოვონ ან აირჩიონ განვითარების რომელიმე საფეხური.

როგორც უკვე ითქვა, დიალექტიკური თვალსაზრისით, თითოეული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია ბუნებრივ-ისტორიული პროცესია, ვინაიდან იგი გაივლის შემდეგ ძირითად ეტაპებს: აღმოცენებას, განმტკი-

ვებას, განვითარებასა და გადასვლას. წარმოების სოციალისტურამდელი წესებისათვის ეს ეტაპები ივსება გახრწნითა და კვდომით. მართალია, სოციალიზმის დროს არ არსებობს ანტაგონისტური წინააღმდეგობები, მაგრამ მის შიგნით ჯერ კიდევ ადგილი აქვს კლასებს /მუშათა კლასი და კოლმეურნე გლეხობა/, რომელთა შორის მოქმედებს გარკვეული სახის წინააღმდეგობა, რაც საზოგადოებას უბიძგებს კლასების მოსპობისაკენ. ამიტომ სოციალიზმი კი არ კვდება, არამედ იგი გადაიზრდება უკლასო კომუნისტურ საზოგადოებაში /სოციალიზმის დროს ადგილი აქვს აგრეთვე სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების არსებობას, რომლებიც კომუნიზმში გადასვლისას მოკვდებიან, მათთან ერთად მოკვდება განაწილების სოციალისტური ფორმაც. შესაძლებელია ყოველივე ეს, როგორც პარტიის XXVI ყრილობაზე ითქვა, მოხდეს სრული კომუნიზმის ჩამოყალიბებამდე/.

კერძოდ, ერთი სახის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის მეორე სახის ფორმაციაში გადასვლა ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი წარმოების სიღრმეში უკვე მომწიფებულია გადასვლის ობიექტური და სუბიექტური წანამძღვრები. "პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის" წინასიტყვაობაში კ. მარქსი მიუთითებდა, რომ "არც ერთი საზოგადოებრივი ფორმაცია არ ისპობა მანამდე, ვიდრე არ განვითარებულა, ყველა მწარმოებლური ძალა, რომელთათვის იგი საკმაო გასაქანს იძლევა და ახალი უმაღლესი წარმოებითი ურთიერთობანი არასოდეს არ ჩნდებიან ვიდრე მათი არსებობის მატერიალური პირობები თვით ძველი საზოგადოების წიაღში არ მომწიფებულან"[1].

კაპიტალისტური განვითარების თანამედროვე დონის ზედაპირული ანალიზი შესაძლებელია გამოიწვიოს ბურჟუაზიული საზოგადოების მკვეთრ გახრწნასა და კვდომას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს მან დაძლია საკუთარი მოძრაობის ეს ეტაპი. გაანალიზა რა ამ საზოგადოების განვითარების უმაღლესი სტადია, ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა, რომ იმპერიალიზმი არის ლპობადი კაპიტალიზმი, პარაზიტიზმი კაპიტალიზმში. ამასთან ერთად

---

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ.11.

იგი მიუთითებდა კაპიტალისტური საქონელწარმოების ისეთ ტენდენციებზე, რომელთა მოძრაობაც ვლინდება მისი ფუნქციონირების ცალკეულ ეტაპებზე, რაც განსაკუთრებული სიმწვავით გამოვლინდა 70-80-იან წლებში. კერძოდ, სკკპ XXV და XXVI ყრილობებზე ხაზი გაესვა თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების ნიშან-თვისებებს და აღინიშნა, რომ იგი არის მომავალს მოკლებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია. ცხადია, რომ ასეთ პირობებში ეკონომიკური კანონების მოქმედების მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობაზე ლაპარაკი, რასაც ბურჟუაზიული იდეოლოგია ეწევა, ზედმეტია, ვინაიდან იგი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

სოციალისტურ საზოგადოებაშიც ეკონომიკური კანონების მოქმედება მიმდინარეობს ადამიანების, როგორც სუბიექტების, ნებასურვილის გარეშე, მაგრამ მათი ობიექტურობა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი საერთოდ უძლურია თავიდან აიცილოს მათი მოქმედების უარყოფითი მხარეები. ადამიანი შეიძლება ნამდვილად უძლური იყოს ეკონომიკური კანონების მოქმედების წინაშე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ამ უკანასკნელს ან ვერ აღიქვამს, ან მის მოქმედებას საპირისპირო საქმიანობას ვერ დაუკავშირებს.'

მაგ., ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მოქმედებს ეკონომიკური კრიზისების კანონი, რომლის ფუნქციონირებაც განპირობებულია კაპიტალისტური წარმოების შინაგანი ბუნებით, ამიტომ მისი თავიდან აცილება თვით კაპიტალისტური საქონელწარმოების პირობებში ყოვლად შეუძლებელია, რადგან მისი მოქმედება არ არის როგორც ცალკე აღებული კანონის მოქმედება. როგორც ყოველთვის, აქაც მისი მოქმედება მიმდინარეობს ერთობლიობათა სისტემაში, რომლის შიგნითაც სპეციფიკური მიზეზ-შედეგობრივი კავშირები მყარდება. ამიტომ ეკონომიკური კრიზისების კანონის მოქმედების თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ მისი ძირითადი მიზეზის – წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის წინააღმდეგობის მოსპობით, რაც შესაძლებელია თვით ბურჟუაზიული საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის ბაზაზე.

სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში კი ადამიანებს შეუძლიათ აღმოაჩინონ ეკონომიკური განვითარების კანონები, შეიცნონ ისინი და, დაეყრდნობიან რა მათ, გამოიყენონ საზოგადოების ინტერესებისათვის , თავიდან აიცილონ ზოგიერთი კანონის ნგრევითი მოქმედება, შეზღუდონ მათი მოქმედების სფერო, ფართო გასაქანი მისცენ ისეთ კანონებს, რომლებიც დააჩქარებენ საზოგადოებრივი განვითარების პროცესებს.

მართალია, სოციალიზმის დროს ადამიანი შეიცნობს და გამოიყენებს ეკონომიკური კანონების მოქმედებას, მაგრამ მას არ ძალუძს მოსპოს, ან უარყოს, ან გააუქმოს, ან შექმნას სრულიად ახალი კანონი. მაგ., სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში მოქმედებს ღირებულების კანონი, რომელსაც განსაკუთრებული სპეციფიკური თვისებები გააჩნია. შეუძლებელია იგი საზოგადოებამ უარყოს როგორც საქონელწარმოების ეკონომიკური კანონი, მაგრამ მას არ შეუძლია მხოლოდ იმიტომ, რომ ღირებულების კანონი გარკვეულწილად არეგულირებს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების ფუნქციონირებას. ამიტომ საზოგადოება იძულებულია შეიცნოს იგი და გამოიყენოს გეგმაზომიერად, რის გამოც იცვლება მისი მოქმედების ხასიათი და მასთან ერთად მისი ფუნქციონირების სფეროც.

თუ, მაგ., კაპიტალისტურ წარმოებაში ღირებულების კანონი გვევლინება როგორც საზოგადოებრივი წარმოების რეგულატორი, სოციალიზმის დროს იგი კარგავს ამ ყოვლისშემძლე ძალას. შეიცნობს რა მის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს, სოციალიზმი უკუაგდებს ყველა იმ უარყოფითს, რაც საერთოდ საქონელწარმოებას და, კერძოდ, ღირებულების კანონს თან ახლავს, და იყენებს ყველა იმ დადებითს, რაც სოციალისტური განვითარების პროცესებს ემსახურება.

მართალია, ეკონომიკური კანონების მოქმედების ობიექტურობა განპირობებულია საზოგადოებრივი წარმოების სინამდვილით, რომელშიც ადამიანთა სამეურნეო საქმიანობა ექვემდებარება გარკვეულ მიზანდასახულობას, მაგრამ მათი მოქმედების მიმართულება განისაზღვრება საზოგადოებრივი წარმოების ერთიანი მიზნით. მაგ., როგორიც არ უნდა იყოს ღი-

რებულების კანონის მოქმედების ხასიათი კაპიტალიზმის ან სოციალიზმის პირობებში, ,მისი მიმართულება განპირობებულია კონკრეტულად მოცემული საზოგადოების ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნებით. განსხვავება იმაში ვლინდება, რომ კაპიტალისტური საქონელწარმოების ურთიერთობათა სისტემაში ეკონომიკური კანონების მოქმედება /და მასთან ერთად ღირებულების კანონის მოქმედებაც/ გახვეულია მისტიციზმის, ჯადოსნობისა და მოჩვენებითობის ბურუსში. ამიტომ, ხშირ შემთხვევაში მისი შემეცნებისა და ანალიზის გზები და მეთოდები სინამდვილეს სცილდება, რაც ართულებს საერთოდ სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების შემდგომ კვლევა-ძიებას. სოციალისტური საზოგადოებრივი წარმოების ურთიერთობათა სისტემაში კი საქონელთა სამყაროს მთელი მისტიციზმი, ყველა ის ჯადოსნობა და მოჩვენებითობა, რომელიც საქონელწარმოების საფუძველზე შრომის პროდუქტებს ბურუსში ახვევს, შედარებით დაძლეულია, ვინაიდან, სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების პირობებში ეკონომიკური .კანონების მოქმედება ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის ერთიანი მიზანდასახულობითაა განპირობებული. თუ, მაგ., კაპიტალისტურ წარმოებაში ადამიანების სამეურნეო საქმიანობის შედეგი მათთვის არახელსაყრელია, სოციალისტურ საზოგადოებაში ისინი თავიანთი სამეურნეო საქმიანობით იმ შედეგებს აღწევენ, რომლებიც წინასწარ იყო დასახული და რომლებსაც ისინი ელოდნენ. ცხადია, რომ ასეთ პირობებში "ობიექტური, ყრუ ძალები, რომლებიც წინათ ისტორიაზე ბატონობდნენ, თვით ადამიანების კონტროლის ქვეშაა მოქცეული"[1].

ამრიგად, ეკონომიკური კანონების მოქმედება ვლინდება როგორც ადამიანთა სამეურნეო საქმიანობა, იგი დაკავშირებულია მატერიალური დოვლათის წარმოებასთან, განაწილებასთან, გაცვლასა და მოხმარებასთან, რის გამოც ადამიანებს შორის გარკვეული სახის ურთიერთობები ყალიბდება. ე. ი. ეკონომიკური კანონების მოქმედება ვლინდება როგორც წარმოებითი ურთიერთობების აღმოცენების, ჩამოყალიბებისა და შემდგომი გან-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1953, გვ. 190.

ვითარების პროცესი. ეს ბუნებრივ-ისტორიული პროცესია, იგი არ არის ადამიანების ნებასურვილზე დამოკიდებული და ამიტომ ადამიანები თავიანთი ნებასურვილის შესაბამისად არ ირჩევენ წარმოებითი ურთიერთობების ამა თუ იმ ფორმას. მათ სამეურნეო საქმიანობაში ვლინდება ურთიერთობათა შინაგანი ბუნება, რომლის მამოძრავებელი ძალაც ეკონომიკური კანონია. ცხადია, რომ ადამიანს არ ძალუძს უარყოს ესა თუ ის ეკონომიკური მოვლენა, ურთიერთობა და მათი განვითარების კანონები.

ადამიანი, შეიცნობს რა ყოველივე ამას, ეკონომიკური კანონების მოქმედებას გამოიყენებს საკუთარი კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით.

კერძოდ, ადამიანთა საქმიანობის მიზანდასახულობა არის საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ეკონომიკური კანონზომიერებების გაანალიზების შედეგი. ადამიანს არ შეუძლია სამეურნეო საქმიანობაში მიზნად დაისახოს ის ამოცანა, რომლის პრაქტიკული განხორციელებისათვისაც მატერიალური პირობები /ეკონომიკური საფუძველი/ არ არსებობს. სწორედ ამის გამო მისი სამეურნეო საქმიანობა მიმდინარეობს ისეთ ურთიერთობათა სისტემაში, რომელიც ისტორიულად დროის გარკვეულ მონაკვეთზე საზოგადოების განვითარების მოცემული დონის შესაბამისია. მაგ., კაპიტალისტურ ურთიერთობათა სისტემაში შეუძლებელია მშრომელმა მასამ მიზნად დაისახოს სოციალიზმში გადასვლა; სოციალისტურ ურთიერთობათა სისტემაში კი - კომუნიზმში გადასვლა, რაც შესაძლებელია პირველის /ე.ი. სოციალიზმის/ეტაპობრივი განვითარებით.

ნათელია, ადამიანს არ შეუძლია მოსპოს, გარდაქმნას ან ჩამოაყალიბოს ესა თუ ის კანონი, მაგრამ, როგორც აღინიშნა, საზოგადოებრივად ორგანიზებულ ადამიანს შეუძლია შეზღუდოს, მოთოკოს და ამით თავიდან აიცილოს მისი ნგრევითი მოქმედება. ადამიანები ამას აღწევენ ეკონომიკურ მოვლენათა დათრგუნვით, როგორც ფ. ენგელსი ლაპარაკობდა; მათზე ბატონობით.

დღესაც კი, როდესაც ლაპარაკია ეკონომიკური კანონების ობიექტურობაზე, მეცნიერთა გარკვეული ნაწილი სწორად ვერ ხსნის საზოგადოებრივად ორგანიზებული ადამიანის როლს ამ კანონების შემეცნებასა და გამოყენებაში. აკრიტიკებია რა ამ მიმართებით აზრის არასწორად განვითარებას, ჯერ კიდევ 50-იანი წლების პირველ ნახევარში ი. სტალინი მიუთითებდა: "...როდესაც ლაპარაკობენ ბუნების ძალთა ან ეკონომიკურ ძალთა "დაპყრობის", მათზე "ბატონობის" შესახებ და ა. შ. ამით სრულიადაც არ სურთ თქვან, რომ ადამიანებს შეუძლიათ "მოსპონ" მეცნიერების კანონები ან "ჩამოაყალიბონ" ისინი. პირიქით, ამით სურთ თქვან მხოლოდ ის, რომ ადამიანებს შეუძლიათ აღმოაჩინონ კანონები, შეიცნონ ისინი, დაეუფლონ მათ, ისწავლონ მათი მიმარჯვება საქმის სრული ცოდნით, გამოიყენონ ისინი საზოგადოების ინტერესებისათვის და ამგვარად დაიპყრონ ისინი, მიაღწიონ მათზე ბატონობას"[1].

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური კანონების მოქმედების ობიექტურობა თეორიულად დასაბუთდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მიერ, დღესაც კი ეკონომისტთა გარკვეული ნაწილი ეკონომიკური კანონების მოქმედების ობიექტურობის შესახებ დებულებას მიაწერს ი. სტალინს და ამიტომ კრიტიკის საგნად აქცევს. მაგ., მ. მაკაროვა ლაპარაკობს, რომ კ. მარქსი, ფ. ენგელსი და ვ. ი. ლენინი ეკონომიკური კანონების მოქმედების ობიექტურობას ხსნიდნენ მხოლოდ კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში, სტალინმა კი სოციალიზმზეც გაავრცელა, რითაც, როგორც მას ესმის, ეკონომიკურ მეცნიერებაში აღრევა შემოიტანა[2].

ჩვენი აზრით, საკითხების ასეთი გაგება იმითაა გამოწვეული, რომ ეკონომისტთა ერთი ნაწილი ვერ არკვევს კანონების მოქმედების ხასიათსა და გამოყენების შესაძლებლობას. კერძოდ, მათი აზრით, ობიექტურის გამოყენება შეუძლებელია, ხოლო პრაქტიკული გამოყენება კი ნიშნავს

---

[1] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, თბ., 1952, გვ. 10.

[2] Политическая экономия социализма – научная основа руководства народным хозяйством. М., 1975, с. 75, 76.

ნათ ფართო მოქმედებისა. ზოგი აღნიშნავს, რომ ეკონომიკური კანონების მოქმედების ობიექტური ხასიათის უარყოფა გარკვეული თანამიმდევრობით ფეხს იკიდებს ეკონომიკურ ლიტერატურაში[1], რაც გზას უკაფავს სუბიექტური ფაქტორების თავისუფალ მოქმედებას. ეს კი საბოლოო ჯამში მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი დებულებების უარყოფის ამოსავალი პუნქტია.

როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკური კანონები ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის კანონებია. ამიტომ მათი მოქმედება საზოგადოებრივი წარმოების გარეშე, მატერიალური დოვლათის წარმოების გარეშე შეუძლებელია. ასევე, შეუძლებელია ადამიანების შეგნებული მოქმედება ეკონომიკური კანონების შემეცნების გარეშე და მის საფუძველზე ერთიანი გეგმის შემუშავების გარეშე. ანტაგონისტურ საზოგადოებაში ეკონომიკური კანონების შემეცნება არ განაპირობებს ადამიანთა შეგნებულ მოქმედებას. მაგ., კაპიტალისტურ საზოგადოებაში ადგილი აქვს ცალკეული ეკონომიკური კანონების შემეცნებას, მაგრამ ამ ურთიერთობათა სისტემაში მწარმოებელი მასების შეგნებული საქმიანობა და მათი ერთიანი მიზნისაკენ წარმართვა შეუძლებელია, ვინაიდან კაპიტალისტთა კლასსა და მუშათა კლასს შორის არ არსებობს ერთიანი ინტერესები და მოქმედების ერთიანი მიზანი. ამიტომ იქ, ფ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, სადაც არ არსებობს ინტერესთა ერთიანობა, მიზანთა ერთიანობის არსებობა შეუძლებელია, რომ არაფერი ვთქვათ მოქმედების ერთიანობის შესახებ.[2]

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა გვიჩვენეს, რომ ადამიანები, ეწევიან რა სამეურნეო საქმიანობას, ხელმძღვანელობენ მხოლოდ უშუალო მიზნითა და ინტერესებით, რაზე დაყრდნობითაც ისინი შეიცნობენ თავიანთ უახლოეს საქმიანობას და მოქმედებენ მის შესაბამისად. ცხადია, ისინი ეკონომიკური კანონების ფუნქციონირებაში და მათი მოძრაობის ხასიათში უშუ-

---

[1] А.Холесов. Экономические законы и планомерное управление народным хозяйством. "План.хоз-во", 1967, № 4; В.Зверев. О характере экономических законов и экономической роли государства. "План.хоз-во", 1969, № 2 и др.

ალოდ ვერ ერკვევიან და ამიტომ საზოგადოებრივ მოვლენებს ვერ აღიქვამენ. ისინი აღიქვამენ მხოლოდ თავიანთი მოქმედების უახლოეს შედეგებს.

მიუხედავად ამისა, ადამიანები /არიან თუ არა აუცილებლობის ბრმა მონები/ ქმნიან თავიანთ ისტორიას. თუ ეს აუცილებლობა საზოგადოებრივად გააზრებულია, მაშინ მათ საქმიანობას გარკვეული მიზანდასახულობა აქვს.[1] მაგრამ; როგორც უკვე ითქვა, ბურჟუაზიული საზოგადოების პირობებში არ არსებობს მიზნის ერთიანობა. ცხადია, რომ ადამიანთა საზოგადოება ერთიანი მიზნით შეგნებულ საქმიანობას ეწევა მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღიდან და ამიტომ აქედან იწყება მისი ნამდვილი ისტორიაც. მანამდე კი მიმდინარეობს ანტაგონისტური საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისა და მის ნიადაგზე სამეურნეო საქმიანობის შეგნებული /წინასწარ გააზრებული/ წარმართვის შესახებ საკითხების თეორიული გაანალიზება, რომელიც ჩამოყალიბდა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების სახით და რომელიც გადაიქცა მშრომელი მასების მატერიალურ ძალად.

აფასებდა რა ამ მიმართებით კ.მარქსის დამსახურებას, ვ.ი.ლენინი წერდა: "ისტორიის მატერიალისტური გაგების აღმოჩენამ ... მოსპო წინანდელი ისტორიული თეორიების ორი მთავარი ნაკლი: ჯერ-ერთი, ეს თეორიები უკეთეს შემთხვევაში განიხილავდნენ ადამიანთა ისტორიული მოღვაწეობის მხოლოდ იდეურ მოტივებს და არ იკვლევდნენ იმას, თუ რა იწვევს ამ მოტივებს, ვერ ხედავდნენ ობიექტურ კანონზომიერებას საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემის განვითარებაში, ვერ ამჩნევდნენ ამ ურთიერთობათა ფესვებს მატერიალური წარმოების განვითარების დონეში; მეორე–წინანდელი თეორიები არ მოიცავდნენ სწორედ მოსახლეობის მასების მოქმედებას, მაშინ როდესაც ისტორიულმა მატერიალიზმმა პირველად მოგვცა შესაძლებლობა ბუნებისმეტყველურ-ისტორიული სიზუსტით გამოვიკვლიოთ მასების ცხოვრების საზოგადოებრივი პირობები და ამ პირობების ცვლილებანი. ყოველივე ამას ყურადღება მიაქცია მარქსმა და გვიჩვენა ისტორიის, როგორც ერთიანი, მთელ თავის უდიდეს მრავა-

ლმხრივობასა და წინააღმდეგობანი, კანონზომიერი პროცესის მეცნიერული შესწავლის გზა"[1].

როგორც ითქვა, საზოგადოების განვითარების ისტორიის შემეცნება სულაც არ ნიშნავს, რომ ადამიანი არსებული ეკონომიკური ურთიერთობებისაგან თავისუფლდება და თავისი სურვილისამებრ ამყარებს ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებს. ადამიანები, შეიცნობენ რა საზოგადოებრივი განვითარების ეკონომიკურ კანონზომიერებებს, იძულებულნი არიან დაემორჩილონ მათ და იმოქმედონ ისე, როგორც მოქმედი კანონები კარნახობს. მართალია, ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში უმაღლეს წერტილად კომუნიზმია მიჩნეული, მაგრამ მისი აშენებისათვის საჭიროა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების თანამიმდევრული თვისებრივი გარდაქმნები, რაც ერთდროული აქტი კი არ არის, არამედ ეპოქალური საქმეა. შეიცნობს რა ადამიანი ამ აუცილებლობას, იგი მას უმორჩილებს თავის საქმიანობას კონკრეტულ ფორმებში /სოციალიზმის ეტაპობრივი განვითარება და კომუნიზმში მისი თანდათანობითი გადაზრდა/.

მაშასადამე, ეკონომიკური კანონების შემეცნება აძლიერებს ადამიანების აქტიურ მოქმედებას: ანტაგონისტურ საზოგადოებაში ისინი იბრძვიან გაბატონებული კლასის წინააღმდეგ, ხოლო თავისუფალში კი – აჩქარებენ საზოგადოების განვითარების პროცესებს. ცხადია, რომ მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური პარტია, აქვს რა მხედველობაში ეს დამახასიათებელი თვისება, შეგნებულად წარმართავს მუშათა კლასის, მშრომელი მასების საქმიანობას, აძლევს მას ობიექტური აუცილებლობის ხასიათს, არკვევს ადამიანების შეგნებულ საქმიანობასა და მატერიალურ პირობებს შორის კავშირის მექანიზმს, ავლენს ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს შორის ერთიანობის აუცილებლობას. პოლიტიკური პარტია ამას აღწევს ისეთი კატეგორიების გაანალიზებით, როგორიცაა მატერიალური მოთხოვნილება, საზოგადოებრივი, კლასობრივი, კოლექტიური და პირადი ინტერესები წარმოების მიზანი და სხვ.

---

[1] ვ.ი.ლენინი, თხზ., ტ.51, გვ. 51,52,53.

საზოგადოების განვითარების ყოველ ეტაპზე ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის მიმართულება განპირობებულია მათი ცხოვრების მატერიალური დონით. ანტაგონისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში მონების, ყმა გლეხებისა და დაქირავებული მუშების სასიცოცხლო პირობებმა განსაზღვრა მათი შესაბამისად მონათმფლობელების, ფეოდალებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა, ვინაიდან მათი მოთხოვნილებები ქრონიკულად დაუკმაყოფილებელია, განსაკუთრებით დაბალია მატერიალური /საცხოვრებელ ბინაზე, ტანსაცმელზე, საკვებზე და სხვ./ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონე, რომელთა ერთობლიობაც სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ბაზისია, მისი ამოსავალი პუნქტია. მართალია, საერთოდ ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მატერიალური საფუძველი, როგორც ფ. ენგელსი მიუთითებდა, კაპიტალიზმის ისტორიაში პირველად ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ შექმნა, მაგრამ მითვისების მისი კერძომესაკუთრული ფორმის გამო ეს შესაძლებლობა მოცემულ საზოგადოებაში რეალურად განუხორციელებელია.

მოთხოვნილება საერთოდ საზოგადოებრივი ხასიათის მატარებელია, ვინაიდან მისი ბუნება განპირობებულია თვით საზოგადოებრივი წარმოებით და მასთან ერთად მისი საფუძვლის – საწარმოო ძალების განვითარების დონით. ამიტომაა, რომ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ყოველთვის შეფარდებითია, ე. ი. მისი დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას განაპირობებს საზოგადოებრივი წარმოების დონე. მაგ., მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე /სინათლის, სითბოს, მექანიკური მოძრაობის სახით და ა. შ./ იმდენადაა დაკმაყოფილებული, რამდენადაც საზოგადოებრივი წარმოება განაპირობებს ამ უკანასკნელის კონკრეტული ოდენობით მიწოდებას.

ის უბრალო ფაქტი, რომ ადამიანს გააჩნია მოთხოვნილება /პირველ რიგში-კვების მოთხოვნილება/ და მისი დაკმაყოფილება ბუნებრივად აუცილებელია, მას აიძულებს იმოქმედოს, იშრომოს და მიღებული შედეგით დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნილებანი. პირველყოფილი ადამიანი თავისი განვითარების პირველ ეტაპზე კმაყოფილდებოდა მხოლოდ ბუნების მიერ მო-

ძებული მზა პროდუქტებით. მისი განვითარების მომდევნო ეტაპზე კი იმდენად გართულდა და გაღრმავდა მოთხოვნილებები, რომ კონკრეტულად ბუნებრივ პროდუქტს უკვე აღარ შეეძლო მათი დაკმაყოფილება. ამიერიდან ადამიანმა დაიწყო ბუნებაზე : ზემოქმედება, კერძოდ, ხელი მოჰკიდა მიწის დამუშავებასა და ცხოველების მოშინაურებას, შრომის იარაღების შექმნა-სრულყოფას, რამაც გარკვეული წვლილი შეიტანა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების აღმოცენება-განვითარებაში.

გარდა ამისა, ადამიანთა მოთხოვნილებებმა გარკვეული მოთხოვნები წაუყენა მატერიალური წარმოების სოციალურ-ეკონომიკურ ფორმასაც, ვინაიდან მანამდე შექმნილი პროდუქტების სამომხმარებლო თვისებები უკვე აღარ შეესაბამებოდა გაზრდილ მოთხოვნილებებს. ამ ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორთა შესაბამისობა დამოკიდებული იყო მატერიალური წარმოების საზოგადოებრივ-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ფორმების ყოველდღიურ დახვეწაზე და ამ გზით წარმოების პროცესებზე ზემოქმედების ხარისხზე.

სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობის ისტორიაში ეს ობიექტური აუცილებლობა იმ თავითვე მოექცა საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში, რამაც განსაკუთრებული სახე მიიღო განვითარებული სოციალიზმის პირობებში. გამომდინარე რა ამ აუცილებლობიდან, პარტიის XXV და XXVI ყრილობებმა წინა პლანზე წამოსწიეს საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგები და დასახეს მათი მიღწევის კონკრეტული გზები. კერძოდ, სკკპ XXV ყრილობაზე ლ.ი. ბრეჟნევი მიუთითებდა: "საჭიროა არა მარტო გვახსოვდეს, რომ წარმოების საბოლოო მიზანია ამა თუ იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, არამედ პრაქტიკული დასკვნებიც გამოგვქონდეს აქედან. ერთი მათგანი კი უეჭველია ის არის, რომ მომხმარებელს ... მივცეთ შესაძლებლობანი გავლენას ახდენდეს წარმოებაზე"[1].

როგორც ითქვა, ადამიანთა შრომის ეკონომიკური ურთიერთობები ვლინდება როგორც ინტერესები. თვით ადამიანის მოთხოვნილება [illegible] გა-

---

[1] სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 81.

მოხაზავს ეკონომიკურ ურთიერთობებს, რამდენადაც იგი მისი უშუალო ინტერესია, რომელიც შეიძლება იყოს პირადი, კლასობრივი და საზოგადოებრივი. ეს კი დამოკიდებულია მოთხოვნილებათა სახეობაზე და მის ხასიათზე. მოთხოვნილება, ისევე როგორც ინტერესი, არის პიროვნების, კლასებისა და საზოგადოების შინაგანად მამოძრავებელი ძალა. ამიტომ ადამიანთა შორის ურთიერთობა შეისწავლება მისი მამოძრავებელი ძალის - მოთხოვნილება-ინტერესების გაანალიზებით. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები აღნიშნავდნენ, რომ ეკონომიკური ინტერესები ადამიანთა მასების მწარმოებლურ მოძრაობაში მოყვანის უხილავი ძალებიაო[1].

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში ეკონომიკური ინტერესების შესწავლასა და მათი შინაგანი ბუნების ახსნა-განმარტებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ვინაიდან ინტერესების შეხამება და მშრომელი მასების მატერიალური დაინტერესება ახალი საზოგადოებრივი წყობილების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია. მატერიალური დაინტერესების პრინციპის გამოყენების აუცილებლობა, სოციალისტურ ურთიერთობათა სისტემაში ნაკარნახევი იყო საბჭოთა ეკონომიკის მშენებლობის პრაქტიკით. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დამაარსებელი ვ.ი.ლენინი, უთმობდა რა მას უდიდეს ყურადღებას, მიუთითებდა, რომ მხოლოდ პირად ინტერესზე, პირად დაინტერესებაზე, სამეურნეო ანგარიშიანობაზე დაყრდნობით შესაძლებელია კაპიტალისტური ურთიერთობებიდან კომუნისტურ ურთიერთობებზე გადასვლა. "ასე გვიჩვენა ჩვენ ცხოვრებამ, ასე გვიჩვენა ჩვენ რევოლუციის განვითარების ობიექტურმა მსვლელობამ"[2]. ახორციელებენ რა სოციალისტური საზოგადოებიდან კომუნიზმში გადასვლას, პარტია და მთავრობა ხელმძღვანელობენ ვ.ი.ლენინის ამ მითითებებით და პრაქტიკულ ცხოვრებაში ატარებენ მას.

---

[1] К.Маркс и Ф.Энгельс.Соч.,т.2,с.89,302; т.2I,с.307,308 и др.

[2] ვ.ი.ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 46.

როგორც ცნობილია, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავება და განვითარება უზრუნველყოფს წარმოების სპეციალიზაციის, შრომის სახეობათა რაოდენობრივ ზრდას, მის კოოპერაციას, რომელთა შიგნითაც ყალიბდება და ვითარდება ეკონომიკური ინტერესი. მშრომელი მასების ინტერესების ჰარმონიული მართვა სოციალისტურ საზოგადოებრივ წარმოებაში შრომის დანაწილების განხორციელების აუცილებელი პირობაა. მწარმოებლები, ებმებიან რა მატერიალური წარმოების პროცესში, პირველ რიგში ცდილობენ ამა თუ იმ დონით დაიკმაყოფილონ თავიანთი ინდივიდუალური ინტერესები /სოციალისტურ საზოგადოებაში ადამიანთა შეგნებული სამეურნეო საქმიანობა უზრუნველყოფს საზოგადოებისა და კოლექტივის ინტერესების შესაბამისი დონით დაკმაყოფილებას/.

საზოგადოებრივი წარმოების პროცესში ინდივიდის, კოლექტივისა და საზოგადოების ინტერესების დაკმაყოფილება მისი განვითარების იდეალური ძალაა, ადამიანების, მშრომელი მასების შრომისადმი სანიმუშო და მოკიდებულებისა და განწყობის წამახალისებელი ძალაა. ყოველივე ეს ადამიანის თავში აღიბეჭდება გრძნობის, აზრის, ბიძგის სახით და მატერიალური დოვლათის წარმოებისა და განაწილების საქმეში მას ახლებურად განაწყობს.

საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში ეკონომიკური ინტერესები განაპირობებს შესაბამის სამეურნეო ურთიერთობათა აღმოცენებასა და ფუნქციონირებას. მაგ., კლასობრივ საზოგადოებაში, სადაც ანტაგონისტური ურთიერთობებია, ინტერესები განისაზღვრება ადამიანთა სოციალური მდგომარეობით. მუშათა კლასის ინტერესები დაკავშირებულია ბურჟუაზიული საზოგადოების რევოლუციურ გარდაქმნასთან და კომუნისტური საზოგადოების აშენების ობიექტურ აუცილებლობასთან. ამ ინტერესთა ერთობლიობაში მუშათა კლასი, როგორც პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაბეჩავებული კლასი, თავის თავში მჭიდროდ აერთიანებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და სხვა სახის ინტერესებს. ამიტომ მუშათა კლასი, იბრძვის რა თავისი ინტერესების განხორციელებისათვის, იგი ერთ-

დროულად ეწევა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ბრძოლას.

ბუნებრივად მოთხოვნილებები ობიექტურია, ამიტომ ინტერესებიც ობიექტურია. აქედან გამომდინარე, საზედნაშენო ინტერესებიც /პირველ რიგში, პოლიტიკური/ ობიექტურია, ვინაიდან, როგორც ყოველი ინტერესი, ისე პოლიტიკური ინტერესი არის ადამიანებს შორის ურთიერთობა, რომელიც განისაზღვრება საზოგადოებაში მათი ურთიერთმდგომარეობით, სოციალური ყოფით, წარმოების საშუალებებისადმი დამოკიდებულებით. მაგ., ბურჟუაზიის, როგორც კლასის ინტერესები გამოიხატება ზედმეტი ღირებულების წარმოება-მითვისებაში დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის ხარჯზე, მის ყოველმხრივ დაცვასა და ზრდაში. ამიტომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ბურჟუაზია ეკონომიკურადაც და პოლიტიკურადაც პრივილეგირებული კლასია, რომელსაც უპირისპირდება დაბეჩავებული კლასის – მუშათა კლასისა და მშრომელი მასების ინტერესები. ე.ი. ბურჟუაზიული კლასის მოქმედების მიმართულება განისაზღვრება მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებით, მუშათა კლასისა კი – საკუთარი სოციალური და ეკონომიკური ყოფიერებით. მუშათა კლასისა და კაპიტალისტთა კლასის გზაჯვარედინზე ადგილი აქვს ინტერესების ურთიერთშეჯახებას, რომელიც შეიძლება წარიმართოს ან სტიქიურად ან ორგანიზებულად.

მუშათა კლასის ორგანიზება პირდაპირ და უშუალოდ დაკავშირებულია მისი მოქმედების მიზანთან, რაც აისახება გაბატონებული კლასის დათრგუნვასა და ახალი უკლასო საზოგადოების აშენებაში. მაგრამ ამ მიზანს იგი აღწევს მხოლოდ პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც, გამოხატავს რა პროლეტარიატის ინტერესებს, შეიმუშავებს საბრძოლო პროგრამას და მის შესაბამისად წარმართავს მუშათა კლასის ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მუშათა კლასის განთავისუფლების იდეა ისტორიულად საზოგადოების პროგრესულ ძალებში აღმოცენდა. თეორიის სახით იგი ჩამოაყალიბეს

ერთეულებმა ,რომლებმაც თავიანთი შემოქმედებითი საქმიანობა სამუდამოდ დაუკავშირეს მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს. პიროვნების ძალა და ავტორიტეტი საზოგადოების განვითარებაში უდავოა, იგი თვით არის საზოგადოების პროდუქტი, და, შეიცნობს რა მისი განვითარების მიმართულებას, მშრომელ მასებს რაზმავს ხვალინდელი დღის და ჩქარებისათვის. პიროვნება, რომელიც მუშათა მოძრაობას, მშრომელ მასებს უდგას სათავეში, თვით განსახიერებს იმ საზოგადოებრივ ძალას, რომელიც წარმართავს ათეული და ასეული მილიონიანი მასების საქმიანობას ამიტომ იქმნება ილუზია იმისა, თითქოს მხოლოდ ერთს შეუძლია გააკეთოს ყველაფერი, მაგრამ, როგორც გ. პლეხანოვი აღნიშნავდა, იგი გმირია არა იმ გაგებით, რომ მას თითქოს შეუძლია მოვლენათა ბუნებრივი მოძრაობა შეაჩეროს ან შეცვალოს. იგი გმირია იმ გაგებით; რომ მისი საქმიანობა, მისი მოქმედება აუცილებელი და შეუცნობი სვლის შეგნებული და თავისუფალი გამოხატულებაა[1].

როგორც აღინიშნა, ისტორიულად ყველაზე პროგრესული, ყველაზე მოწინავე და ყველაზე რევოლუციური კლასია მუშათა კლასი. მისი ინტერესებისადმი პიროვნების შემოქმედებითი ცხოვრების დამორჩილება მას აღიარებს მშრომელი მასების ხელმძღვანელად, რომელიც, შესწევს რა უნარი შეიცნოს და განაზოგადოს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები, აკეთებს მხოლოდ იმას, რასაც მშრომელი მასების ერთიანი ინტერესები, ერთიანი მიზანი მოითხოვს. სწორედ ამ საქმეს ემსახურებოდნენ პროლეტარიატის დიდი ბელადები, მათი თანამოაზრენი და თანამებრძოლნი. მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება პიროვნების როლის შესახებ ბურჟუაზიული საზოგადოების რევოლუციურ გარდაქმნაში ასეთია: "არც ერთ კლასს ისტორიაში არ მიუღწევია ბატონობისათვის ისე, რომ არ წამოეყენებინოს თავისი პოლიტიკური ბელადები, თავისი მოწინავე წარმომადგენლები, რომელთაც მოძრაობის ორგანიზებისა და ხელმძღვანელობის უნარი შესწევდათ"[2].

---

[1] Г.Плеханов.Избр.фил.произведения,т.II,М.,1956,с.333.

[2] ვ.ი.ლენინი,თხზ.,ტ.4,გვ.454.

მუშათა კლასმა ჩვენს ქვეყანაში დიდ წარმატებებს მიაღწია არა მარტო იმით, რომ მას სათავეში უდგას კომუნისტური პარტია, არამედ იმიტომაც, რომ თვით მუშათა კლასისა და ამ უკანასკნელის მაორგანიზებელ და სულისჩამდგმელ ბელადებად მოგვევლინენ ვ.ი. ლენინი და მისი უახლოესი თანამებრძოლნი. სოციალისტური მსოფლიო სისტემის განვითარების უკანასკნელმა ეტაპებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული მოსაზრების სინამდვილე პიროვნების ისტორიული როლის შესახებ მის განვითარებაში. ცხადია, პიროვნება, რომელიც მოწყდება მშრომელი მასების ყოველდღიურ საქმიანობას, ის მათი ხელმძღვანელი აღარ არის. მუშათა კლასი, შეიგრძნობს რა ამას, იმდენად ძლიერია და ორგანიზებული, რომ ასეთ ხელმძღვანელს, როგორი ავტორიტეტიც არ უნდა იყოს იგი, ლიოულად მოიშორებს.

ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს, რომელმაც მარქსისტული სიცხადე შეიტანა სოციალიზმის განვითარების შემდგომი ეტაპის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ გადაწყვეტაში. კერძოდ, მან დაამუშავა და განავითარა თეორია განვითარებული სოციალიზმის შესახებ.

/დღეისათვის საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონების შემეცნებისა და განზოგადების საფუძველზე მილიონიანი მშრომელი მასების საქმიანობა სულ უფრო ორგანიზებული და შეგნებული ხდება. რევოლუციური სულისკვეთების იდეები, რომლებიც თავმოყრილია მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმომცველ მოძღვრებაში, ერთ მთლიან მონოლითურ სისტემად აყალიბებს მუშათა კლასის, მშრომელი მასების საქმიანობას და უყოყმანოდ წარმართავს მას დასახული მიზნის მისაღწევად. კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში მოწინავე თეორიის ძალა, რომლითაც შეიარაღებულია კომუნისტური პარტია, ასჯერ და ათასჯერ ძლიერია მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების ღრმა შეც-

ნიერული ანალიზის საფუძველზე იგი ასახავს ათეული და ასეული მილიონიანი მშრომელი მასების ერთიან ინტერესებსა და საერთო საზოგადოებრივი წარმოების მოძრაობის ერთიან მიზანდასახულობას. /

უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა ფართო გამოყენების ბაზაზე მკვეთრად გამოიკვეთა კომუნისტური პარტიის ეკონომიკური სტრატეგია, რომელშიც ვხედავთ "ჩვენი მეურნეობის, ჩვენი პოლიტიკის ტაქტიკისა და სტრატეგიის საერთო გეზს"[1] როგორც სკკპ XXV ყრილობაზე ითქვა, პარტიის ეკონომიკური სტრატეგია იწყება "ამოცანების დაყენებით, ფუნდამენტური, ხანგრძლივი მიზნების დასახვით. მათ შორის უმაღლესი იყო და არის ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება. ეკონომიკური სტრატეგია შეიცავს იმ საშუალებებს, იმ გზების ზუსტ განსაზღვრასაც, რომელსაც დასახული მიზნისაკენ მივყავართ"[2].

განაზოგადა რა მეათე ხუთწლედის შედეგები და შეეხო რა მეთერთმეტე ხუთწლედის ძირითად მიმართულებებს, სკკპ XXVI ყრილობაზე ლ.ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: "ამოცანები, რომლებსაც ცხოვრება სახავს, მოითხოვს თეორიის, ეკონომიკური მეცნიერების განვითარებას, მის დაახლოებას სამეურნეო პრაქტიკის საჭიროებებთან. ამისათვის საჭიროა მთელი ჩვენი საზოგადოების შემოქმედებითი პოტენციალის მობილიზაცია. ცენტრში და ადგილებზე, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლსა და ყველა უჯრედში უნდა უმჯობესდებოდეს ნამწიფრილი პრობლემების გაგება, უკეთ უნდა ეძიებოდეს და იყენებდნენ არსებულ შესაძლებლობებს"[3].

მაშასადამე სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად ითვლება მისი მოძრაობის კანონზომიერებების შემეცნება და შესაბამისად სოციალურ-პოლიტიკური და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფა, რათა ფართო გასაქანი მიეცეს სა-

---

[1] ვ.ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 594.
[2] სკკპ XXV ყრილობის მასალები, გვ., 51-52.
[3] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ. 78.

წარმოო ძალების შემდგომ განვითარებას. პარტიის XXVI ყრილობამ ერთხელ კიდევ მიანიშნა, რომ საჭიროა ვაწარმოოთ კვლევა განვითარებული სოციალიზმის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და წარმოებითი ურთიერთობების სრულყოფის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე, უნდა მივუთითოთ, თუ როგორ გადავაქციოთ ეკონომიკური მეცნიერება სამეურნეო მექანიზმის განუყოფელ ნაწილად.

2. ეკონომიკური კანონების შემეცნების ისტორიული ეტაპები

რამდენადაც საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესი, ვლინდება და აისახება ეკონომიკურ კანონებსა და კატეგორიებში, რომელთა ფუნქციონირებაც შეუძლებელია ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის გარეშე, იმდენად ამ უკანასკნელის ყოველმხრივი ანალიზი, მისი სრული შემეცნება და ეკონომიკურ მოვლენებს შორის შინაგანი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ახსნა თვით ეკონომიკური კანონებისა და კატეგორიების ახსნა-განმარტებაცაა.

როგორც აღინიშნა, საზოგადოებაში ეკონომიკური მოვლენების შესწავლა და ღრმამეცნიერული დასაბუთება, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია არა რომელიმე პიროვნებაზე, რომელიც მას სწავლობს, არამედ საზოგადოების იმ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე, რომელშიც იგი ცხოვრობს და მოღვაწეობს. მაგ., კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლები ათასეული წლების მანძილზე ცდილობდნენ მეცნიერულად დაესაბუთებინათ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა, აეხსნათ მისი ობიექტური აუცილებლობა და გადმოეცათ მისი შინაგანი ბუნება, გამოევლინებინათ მისი მოძრაობის ეკონომიკური კანონები. მიუხედავად ამისა, მისი სათანადო მეცნიერულ დონეზე ახსნა-განმარტება შეუძლებელი შეიქმნა მანამდე, სანამ არ ჩამოყალიბდა კაპიტალისტური საქონელწარმოება როგორც საზოგადოებრივი წარმოების ერთიანი სისტემა. ყველასათვის ცნობილი გახდა, რომ ღირებულების ფორმა, რომლის დამთავრებული სახეც ფულადი ფორმაა, მეტად უშინაარსო და მარტივი კატეგორიაა. მაგრამ ამ საკითხების მეცნიერული გაგებისათვის, როგორც კ. მარქსი აღნიშნავს, ადამიანის გონება ამაოდ ცდილობდა 2000 წელზე უფრო მეტი ხნის განმავლობაში, თუმცა "უფრო შინაარსიანი და რთული ფორმების ანალიზი მან შეძლო, ყოველ შემთხვევაში დაახლოებით მაინც"[1].

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 4.

კაპიტალისტური საქონელწარმოების აღმოცენებამდე სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების შესახებ საკითხების კვლევა-ძიება მეცნიერულად შეზღუდულია, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კი, როცა საქონელწარმოებამ თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, მისი მოძრაობის კანონების აღმოჩენა და შემეცნება ობიექტურ აუცილებლობად გადაიქცა. ეს უკანასკნელი გამოწვეული იყო იმითაც, რომ ადამიანთა საზოგადოების განვითარების სწორედ ამ ეტაპზე ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური წინააღმდეგობები მკვეთრად გამწვავდა, რის შედეგადაც საწარმოო ძალებისა და ამიტომ წარმოების შემდგომი წინსვლაც შესამჩნევად შეფერხდა. ისტორიული ფაქტის წინაშე დადგა საკითხი წარმოებითი ურთიერთობების საწარმოო ძალებისადმი შესაბამისობის გაანალიზებისა და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების ახსნა-განმარტების შესახებ. ქონდა რა მხედველობაში ყოველივე ეს, ფ. ენგელსი მიუთითებდა, რომ თუ ყველა წინამდებარე პერიოდში ისტორიის ამ მამოძრავებელი მიზეზების კვლევა-ძიება მათი კავშირების საკუთარ შედეგებთან გადახლართვისა და მიჩქმალულობის გამო თითქმის შეუძლებელი იყო, ჩვენს დროში ეს კავშირები იმდენად გამარტივდა, რომ ამოცანის გადაჭრა შესაძლებელი გახდა.[1]

წარმოების სოციალისტურამდელ ფორმებში თავისებური ხასიათისაა არა მარტო თვით ეკონომიკური კანონების მოქმედება, არამედ მისი მეცნიერული ანალიზიც, რომელიც კერძო საკუთრების ბურუსშია გახვეული და ამიტომ საზოგადოებრივი წარმოების კვლევა-ძიებაც მეცნიერულად შეზღუდულია, ე.ი. მისი შედეგიც ცალმხრივია ან ნაკლებად მეცნიერული. გაბატონებული კლასის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების პრაქტიკული განხორციელება იმდენად ძლიერია, რომ საზოგადოებაში წარმოების შინაგანი ბუნების გამოვლინების მიზნით კვლევა-ძიება მის ტყვეობაში ექცევა და რამდენადაც მეცნიერული არ უნდა იყოს იგი, საერთოდ კერძო ჩარჩოებს არ სცილდება, რის გამოც თეორიული განზოგადება მხოლოდ გაბატონებული კლასის სასარგებლოდ წყდება.

---

[1] К.Маркс и Ф.Энгельс.Соч.,т.21,с.308.

საზოგადოებრივი წარმოების ანალიზის ასეთი შედეგი იმითაც არის გამოწვეული, რომ კერძო საკუთრების ყოვლისშემძლე მანიით შეპყრობილ მკვლევარს იგი ბუნებრივად ერთხელ და სამუდამოდ მოცემული ჰგონია, რომლის შემდეგაც თითქოს საზოგადოებრივი წარმოების სხვა ფორმაცია ნისხევის არ არსებობს. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, მათი კვლევა-ძიება წმინდა მეტაფიზიკურია, უფრო სწორად, საზოგადოებრივი წარმოების შინაგანი ბუნება, მისი მოძრაობის ეკონომიკური კანონები, ეკონომიკური მოვლენები და კატეგორიები სიღრმისეული კვლევა-ძიების გარეშე რჩება. ცხადია, რომ მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის საზოგადოებრივი წარმოების ანალიზის მოცემული მეთოდი სავსეა მთელი რიგი ნაკლოვანებებით. საჭიროა მისი ყოველმხრივი დახვეწა, გაშალაშინება, "ფეხზე დაყენება" და შემდგომ კვლევა-ძიებაში გამოყენება.

ანალიზის ეს უკანასკნელი მეთოდი საზოგადოებრივ წარმოებას განიხილავს არა როგორც ბუნებრივად სამუდამოდ მოცემულს, ე.ი. არა როგორც სტატიკურს, არამედ როგორც ბუნებრივად განვითარებად მოვლენას, როგორც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს, ე.ი. როგორც დინამიკურს.

ცხადია, რომ კერძო საკუთრება იმ მკვლევართა მოძღვრებაში, რომლებიც კვლევა-ძიების მეტაფიზიკური მეთოდით სარგებლობდნენ, გადაუჭრელ ზღუდედ იქცა, ამიტომ მათ შემოქმედებაში იგი მოძრაობს რაღაც უხილავი მანქანებით და აისახება როგორც ყოვლისშემძლე ძალა.

ისტორიულად, რომელიც კაცობრიობამ დღემდე შემოიარა, ეკონომიკური მოვლენების მეცნიერული ანალიზი დაიწყო ჯერ კიდევ უძველესი დროიდან, კერძოდ, იმ პერიოდიდან, როდესაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყოველდღიურ მოვლენად გადაიქცა შრომის დანაწილება, ვაჭრობა, ფულის ტრიალი და ა.შ. ამიტომ უძველესი დროის უდიდესი მოაზროვნეების ეკონომიკური მოსაზრებანი, კ. მარქსის გამოთქმით, პოლიტიკური ეკონომიის თეორიული ამოსავალი პუნქტია. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია არისტოტელეს მოძღვრებისათვის, რომლის უნივერსალური ნიჭიც თანაბრად მოსწვდა ეკონომიკური მეცნიერების თითქმის ყველა პრობლემას.

იმ პერიოდის საზოგადოებრივი წყობილების ანალიზისას არისტოტელეს დამსახურებად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ისეთი მოვლენების ახსნა-განმარტების ნიადაგზე, როგორიცაა გაცვლა, ფულის ტრიალი და ა.შ., მან წამოაყენა გენიალური იდეა, რომელმაც შემდგომში კლასიკური ეკონომიის, როგორც მეცნიერების, ისტორიაში გარკვეული როლი ითამაშა. კერძოდ, არისტოტელემ წამოაყენა და გარკვეულწილად გადაჭრა საკითხი იმის შესახებ, რომ გაცვლის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საქონელთა ურთიერთტოლობას, ე.ი. ერთი სახის საქონელი მეორე სახის საქონელზე რომ გაიცვალოს, ისინი რაოდენობრივად თანატოლი უნდა იყოს. "გაცვლა, -ამბობს არისტოტელე, -არ შეიძლება ტოლობის გარეშე, ხოლო ტოლობა -თანაზომადობის გარეშე"[1].

მიუხედავად იმისა, რომ არისტოტელეს ესმის საქონელთა გაცვლის ანალიზისას მათ ტოლობამდე, როგორც თანაზომად სიდიდეებამდე, დაიყვანა. იგი ღირებულების ფორმის შემდგომ ანალიზს თავს ანებებს და, როგორც კ. მარქსი გამოთქვამს, "საგონებელში ვარდება", რადგან, მისი აზრით, "სინამდვილეში შეუძლებელია, რომ ესოდენ სხვადასხვაგვარი ნივთები თანაზომადი იყოს". არისტოტელესათვის სხვადასხვაგვარი ნივთების თანაზომადობა, ტოლობა, მხოლოდ ხელოვნური საშუალებაა პრაქტიკული მოთხოვნილებებისათვის, ვინაიდან, როგორც იგი ფიქრობდა, ამ ნივთების ნამდვილი ბუნებისათვის თანაზომადობა როგორც ასეთი უცხოა.

მაგრამ ის ფაქტი, რომ საქონლის ღირებულებაში ასახება ადამიანის ტოლი და ტოლფასოვანი შრომა, არისტოტელეს თვით ღირებულების ფორმიდან არ შეეძლო ამოეკითხა, ვინაიდან იმ პერიოდის საზოგადოება, რომელშიც იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, დამყარებული იყო მონურ შრომაზე, რამაც შემდგომ კვლევა-ძიებაში მას გზა გადაუღობა. ამიტომ არისტოტელე ეკონომიკურ მოძღვრებაში დარჩა როგორც ნატურალური მეურნეობის იდეოლოგი. მის შეხედულებებში საქონელთა ტოლობა აღწერილ იქნა ისე, როგორც იგი მონათმფლობელური საზოგადოების და, კერძოდ, ნატურალუ-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 80.

რი მეურნეობის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა /მიუხედავად ამისა, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების ანალიზმა არისტოტელეს და უძველესი დროის სხვა მოაზროვნეებს საშუალება მისცა წამოეჭრათ და გაეანალიზებინათ მთელი რიგი პოლიტეკონომიური კატეგორიები და ამით დასაბამი მიეცათ მეცნიერული აზროვნების ახალი დარგის წარმოშობისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის. ზუსტად ეს გვაძლევს იმის საშუალებას, რომ არისტოტელე თავისი ეკონომიკური მოძღვრებით ჩავთვალოთ პოლიტიკური ეკონომიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, ამოსავალ საწყისად მხოლოდ იმ ჩასწორებით, რომ იგი ამ საქმეშიც მონათმფლობელური საზოგადოების პროდუქტად დარჩა/.

საზოგადოებრივი განვითარების კანონების შემეცნების შემდგომი ეტაპი დაიწყო იმ დროს, როდესაც საქონლის წარმოებამ და ვაჭრობამ საერთო აღიარება ჰპოვა. სწორედ ამ პერიოდში აღმოცენდნენ ეკონომიკური მოძღვრების ისეთი მიმდინარეობანი, როგორიცაა მერკანტილიზმი და ფიზიოკრატიზმი, რომელთა მეცნიერული ანალიზიც ურთიერთსაწინააღმდეგო მეთოდოლოგიით ხასიათდება. მერკანტილისტების გაგებით, საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონები უნდა ვეძიოთ მხოლოდ ვაჭრობის სფეროში, ფიზიოკრატების აზრით კი - მატერიალური წარმოების სფეროში კერძოდ, სოფლის მეურნეობაში, მიწათმოქმედებაში. მერკანტილისტების აზრით, სახელმწიფოს სიმდიდრე დამოკიდებულია ვაჭრობაზე, ფიზიოკრატებისა კი - მატერიალურ წარმოებაზე, კერძოდ, სოფლის მეურნეობაზე. ამიტომ მერკანტილიზმი კმაყოფილდება მხოლოდ პრაქტიკული რეკომენდაციებით, ფიზიოკრატიზმი კი საკითხის თეორიულ განზოგადებას მატერიალური წარმოების ანალიზში ეძებს.

მიუხედავად იმისა, რომ მერკანტილიზმმა XVI-XVII საუკუნეებში საერთო აღიარება ჰპოვა, რის შედეგადაც იგი გავრცელდა ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოში და მათ შორის რუსეთში /პეტრე პირველის დროს/, მან მაინც ვერ ახსნა ის ეკონომიკური მოვლენები, რომლებიც თა-

ვიანთი შინაგანი ბუნებით საქონელწარმოებისა და ვაჭრობის განვითარებას განაპირობებდნენ. ფიზიოკრატების დამსახურებად კი ის უნდა ჩაითვალოს, რომ მათ პირველებმა უარყვეს მიმოქცევის სფერო და საზოგადოებრივი მოვლენების ანალიზი დაიწყეს მატერიალური წარმოების მოვლენების ახსნა-განმარტებით. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოების სფეროდ მათ მხოლოდ სოფლის მეურნეობა /მიწათმოქმედება/ მიაჩნდათ, მათი ეკონომიკური მოძღვრება იყო ცალმხრივი და ამიტომ შედარებით ნაკლებად მეცნიერული.

საზოგადოებრივი წარმოების გაანალიზებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სკოლამ და, კერძოდ, მისმა საუკეთესო წარმომადგენლებმა ვ. პეტიმ, ა. სმიტმა და დ. რიკარდომ. იმ უბრალო აღმოჩენამ, რომ ღირებულების წყარო არის შრომა /ვ. პეტი/, პოლიტიკურ ეკონომიაში უდიდესი გადატრიალება მოახდინა. აღიარა რა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა მატერიალური წარმოების სფეროდ, ა. სმიტმა წინ წასწია და განავითარა ვ. პეტის გენიალური მიხვედრა, თუმცა მისი კვლევის მეთოდში მშვიდობიანი თანაარსებობა პოვა ისეთმა ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებებმა, როგორიცაა მოვლენათა ზედაპირული და სიღრმისეული ანალიზი, რის გამოც უკვე შემჩნეული ეკონომიკური წინააღმდეგობები მან თეორიულად კი არ გადაჭრა, არამედ თავად მოექცა მუდმივი წინააღმდეგობების ჩიხში. მის შემოქმედებაში წინააღმდეგობრივი მხარე იმდენად ჩაიხლართა, რომ დ. რიკარდომაც კი ვერ შეძლო ამ წინააღმდეგობათა მეცნიერული გადაწყვეტა. ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სკოლის მეცნიერული შეზღუდულობა იმითაც აიხსნება, რომ მისი წარმომადგენლები ვერ გასცდნენ კერძო საკუთრების ჩარჩოებს, რის შედეგადაც კაპიტალისტური საზოგადოებრივი წარმოება მათ წინაშე წარმოდგა როგორც მუდმივად არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია. ბუნებრივია, რომ მათი თეორიაც ბურჟუაზიული საზოგადოების მარადიულობით შემოიფარგლა და ამიტომ ნათელი რი-

კი წინააღმდეგობების წინაშე აღმოჩნდა, რომლის დაძლევაც შემეცნების მათი მეთოდით შეუძლებელი შეიქნა.

საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონების ნამდვილად მეცნიერულ საფუძვლებზე შემეცნება და მათი შინაგანი ბუნების გადმოცემა დაიწყო წარმოების ისეთი კლასის ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც დაკავშირებულია თვით საზოგადოების განვითარების მატერიალისტურ გაგებასთან. როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთ კლასად საზოგადოებაში ითვლება პროლეტარიატი, მუშათა კლასი, რომელიც, იბრძვის რა საერთოდ ყოველგვარი ექსპლოატაციის წინააღმდეგ, იბრძვის უკლასო საზოგადოების აშენებისათვის, ე. ი. მუშათა კლასი კლასობრივ ბრძოლაში იბრძვის საკუთარი არსებობის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ საზოგადოებრივი მოვლენების კვლევა-ძიება მუშათა კლასის ინტერესებიდან გამომდინარე ნამდვილად მეცნიერულია, ვინაიდან იგი ასახავს საზოგადოების წინსვლითი მოძრაობის სინამდვილეს, რადგან მუშათა კლასის ინტერესები მარტო პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებით კი არ შემოიფარგლება, არამედ უფრო ფართო დიაპაზონით განისაზღვრება, კერძოდ, მისი საბოლოო მიზანია კომუნისტური საზოგადოების აშენება.

მუშათა კლასის ინტერესების თვალსაზრისიდან გამომდინარე საზოგადოების განვითარების კანონების შემეცნების ცდები პირველად XVI საუკუნეში წამოიჭრა. ამ პერიოდისათვის კაპიტალიზმი, როგორც საზოგადოებრივი წყობილება, ახლად ყალიბდებოდა. მიუხედავად ამისა, იმთავითვე კარგად გამოიკვეთა მისი ექსპლოატატორული ხასიათი. კაპიტალის თავდაპირველ დაგროვებას თან დაჰყვა მწვავე კლასობრივი ბრძოლა, რომელიც გლეხების მასობრივ მოძრაობასა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ქალაქის ღარიბთა ბრძოლაში აისახა. მშრომელი მასების სიღარიბემ, წვრილ მესაკუთრეთა ექსპროპრიირებამ, ჩაგვრამ და ეკონომიკურმა იძულებამ საზოგადოების პროგრესული მასების მოწინავეთა რიგებში წარმოშვა აზრი კერძო საკუთრებისა და მშრომელი ადამიანების ექსპლოატაციის მოს-

პიზის შესახებ, რომელიც ჩამოყალიბდა უტოპიური სოციალიზმის სახელწოდებით.

ისტორიული თვალსაზრისით უტოპიური სოციალიზმი მწვავე, მაგრამ პოლიტიკურად ჯერ კიდევ არამწიფე კლასობრივი ბრძოლის პროდუქტია, ვინაიდან ამ პერიოდისათვის მუშათა კლასს თავისი განვითარების დონითა და ხასიათით არ შეეძლო ეწარმოებინა ბურჟუაზიის წინააღმდეგ დამოუკიდებელი ბრძოლა და, მაშასადამე, მზად არ იყო პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის. მისი კლასობრივი ბრძოლა ჯერ კიდევ სტიქიური ხასიათის მატარებელია, რომელიც მშრომელთა ცალკეული ჯგუფების უკმაყოფილებასა და აღშფოთებაში გამოიხატებოდა. რასაკვირველია, ასეთ პირობებში უტოპიური სოციალიზმის აღმოცენება საზოგადოების განვითარების ისტორიაში პროგრესული მოვლენა იყო, ვინაიდან იგი ღაღადებდა ექსპლოატაციისაგან თავისუფალ საზოგადოებაზე გადასვლას.

სწორედ ამიტომ, როგორც ვ.ი. ლენინი აღნიშნავს, უტოპიური სოციალიზმი მოგვევლინა მარქსიზმის წარმოშობის ერთ-ერთ თეორიულ წყაროდ: მიუხედავად საკუთარი განუვითარებლობისა, ეკონომიკურ მეცნიერებაში პირველად მან დააყენა საზოგადოებრივი წყობილების გარდამავლობის შესახებ საკითხი და ამით ბურჟუაზიული საზოგადოების ბუნებრივ მარადისობას სოციალისტურ საზოგადოებაზე გადასვლის აუცილებლობა დაუპირისპირა, რის შედეგადაც მან უარყო კაპიტალიზმის უცვლელობა და მუდმივობა. ამან კი ხელი შეუწყო საზოგადოების პროგრესულ მასებში რევოლუციური აზრების გავრცელებას და მის მოწინავეთა რიგების დარაზმულობას კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უტოპიური სოციალიზმის საუკეთესო წარმომადგენლები სენ-სიმონი, ფურიე, ოუენი, კამპანელა და სხვები მშრომელ მასებს თანაუგრძნობდნენ და ცდილობდნენ როგორმე გაეუმჯობესებინათ მათი ხვედრი. ერთ-ერთმა მათგანმა /ოუენმა/ კომუნაც კი ჩამოაყალიბა, სადაც ყველა წევრი ითვლებოდა როგორც ერთ ოჯახში შემავალი, რომელთა შორის სუფევდა ერთიანობა და

ძმობა /ამ კომუნამ იარსება სულ შვიდი წელი /1859-1865/,როგორც მოსალოდნელი იყო,იგი დაიშალა შინაგან განხეთქილებათა და გარეგან ფაქტორთა ზემოქმედების შედეგად/.

მიუხედავად იმისა,რომ სენ-სიმონი,ფურიე,ოუენი,კამპანელა და სხვები ღაღადებდნენ სოციალიზმზე გადასვლის აუცილებლობაზე,მათი აზრი უტოპიურია იმიტომ,რომ მათ მიერ არჩეული გზა არ შეესაბამებოდა სინამდვილეს,რადგან მათი აზრით სოციალიზმზე გადასვლა შესაძლებელია რევოლუციის გარეშე,ეგრეთწოდებული მშვიდობიანი და გონივრული გზით. კერძოდ,როგორც ისინი ფიქრობდნენ,საკმარისია ჩამოყალიბდეს გონივრული მთავრობა,რომ შესაძლებელი შეიქმნას სოციალიზმზე გადასვლა. მაგრამ სოციალისტური საზოგადოების აშენების ასეთი გზა უტოპისტების სიცოცხლეშივე უარყოფილ იქნა. მაგ.,ბურჟუაზიული საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის მიზნით ოუენმა გაილაშქრა სამი მოვლენის / კერძო საკუთრების,რელიგიისა და ქორწინების არსებული ფორმის/ წინააღმდეგ,რაც გადაიქცა მიზეზად იმისა,რომ იგი გააძევეს "ოფიციალური საზოგადოებიდან",რამაც გააფრთხილა როგორც ოუენი,ისე სხვა სოციალისტ-უტოპისტები,რომ კერძო საკუთრება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ხელშეუხებელია.

საზოგადოების განვითარების კანონების შემეცნების ცდებმა მაშინ მიიღო ნამდვილად მეცნიერული ხასიათი,როდესაც თვით საზოგადოებაში მუშათა კლასი გადაიქცა ძირითად რევოლუციურ ძალად. აქედან მოყოლებული აღმოცენდა და განვითარდა პროლეტარიატის იდეოლოგია,რომელმაც მშრომელი მასები სოციალისტურ რევოლუციამდე და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებამდე მიიყვანა და რომელიც კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში მათ რაზმავს და აერთიანებს. ასეთი იდეოლოგიაა მარქსიზმ-ლენინიზმი,რომელიც აღმოცენდა გასული საუკუნის ორმოციან წლებში და რომელიც ამჟამად პროგრესული კაცობრიობის წარმმართველი ძალაა.

მარქსიზმმა სისხლხორცეულად შეითვისა თავისი წინამორბედების /კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის, უტოპიური სოციალიზმისა და კლასიკური ფილოსოფიის/ იდეები, რაზე დაყრდნობითაც მან მეცნიერულად განაზოგადა პროლეტარიატის ისტორიული როლი ბურჟუაზიული საზოგადოების რევოლუციურ გარდაქმნაში. ამიტომ ვ.ი. ლენინის სიტყვები სტატიაში "კარლ მარქსის მოძღვრების ისტორიული ბედი", შემთხვევითი არ არის. იგი აქ მიუთითებს, რომ "მარქსის მოძღვრებაში მთავარია პროლეტარიატის, როგორც სოციალისტური საზოგადოების შემოქმედის, მსოფლიო-ისტორიული როლის გამოკვლევა. დაადასტურა თუ არა ეს მოძღვრება მოვლენათა მსვლელობამ მთელ მსოფლიოში მას შემდეგ, რაც იგი მარქსმა ჩამოაყალიბა?" განიხილავდა რა განვლილ პერიოდს, ვ.ი. ლენინმა უპასუხა, რომ "მარქსიზმს, როგორც პროლეტარიატის მოძღვრებას, კიდევ უფრო დიდ ტრიუმფს მოუტანს მომავალი ისტორიული ეპოქა"[1].

მარქსისტულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ, რომელმაც მწვავე კლასობრივი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია, მუშათა კლასი იდეურად შეაიარაღა და პოლიტიკურად განამტკიცა როგორც დამოუკიდებელი მებრძოლი ძალა. გამოაცხადა რა პროლეტარიატი სოციალისტური რევოლუციის ჰეგემონად, მარქსისტულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ ღრმამეცნიერული დონით გამოამჟღავნა საზოგადოების განვითარების კანონების შინაგანი ბუნება და შექმნა მოძღვრება წარმოების ერთი წესიდან მეორეზე გადასვლის ობიექტური აუცილებლობის შესახებ, რომელშიც პოლიტიკური ეკონომიის, როგორც მეცნიერების, საგანი – საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობები აისახა.

საზოგადოების განვითარების კანონების მეცნიერული ახსნა-განმარტება შესაძლებელი შეიქმნა მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალისტური გაგების შემდეგ, რაზე დაყრდნობითაც შეიქმნა მეცნიერული კომუნიზმის თეორია, რომელიც მარქსამდე მხოლოდ ჰიპოთეზა იყო, ხოლო "კაპიტალის" გამოქვეყნების დროიდან კი იგი მეცნიერულად დამტკი-

---

[1] ვ.ი. ლენინი. თხზ., ტ. 18, გვ. 705,709.

ლებულ დებულებად გადაიქცა. მარქსის "კაპიტალმა" ბურჟუაზიული ეკონომიკური მეცნიერების საფუძვლები ძირეულად შეარყია. განსაკუთრებით კვლევა-ძიების მისმა მეთოდმა უდიდესი ლახვარი ჩასცა აპოლოგეტური და ვულგარული ხასიათის ყალბ კონცეფციებს, ვინაიდან კაცობრიობის ისტორიაში პირველად ჩამოყალიბდა და განვითარდა პროლეტარული პოლიტიკური ეკონომიის მეთოდოლოგიური პრინციპები და მთავარი დებულებები, რომლებზე დაყრდნობითაც გამოვლინდა კაპიტალისტური საქონელწარმოების ეკონომიკური კანონების მოქმედების ხასიათი, მისი განვითარების საერთო კანონზომიერებანი და წინააღმდეგობრივი თავისებურებანი. ამ უკანასკნელთა მეცნიერულმა განზოგადებამ კი ბურჟუაზიული საზოგადოება რევოლუციური გარდაქმნის ობიექტურ აუცილებლობამდე მიიყვანა.

ისტორიის მატერიალისტური გაგების მიზნით კ. მარქსმა ეკონომიკურ კვლევა-ძიებათა სფეროში გამოიყენა დიალექტიკური მეთოდი, რის საფუძველზეც მან კაპიტალისტური სისტემის გენეზისის ისტორიაში პოლიტიკისა და ეკონომიკის თანაფარდობა სწორად გადაჭრა. ამავე დროს მან გაანალიზა საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების თანაფარდობის პრობლემა და აღმოაჩინა სრულიად ახალი კანონი - წარმოებითი ურთიერთობების საწარმოო ძალებისადმი შესაბამისობის კანონი. ზუსტად დიალექტიკური მატერიალიზმის გამოყენებით კ. მარქსმა შეძლო მოჩვენებითობის მიღმა არსის აღმოჩენა, ფორმასა და შინაარსს შორის კავშირის განსაზღვრა, თეორიისა და პრაქტიკის წინააღმდეგობათა დაძლევა, კონკრეტულობიდან აბსტრაქტულობისაკენ და, პირიქით, აბსტრაქტულობიდან კონკრეტულობისაკენ გზების გამონახვა.

"კაპიტალის" დამსახურება იმაშიც მდგომარეობს, რომ მან რევოლუციური გადატრიალება მოახდინა ისეთ სფეროში, როგორიცაა ფულისა და ღირებულების თეორია. საქონლის შინაგანი ბუნების გაანალიზებისას, კერძოდ, მისი ორი თვისების - სახმარი ღირებულებისა და ღირებულების ახსნა-განმარტებისას, კ. მარქსმა აღმოაჩინა მასში /საქონელში/ გა-

ნივთებული შრომის ორადი ხასიათი, რომელზედაც დაფუძნებულია პოლიტიკური ეკონომიის ყოველი ფაქტი. შრომის ორადი ხასიათის აღმოჩენით შესაძლებელი შეიქმნა ღირებულების ფორმების გარკვევა და ფულის წარმოშობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების თეორიული ჩამოყალიბება; რომლის პრაქტიკული პროცესიც დაკავშირებულია დაქირავებული შრომის ექსპლოატაციასთან.

აღწერა რა კაპიტალიზმის გენეზისს, კ. მარქსი მიუთითებდა, რომ საქონელმიმოქცევა არის კაპიტალის ამოსავალი პუნქტი, ვინაიდან, ფული, საქონელმიმოქცევის ეს უკანასკნელი პროდუქტი, კაპიტალის გამოვლინების პირველი ფორმაა. "კაპიტალის" 24-ე თავში მან მოგვცა კაპიტალის ეგრეთწოდებული თავდაპირველი დაგროვების საშინელი სურათი, რომელიც გლეხების ექსპლოატაციისა და კოლონიების ძარცვა-გლეჯის შინაარსის ამსახველია. ამ სურათით კ. მარქსმა სამუდამოდ გააცამტვერა ბურჟუაზიული თეორეტიკოსების მითი იმის შესახებ, თითქოს კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია მხოლოდ ფულადი კაპიტალის დაგროვებასთან; მაგრამ მან ცოცხალი ფაქტების მაგალითზე დაამტკიცა, რომ ფული არ შეიძლება გადაიქცეს კაპიტალად, თუ მისი მიმოქცევა სამუშაო ძალის, როგორც საქონლის, ექსპლოატაციაზე არ არის დაფუძნებული. ამით მან შეამჩნია და შინაარსიანად აღწერა კაპიტალიზმის ის ძირითადი წინააღმდეგობა, რომლის გაღრმავება და გამწვავებაც ქმნის ამ უკანასკნელის რევოლუციური გარდაქმნის წანამძღვრებს.

კაპიტალისტური საქონელწარმოების ღრმამეცნიერული ანალიზის საფუძველზე კ. მარქსმა ფაქტიურად უარყო სოციალისტ-უტოპისტების სოციალიზმზე გადასვლის თეორია და წამოაყენა სრულიად საწინააღმდეგო დებულება, რომლის მიხედვითაც ბურჟუაზიული ურთიერთობებისა და მის შიგნით ანტაგონისტური წინააღმდეგობების მოსპობა შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გზით, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების გზით.

აფასებდა რა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის უდიდეს დამსახურებას, რაც გამოიხატა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის დამუშავებაში და პროლეტარიატის შეიარაღებაში ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების საერთო კანონების ცოდნით, ვ. ი. ლენინი წერდა: "ქაოსი და თვითნებობა, რაც აქამდე გამეფებული იყო შეხედულებებში ისტორიასა და პოლიტიკაზე, შეიცვალა საოცრად მთლიანი და მწყობრი მეცნიერული თეორიით, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ვითარდება საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი წყობიდან, საწარმოო ძალების ზრდის გამო, მეორე უფრო მაღალი წყობა, მაგალითად, ბატონყმობიდან ვითარდება კაპიტალიზმი"[1].

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მოძღვრება ბურჟუაზიული საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის შესახებ შემდგომში გააღრმავა და შემოქმედებითად განავითარა ვ. ი. ლენინმა, რომელმაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში მკვეთრად ასახა საერთოდ პროლეტარიატის და, კერძოდ, რუსეთის მუშათა კლასის ისტორიული როლი. მან ამ პერიოდში უდიდესი შრომა გასწია იმისათვის, რომ გაეყალბებინა ნაროდნიკებისა და "ლეგალური მარქსისტების" შეხედულებები რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებისა და სოციალისტურ რევოლუციაში მუშათა კლასის ჰეგემონის, წამყვანი ძალის უარყოფის შესახებ. ვ. ი. ლენინის შრომა "კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" იმის დადასტურება იყო, რომ ნახევრად ფეოდალურ საზოგადოებაში კაპიტალისტურმა ურთიერთობებმა საგრძნობლად მოიკიდა ფეხი და შესაბამისი ტემპით წინ წაიწია, რასაც შედეგად პროლეტარიატის /მუშათა კლასის/ აღმოცენება და განვითარება მოჰყვა.

კაპიტალისტური ურთიერთობების ღრმამეცნიერული ანალიზის საფუძველზე ვ. ი. ლენინმა კომუნისტურ პარტიასა და რუსეთის მუშათა კლასს დაუსახა სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების გზები. მარქსისტულ მემკვიდრეობაში უდიდესი წვლილი შეიტანა მისმა შრომამ "იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია", სადაც მოცემულია იმპერიალიზმის ძირითადი ნიშნები და მისი ის-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 5-6.

ტორიული ადგილი. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ იმპერიალიზმი მონოპოლისტური კაპიტალიზმია, იმპერიალიზმი პარაზიტული, ლპობადი კაპიტალიზმია, იმპერიალიზმი მომაკვდავი კაპიტალიზმია, იმპერიალიზმი სოციალისტური რევოლუციის წინადღეა.

ვ. ი. ლენინმა საზოგადოების განვითარების კანონების შემეცნების შედეგად არა მარტო თეორიულად დაასაბუთა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების ობიექტური აუცილებლობა; არამედ მან პირველმა შეარაზმა მუშათა კლასი, მშრომელი მასები ერთიან მძლავრ ძალად და არსებული წესწყობილების წინააღმდეგ წარმართა. მან შექმნა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოაწრთო ახალი ტიპის პოლიტიკური პარტია, რომელმაც რუსეთის პროლეტარიატი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე მიიყვანა და რომლის ხელმძღვანელობითაც საბჭოთა ხალხმა ახალი, ყოველგვარი ანტაგონისტური წინააღმდეგობებისაგან თავისუფალი საზოგადოება ააშენა.

ახასიათებს რა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების ისტორიულ მნიშვნელობას, ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს:

"როცა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა, ჭვრეტდნენ რა მომავალს, სოციალიზმისა და კომუნიზმის კონტურები მოხაზეს, მათ უდიდესი სიფრთხილე გამოიჩინეს. არც ერთი მისხალი უტოპია, არავითარი ფანტაზიები, მხოლოდ ის, რაც შეიძლება მეცნიერულად დამტკიცდეს: განვითარების ძირითადი ტენდენციები, მთავარი, პრინციპული დახასიათებანი"[1].

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები უკვდავია. იგი ძლევამოსილ დროშად მოევლინა მთელ მსოფლიოს, ღრმა იდეოლოგიური რწმენით შეაიარაღა მუშათა კლასი, მონოლითურად შეაკავშირა იგი და აღაფრთოვანა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოსპობილ იქნას დედამიწაზე ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა. მსოფლიო მუშათა კლასისთვის ჩირაღდანივით კიაფობს სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, რომელსაც დღეისათვის პლანეტაზე როგორც პოლიტიკურ, ისე სამეურნეო დარგში გადამწყ-

---

[1] ლ. ი. ბრეჟნევი, კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა, გვ. 4.

ტი ადგილი უკავია. კაპიტალისტურ ქვეყნებში იზრდება და ღრმავდება მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური /კომუნისტური და მუშათა/ პარტიების ავტორიტეტი, რის გამოც მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა განიცდის თანდათანობით რღვევას, ძლიერდება მშრომელი მასების ინიციატივა, ღრმავდება შრომასა და კაპიტალს შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობა, სულ უფრო შინაარსიანი ხდება ბრძოლა სოციალიზმისათვის, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის. კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელი მასები მტკიცე პროტესტს აცხადებენ გამალებული შეიარაღების, ეგრეთწოდებული რეგულირებადი ბირთვული ომის წინააღმდეგ, რაც გზას უღობავს რეაქციული ძალების აღვირახსნილობას, ორ სისტემას შორის დაძაბულობის გამწვავებას და ფართო გასაქანს აძლევს პროგრესული ძალების თავისუფალ მოქმედებას.

სკკპ XXV ყრილობაზე ლ.ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: "კომუნისტები თავიანთ ბრძოლაში ხელმძღვანელობენ რევოლუციის განვითარების, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ზოგადი კანონზომიერებებით. ეს კანონზომიერებანი, რომლებიც ასახა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიამ, და დადასტურდა პრაქტიკით, გაშლილი ფორმით კოლექტიურად ჩამოაყალიბეს მოძმე პარტიების საერთაშორისო თათბირებმა. ამ ზოგად კანონზომიერებათა ღრმა გაგება, მათზე დაყრდნობა თითოეულ მოცემულ ქვეყანაში შემოქმედებით მიდგომასთან და კონკრეტული პირობების გათვალისწინებასთან შეხამებით იყო და არის მარქსისტ-ლენინელთა განუყრელი თავისებურება"[1].

იმპერიალიზმის, კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი სტადიის, რევოლუციური გარდაქმნისა და ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან თავისუფალი საზოგადოების აშენების პროცესი – ეს არის ადამიანთა საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონების მოქმედების შედეგი, კერძოდ, ღრმამეცნიერული ანალიზის საფუძველზე მათი შემეცნებისა და სამეურნეო საქმიანობაში გამოყენების შედეგი. ეს მოვლენა თავისი

---

[1] სკკპ XXV ყრილობის მასალები, გვ. ,42:

შინაარსით ბუნებრივ-ისტორიული პროცესია და საერთოდ მისი შეჩერება ან შენელება სახელმწიფო დეკრეტებით ან რეაქციული ძალების ზემოქმედებით ბუნებრივად უკვე შეუძლებელია. მუშათა კლასი არა მარტო სოციალისტურ ქვეყნებში, არამედ მსოფლიო მასშტაბით მტკიცედ მიიკვლევს გზას წინ - კომუნისტური საზოგადოებისაკენ.

საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა განსაკუთრებულად გააქტიურდა ოთხმოციანი წლების მიჯნაზე. ახლა კომპარტიები აქტიურად მოქმედებენ მსოფლიოს 94 ქვეყანაში. მარტო დასავლეთ ევროპაში უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მათ რიგებს შეემატა დაახლოებით 800 ათასი ახალი მებრძოლი. სკკპ XXVI ყრილობაზე ლ.ი. ბრეჟნევმა აღნიშნა:

"საბჭოთა კომუნისტები მიესალმებიან კომპარტიათა მიღწევებს თავიანთი რიგების გაფართოების, მასებთან კავშირურთიერთობის განმტკიცების, მუშათა კლასის და ყველა მშრომელის ინტერესების, მათი დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საქმეში, მონოპოლიათა ყოვლისშემძლეობის შეზღუდვისათვის; მილიტარიზმის ზრდის აღკვეთისათვის, თავიანთი ქვეყნების განვითარების სოციალისტური პერსპექტივისათვის ბრძოლაში"[1].

მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში დღეისათვის მთავარი ის არის, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტები "ყველაზე ღრმად და სწორად ხედავენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესების არსსა და პერსპექტივას, გამოაქვთ აქედან სწორი დასკვნები თავიანთი ქვეყნების მუშათა კლასის, მშრომელთა ინტერესებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის საბრძოლველად"[2].

---

[1] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, გვ. 28.
[2] იქვე, გვ. 26.

3. ეკონომიკური კანონების მოქმედების თავისებურებანი და მათი ასახვა სამეურნეო მექანიზმში

ამა თუ იმ საზოგადოების ეკონომიკური კანონების მოქმედება ვლინდება წარმოებითი ურთიერთობების წინსვლით მოძრაობაში, რომლის შესწავლა-შემეცნებაც, როგორც ზემოთ ითქვა, არის საერთოდ ადამიანთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიული პროცესების ახსნა-განმარტების ამოსავალი პუნქტი. რამდენადაც თითოეულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას საკუთარი წარმოებითი ურთიერთობები გააჩნია, ამიტომაც ამ უკანასკნელთა გაანალიზება ქმნის მოცემული ფორმაციის წინსვლითი მოძრაობის შესახებ განსაკუთრებული სახის ისტორიას და ავლენს ერთი თვისებრივი საფეხურიდან მეორეზე გადასვლის ობიექტურ აუცილებლობას. მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი წყობილების შედარებით დაბალი ფორმიდან მაღალზე გადასვლა სრულიადაც არ არის დამოკიდებული წარმოებითი ურთიერთობების გაანალიზების დონეზე, რადგან გადასვლის აუცილებლობას განაპირობებს თვით საზოგადოებრივი წარმოების შიგნით საწარმოო ძალებსა და მოცემულ წარმოებით ურთიერთობებს შორის თანაფარდობა, ე.ი. ის, თუ წარმოებითი ურთიერთობები რამდენად შეესაბამება საწარმოო ძალების განვითარების დონესა და ხასიათს.

მართალია, ეკონომიკური კანონების მოქმედება ვლინდება წარმოებითი ურთიერთობების წინსვლით მოძრაობაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოებრივი წარმოების სტიქიურად ან გეგმაზომიერად ფუნქციონირების პირობებში მათი მოქმედება უნდა ვლინდებოდეს ერთი და იგივე ფორმაგანსაზღვრულობით. კერძოდ, ადამიანთა საზოგადოების განვითარების ყველა ცალკე აღებულ საფეხურზე წარმოებითი ურთიერთობების საწარმოო ძალებისადმი შესაბამისობის კანონი ხასიათდება საკუთარი სპეციფიკური შინაარსით.[1] ყველა ეტაპზე მათი გაანალიზების, აღწერისა

და გადმოცემის მეცნიერული დონე სათანადო და შესაბამისი იყო მანამდე, სანამ თვით საზოგადოებრივ წარმოებაში ნაკლებად შეიმჩნეოდა მათ შორის უკვე წამოჭრილი წინააღმდეგობები. მაგ., კაპიტალიზმის აღმოცენება და განვითარება ფეოდალიზმთან შედარებით პროგრესული მოვლენა იყო ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში, ასევე წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ეკონომიკური თეორიებიც შედარებით მეცნიერული იყო იმ პერიოდისათვის, ვინაიდან ისინი ასახავდნენ შესაბამისად წვრილი და მსხვილი ბურჟუაზიის განვითარების ობიექტურ აუცილებლობას. მაგრამ მას შემდეგ, რაც კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში იმთავითვე აღმოცენებული ანტაგონისტური წინააღმდეგობები უფრო გამწვავდა და გაღრმავდა, კაპიტალიზმის, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის, მეცნიერული გაანალიზება ბურჟუაზიის თვალთახედვის პოზიციებიდან უკვე შეუძლებელი შეიქმნა. როგორც კ. მარქსი აღნიშნავს, "ამიერიდან საქმე შეეხებოდა უკვე არა იმას, სწორია თუ არა ესა თუ ის თეორიები, არამედ სასარგებლოა იგი კაპიტალისთვის თუ საზიანო, ხელსაყრელია მისთვის თუ არახელსაყრელი, შეეთანხმება იგი პოლიციურ მოსაზრებებს თუ არა. უანგარო კვლევა-ძიების ადგილს დაქირავებული მეღაბნეების მყვირალა პოლემიკა იჭერს, მიუდგომელი მეცნიერული გამოკვლევის ადგილს კი - არაკეთილსინდისიერი, მლიქვნელური აპოლოგეტიკა"[1].

რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში ზედმეტია ლაპარაკი ეკონომიკური კანონების მოქმედების მექანიზმის შემეცნებასა და მის გამოყენებაზე, ე.ი. ამ კანონების მოთხოვნათა სამეურნეო მექანიზმში ასახვაზე. ყოველივე ეს შესაძლებელია მხოლოდ ისეთ საზოგადოებაში, სადაც წარმოებითი ურთიერთობების შემდგომი განვითარება დაკავშირებულია საწარმოო ძალების გეგმაზომიერ ზრდასთან.

მანამდე, სანამ გეგმაზომიერად ორგანიზებულ საზოგადოებრივ წარ-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 15.

მოქმედი ეკონომიკური კანონების, როგორც წარმოებით ურთიერთობების მოძრაობის კანონების, მოქმედების მექანიზმი გამოიყურებოდეს, ჩვენი აზრით, აუცილებელია მოქმედებისა და ხასიათის მიხედვით ამ კანონთა დაჯგუფება-კლასიფიკაცია, ვინაიდან საზოგადოებრივი წარმოების წინსვლის მოძრაობაში ადგილი აქვს თვით ეკონომიკური კანონების მოდიფიკაციას /ვარიაციას/, რის გამოც გარკვეულ წილად იცვლება და გარდაიქმნება მათი მოქმედების მექანიზმიც. მაგ., წარმოებითი ურთიერთობების საწარმოო ძალებისადმი შესაბამისობის კანონი ფორმით ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში თითქმის ერთი და იგივეა, შინაარსით კი - კანონთა სხვადასხვაობაა, ვინაიდან საზოგადოებრივი წარმოების ერთი საფეხურიდან მეორე საფეხურზე გადასვლისას ძირეულად იცვლება არა მარტო წარმოებითი ურთიერთობები, არამედ თვით საწარმოო ძალებიც. ამიტომ როგორიც არ უნდა იყოს ეკონომიკური კანონების მოძრაობის ზედაპირული ფორმა, მისი შინაარსი გარდამავალი ხასიათისაა, რადგან საზოგადოების განვითარების ცალკეულ ეტაპს შესაბამისი შინაარსის მქონე ეკონომიკური კანონები ამოძრავებს.

მიუხედავად ამისა, ისინი ემორჩილებიან ადამიანთა საზოგადოების განვითარების საერთო კანონზომიერებებს და მის შიგნით თავიანთი მოძრაობითა და ფუნქციონირებით სხვადასხვა როლს ასრულებენ, რაც განაპირობებს ურთიერთობათა ერთიან სისტემაში მათ ჯგუფებად წარმოსახვას, რომელთაგან უნდა აღინიშნოს შემდეგი: საყოველთაო ეკონომიკური კანონები, საერთო ეკონომიკური კანონები, სპეციფიკური ეკონომიკური კანონები, განსაკუთრებული ტიპის ეკონომიკური კანონები და სხვა სახის ეკონომიკური კანონები, რომლებიც მოქმედებენ ადამიანთა საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპებზე.

როგორც აღინიშნა, წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში როლისა და ადგილის მიხედვით ეკონომიკური კანონების კლასიფიკაცია განპირობებულია თვით კანონთა მოქმედების პირობებითა და მათი გამოვლინე-

ბის დროით. ამიტომ საყოველთაო ეკონომიკურ კანონებად შეიძლება ჩაითვალოს ის კანონები, რომლებიც ადამიანთა საზოგადოების არსებობისა და განვითარების მთელი წლების მანძილზე მოქმედებენ. მაგ., ასეთ კანონებად შეიძლება დავასახელოთ მატერიალური წარმოების განმსაზღვრელი როლის /პრიმატის/ კანონი, წარმოებითი ურთიერთობების საწარმოო ძალების ხასიათისა და განვითარების დონისადმი შესაბამისობის კანონი, წარმოებით ურთიერთობათა სისტემის შიგნით საკუთრებითი ურთიერთობების განმსაზღვრელი როლის კანონი და სხვ. ამ კანონების დამახასიათებელი ნიშან-თვისებები მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ასახავენ ადამიანთა საზოგადოებას ერთ მთლიანობაში, სადაც მკვეთრად შეიმჩნევა ის კანონთა მოქმედება, რომლებიც მის შიგნით ცალკეულ სფეროებს შორის არსებით კავშირებს განსაზღვრავენ.

საერთო ეკონომიკური კანონები საზოგადოებრივ წარმოებას განიხილავს როგორც თვისებრივად განსაზღვრულ სისტემას, რომელიც ყველა სხვა დანარჩენი სისტემისაგან სწორედ ამ თვისებრივი განსაზღვრულობით გამოირჩევა. მაგ., ღირებულების კანონი ასახავს საზოგადოებრივი წარმოების ისეთ სისტემას, სადაც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობებია, ხოლო გეგმაზომიერების კანონი კი ისეთ სისტემას, - სადაც უშუალო საზოგადოებრივი ურთიერთობებია. რა თქმა უნდა, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების სისტემა მნიშვნელოვნად განსხვავდება უშუალო საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემისაგან, მაგრამ ადამიანთა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ საფეხურზე ეს სისტემები მოქცეულია ერთ მთლიანობაში. მაგ., კომუნისტური საზოგადოების პირველ ფაზაზე, ე.ი. სოციალიზმის დროს, გეგმაზომიერების კანონის მოქმედებასთან ერთად ფუნქციონირებს ღირებულების კანონიც. მაგრამ ეს არ ქმნის ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენათა შეუთავსებლობას. იგი გვევლინება როგორც ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ურთიერთობათა სისტემის ურთიერთდაპირისპირების ერთიანობის მთლიანობა, რომელშიც რამდენადაც ვითარდება და ძლიერდება გეგმაზომიერების კანონის მოქმედება, იმდენად მცირდება და სუსტდება ღირებულების კანონის ფუნქციონირება. ამას ნათლად ადასტუ-

რების განვითარებული სოციალიზმის პირობებში სხვადასხვა ფორმის საწარმო გაერთიანებების აღმოცენება და მათი შემდგომი განვითარება საზოგადოებრივი წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის ბაზაზე.

როგორც ცნობილია, თითოეულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას ან საზოგადოების განვითარების ცალკეულ ეტაპებს ამოძრავებს სპეციფიკური ეკონომიკური კანონები, რომლებიც მოცემულ საზოგადოებას ახასიათებს ან ერთიან მთლიანობაში /ძირითადი ეკონომიკური კანონი/, ან ცალკეული შემადგენელი სფეროების მიხედვით. მაგ., ამ უკანასკნელთა ჯგუფს მიეკუთვნება ეკონომიკური კანონები: თავისუფალი კონკურენციის კანონი, მონოპოლიური კონკურენციის კანონი /კაპიტალისტურ წარმოებაში/; შრომის მიხედვით განაწილების კანონი /სოციალიზმის დროს/ და სხვ.[1], რომლებიც ავლენენ და ასახავენ საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპის სპეციფიკურობასა და თავისებურებებს. ძირითადი ეკონომიკური კანონი კი არის საზოგადოების, როგორც ერთიანი სისტემის, მამოძრავებელი ძალა, მისი შინაგანი ლოგიკა, რომელიც განაპირობებს, აწესრიგებს და წარმართავს ყველა სხვა სახის ეკონომიკური კანონების მოქმედებას. ამიტომ საზოგადოებრივ წარმოებას იგი ახასიათებს ერთიან მთლიანობაში და ავლენს მის შინაგან არსებით მხარეებს.

საერთოდ, ეკონომიკურ ლიტერატურაში საყოველთაო და საერთო ეკონომიკური კანონები გაიგივებულია იმ თვალსაზრისით, რომ საერთო კანონებად წარმოდგენილია აქ ჩამოთვლილი საყოველთაო კანონები. მიუხედავად ამისა, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, ეკონომიკური კანონების კლასიფიკაციისას მხედველობაში უნდა გვქონდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველმხრიობა და არა მისი ზედაპირული მხარე. მაგ., ღირებულების კანონი მოქმედებს რამდენიმე ეკონომიკურ ფორმაციაში /მონათმფლობელური, ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი და სოციალიზმ-კომუნიზმის პირველი ფაზა/.[2] ასევე თავისებური ხასიათდება გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების ეკონომიკური კანონიც /კერძოდ, მისი ელემენტების მოქმედე-

ზა შეიმჩნევა ჯერ კიდევ მონოპოლიურ გაერთიანებათა შიგნით კაპიტალიზმის დროს, თუმცა ამ უკანასკნელს არ შეუძლია მიაღწიოს და ვერც მიაღწევს ნამდვილ გეგმაზომიერებას, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების პირობებში, რომლის სრულყოფა და თანამიმდევრული გაუმჯობესება ექვემდებარება წინასწარ გააზრებულ მიზანდასახულობას/.

უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალიზმის პირობებში საზოგადოებრივი წარმოების გეგმაზომიერ განვითარებას აბრკოლებს წარმოების საშუალებებზე საკუთრების კერძო ფორმა. ამიტომ კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში მოქმედებს წინააღმდეგობა საზოგადოებრივი მასშტაბით წარმოების სტიქიურ ხასიათსა და საწარმოთა ან ცალკეულ მონოპოლიურ გაერთიანებათა მასშტაბით წარმოების შედარებით გეგმაზომიერ ხასიათს შორის. ცხადია, რომ ეს კანონები არ მიეკუთვნება საყოველთაო კანონების ჯგუფს და, მაშასადამე, მათი გამოცალკევება შესაბამისი ნიშან-თვისებებით უნდა მოხდეს და დაჯგუფდეს როგორც საერთო კანონები, რომლებთაგან, როგორც უკვე ითქვა, ადამიანთა საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე ერთის მოქმედება /ღირებულების კანონი/ დეგრესულია, ხოლო მეორის /გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონი/ კი – პროგრესული. სწორედ ეს განსაზღვრავს ღირებულების კანონის ისტორიულ ბედს. სრული კომუნიზმის პირობებში მისი არსებობა შეწყდება, გეგმაზომიერების კანონი კი პოვებს თავისი განვითარების სრულ სარბიელს.

მსხვილმა მანქანურმა წარმოებამ წარმოშვა და ჩამოაყალიბა მთელი რიგი კანონები, რომლებიც თავიანთი შინაგანი ბუნებით ყველა სხვა დანარჩენი ეკონომიკური კანონებისაგან ძირეულად განსხვავდებიან. მაგ., მსხვილი მანქანური წარმოებით აღმოცენდა და მოქმედებს მანქანის გამოყენების ეკონომიკური კანონი. ცხადია, ასეთი და მისი

მსგავსი კანონები განსაკუთრებული ტიპის ეკონომიკური კანონებია, ვინაიდან ისინი, როგორც მსხვილი მანქანური წარმოების წარმონაშობნი, მოქმედებენ როგორც საზოგადოებრივ ეკონომიკური კანონები და როგორც ტექნიკურ-ეკონომიკური კანონები. ბუნებრივია, რომ მათი მოქმედების სრულყოფა განისაზღვრება მოცემული წარმოების წესის სოციალურ-ეკონომიკური ბუნებით.

ეკონომიკური კანონების ასეთი სახით კლასიფიკაცია აადვილებს საზოგადოებრივი წარმოების ყოველმხრივ შესწავლას, მის ღრმამეცნიერულ-თეორიულ განზოგადებას. მაგრამ კვლევა-ძიების სირთულე ისაა, რომ ეკონომიკური კანონები, მიუხედავად მათი ამ მიმართულებით კლასიფიკაციისა, მოქმედებენ და ვლინდებიან მოდიფიცირებული სახით. ხშირ შემთხვევაში კი მათი გამოვლინება აისახება საშუალო სიდიდეებში, რასაც გარკვეული აღრევა შემოაქვს ეკონომიკურ ლიტერატურაში და, კერძოდ, სამეურნეო მექანიზმის დასაბუთებაში.

მაგ., საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე საყოველთაო ან საერთო ეკონომიკური კანონი შეიძლება გამოვლინდეს როგორც სპეციფიკური ეკონომიკური კანონი /მკვლევარისათვის, რა თქმა უნდა, ეს მეტად დიდი სირთულეა, რომლის დაუძლევლობის ნიადაგზეც კანონთა ზემოთ ხსენებული კლასიფიკაცია შეიძლება მან საეჭვოდ მიიჩნიოს და ისინი ერთმანეთისაგან ვერ გამიჯნოს/. ასეთი მოვლენები თავიდან რომ ავიცილოთ, უნდა გვახსოვდეს, რომ საზოგადოებრივ წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში შემავალ ყველა ეკონომიკურ კანონს თავისი დამახასიათებელი თვისება გააჩნია, რის მიხედვითაც იგი ამ სისტემაში შესაბამის ადგილს იკავებს.

საზოგადოებრივი განვითარებისა და ფუნქციონირების კანონების კვლევა-ძიებისას ყოველთვის უნდა ვხელმძღვანელობდეთ ვ. ი. ლენინის მითითებებით, რომელიც, ახასიათებდა რა ცალკეულისა და ზოგადის ურთიერთკავშირს, წერდა, რომ "ზოგადი არსებობს მხოლოდ ცალკეულში, ცალკეულის მეშვეობით. ყოველი ცალკეული არის /ასე თუ ისე/ ზოგადი. ყო-

ველი ზოგადი არის ცალკეულის /ნაწილაკი ან მხარე, ანუ არსება/. ყოველი ზოგადი მხოლოდ დაახლოებით მოიცავს ცალკეულს, ყოველი ცალკეული არასრულად შედის ზოგადში და ა. შ. და ა. შ. ყოველი ცალკეული ათასობით გადასასვლელითაა სხვაგვარ ცალკეულებთან /ნივთებთან, მოვლენებთან, პროცესებთან/ და ა. შ."[1]. ვ. ი. ლენინის ეს სიტყვები ერთხელ კიდევ ცხადყოფს იმას, რომ წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში თითოეული ეკონომიკური კანონისა და კატეგორიის ადგილისა და როლის გაგების მიზნით მათი "მწკრივება", ჯგუფებად დაყოფა ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს.

(ეკონომიკური კანონების კლასიფიკაციაში გარკვეული სიცხადე შეიტანა ი. სტალინმა. კერძოდ, ნაშრომში "სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაზე დაყრდნობით მან გააკრიტიკა იმ ეკონომისტთა აზრი, რომლებიც საზოგადოების განვითარების კანონების კლასიფიკაციაში ვერ ხედავდნენ განსხვავებას და ყოველი მათგანი მიაჩნდათ როგორც ძირითადი. ამ შრომაში დასაბუთედა, რომ ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის დამახასიათებელია მხოლოდ ერთი ძირითადი ეკონომიკური კანონი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებრივი წარმოების მიზანს და მიზნის მიღწევის საშუალებებს.)

პარტიის XXVI ყრილობამ ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი განვითარებული სოციალიზმის პირობებში ხელმძღვანელობის მთავარ ამოცანას და აღნიშნა, რომ "მეთერთმეტე ხუთწლედის მთავარი ამოცანაა, კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა იმის საფუძველზე, რომ მყარად, შეუნელებლად განვავითაროთ სახალხო მეურნეობა, დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ეკონომიკის გადაყვანა ინტენსიური განვითარების გზაზე, უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ ქვეყნის საწარმოო პოტენციალი, ყოველი ღონისძიებით დავზოგოთ ყველა სა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36, გვ. 373-374.

ხეობის რესურსები და გავაუმჯობესოთ მუშაობის ხარისხი"[1].

მეთერთმეტე ხუთწლედის მთავარი ამოცანის ამ განმარტებაში მოცემულია ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი წარმოების /სახალხო მეურნეობის/ მიზანი /საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის კიდევ უფრო გაუმჯობესება/ და მიზნის მიღწევის საშუალებები.

საზოგადოებრივი განვითარებისა და ფუნქციონირების ეკონომიკური კანონების ღრმამეცნიერული ანალიზი ადასტურებს წარმოების წესის აღმოცენებას საკუთარ საწყისებზე, მის განვითარებას და უმაღლეს საფეხურზე გადასვლის ობიექტურ აუცილებლობას. როგორც ცნობილია, ეს არის საზოგადოების ფუნქციონირების დიალექტიკური ლოგიკა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოების წესის მეცნიერული ანალიზიც ამ გზით უნდა მიმდინარეობდეს, რამაც სისხლხორცეული ასახვა ჰპოვა კ.მარქსის "კაპიტალში" და რომელსაც ჩვენ მივიჩნევთ საერთო სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და კანონების კვლევა-ძიების მეთოდოლოგიურ საწყისად.

სწორედ კვლევა-ძიებაში დიალექტიკური მეთოდის გამოყენება გვამცნობს, რომ ეკონომიკური კანონების ზემოთ ხსენებულ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია მათი მოქმედების ფორმაგანსაზღვრულობის ახსნა. იგი კვლევა-ძიებაში იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც საშუალებას გვაძლევს მოცემული ტიპის საზოგადოებრივი წარმოება გავაანალიზოთ საკუთარ ჩარჩოებში, რომლის შიგნითაც ვლინდება ეკონომიკურ მოვლენათა ურთიერთდამოკიდებულება, ურთიერთკავშირი და ურთიერთზემოქმედება. სწორედ ამ გზით ირკვევა, რომ, როგორიცაა საზოგადოებრივი წარმოების ფორმა, ისეთივეა ეკონომიკური კანონების მოქმედების ხასიათიც. მაგ., კაპიტალისტური საზოგადოებრივი წარმოება ფორმით სტიქიურია, შინაარსით კი – საქონლური, ამიტომ ამ საზოგადოებაში ეკონომიკური კანონების მოქმედებაც სტიქიურია, რასაც განაპირობებს თვით კაპიტალისტური საქონელწარმოება. წინააღმდეგ კაპიტალისტური მეურნეობისა, სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი წარმოება ფორმით გეგმაზომიერია,

---

[1] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, გვ. 208-209.

შინაარსით კი – უშუალო საზოგადოებრივი, ამიტომ ეკონომიკური კანონების მოქმედებაც გეგმაზომიერია, რასაც წარმოების უშუალო საზოგადოებრივი მხარე განაპირობებს.

საკითხის ამ მიმართებით დაყენება გვიჩვენებს, რომ ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში არ არსებობს თუნდაც ორი მონათესავე წარმოების წესი, რომელთა წარმოებითი ურთიერთობანიც ერთი და იგივე შინაარსით წარმოდგება. მიუხედავად ამისა, რომ მონათმფლობელური საზოგადოებისა და ფეოდალიზმის დროს ადამიანთა შორის კავშირები არაეკონომიკური ხასიათისაა, ფეოდალიზმის წარმოებითი ურთიერთობები შინაგანად მკვეთრად განსხვავდება მონათმფლობელური წარმოებითი ურთიერთობებისაგან. ასევე დიდი განსხვავებაა კერძო საკუთრების შიგნით წარმოებით ურთიერთობებს შორის /მონათმფლობელური საზოგადოება, ფეოდალიზმი და კაპიტალიზმი/. როგორც ცნობილია, მარტივი საქონელწარმოებისა და კაპიტალისტური საქონელწარმოების საერთო საფუძველს წარმოადგენს კერძო საკუთრებითი ურთიერთობა. მაგრამ სოციალურ-ეკონომიკური ბუნებით დიდი განსხვავებაა იმ ურთიერთობებს, რომლებიც პირად შრომას ემყარება, და იმ ურთიერთობებს შორის, რომლებიც დაქირავებულ შრომას ემყარება.

ცხადია, რომ რამდენადაც ეკონომიკური კანონები წარმოებითი ურთიერთობების ასახვისა და მოძრაობის კანონებია, იმდენად კანონთა კლასიფიკაცია არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ერთი და იგივე კანონი, რომელიც ადამიანთა საზოგადოების განვითარების თითქმის ყველა ეტაპზე მოქმედებს, უცვლელი შინაარსით ფუნქციონირებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს ყოვლად შეუძლებელია იმიტომ, რომ თითოეულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას მხოლოდ საკუთარი ეკონომიკური კანონები ამოძრავებს. ამ გაგებით ყველა ეკონომიკური კანონი სპეციფიკური შინაარსისაა, რაც იმაში ვლინდება, რომ ისინი მოქმედების ხასიათითა და შინაარს-თვისებებით ისტორიული, გარდამავალი კანონებია.

იზიარებს რა ამ აზრს, ეკონომიკური კანონების კლასიფიკაციას

ეკონომისტთა გარკვეული ნაწილი უარყოფს სხვადასხვა სახით მათ დაყოფას, გარდა სპეციფიკურისა. მათი აზრით, ეკონომიკური კანონების დაყოფა საერთო და სპეციფიკურ კანონებად შეუძლებელია და აუცილებელიც მხოლოდ ანტაგონისტურ ურთიერთობათა სისტემაში /მონათმფლობელურ საზოგადოებაში, ფეოდალიზმსა და კაპიტალიზმში/[1]. როგორც ვ. ნაუმოვა აღნიშნავს, საერთო ეკონომიკური კანონები ასახავენ წარმოებით-ტექნიკურ ურთიერთობებს, ხოლო სპეციფიკური კანონები კი - სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს[2].

რა თქმა უნდა, ყოველი ეკონომიკური კანონის მოქმედება ფუნქციონირებს გარკვეულ სივრცესა და განსაზღვრულ დროში. მაგ., ზედმეტი ღირებულების წარმოების ეკონომიკური კანონის მოქმედების სივრცე და დრო განსაზღვრულია ბურჟუაზიული საზოგადოების ჩარჩოებით. წარმოებითი ურთიერთობების საწარმოო ძალებისადმი შესაბამისობის კანონი კი იმით განსხვავდება ზედმეტი ღირებულების წარმოების კანონისაგან, რომ უკანასკნელის მოქმედების სივრცე და დრო მხოლოდ ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ჩარჩოებშია მოქცეული, პირველის კი - თითოეული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის სპეციფიკურობით განსაზღვრება, რაც აძლევს მას მოქმედების სპეციფიკურ ხასიათსა და გამოვლინების შესაბამის ფორმაგანსაზღვრულობას.

როგორც წესი, ეკონომიკური კანონების მოძრაობის ფორმა განისაზღვრება წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმით. ეს უკანასკნელი კი თვით საზოგადოებრივი წარმოების შინაგანი ბუნების განმსაზღვრელიცაა. ამიტომ იგი ამოსავალი პუნქტია არა მარტო ეკონომიკური კანონების მოძრაობის ხასიათისა და შინაარსის, არამედ მათი გამოვლინების ფორმის ახსნა-განმარტებისაც. კერძოდ, წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმაშია ჩაქსოვილი წარმოებითი ურთიერთობების ის ნიშან-თვისებები, რომლებითაც ხასიათდება მოცემული საზოგადოებ-

---

[1] Система экономических законов социализма. М., 1973, с.20.

[2] Наумова В.И. Система экономических законов социализма и механизм ее действия. Л., 1973, с.61.

ეკონომიკური ფორმაცია საკუთარ ჩარჩოებში. კერძო საკუთრებას შეესაბამება საზოგადოებრივი წარმოების სტიქიური ხასიათი, საზოგადოებრივ საკუთრებას კი – გეგმაზომიერი ხასიათი. კაპიტალისტური წარმოების პროცესში საზოგადოებრივი ძალების მოქმედება სტიქიურია და ამიტომ ისინი მოქმედებენ როგორც ადამიანზე ბრმად გაბატონებული ძალები. ამ ურთიერთობებში გეგმაზომიერების ელემენტების შეჭრა მიმდინარეობს ან ნემთხვევითობიდან შემთხვევითობამდე, ან საზოგადოებრივი წარმოების ერთ ცალკე აღებულ უბანზე /ეს, როგორც ზემოთ ითქვა, განსაკუთრებით დამახასიათებელია მონოპოლისტური კაპიტალიზმისათვის/.

როგორც კი წარმოების საშუალებებზე გაბატონდება საზოგადოებრივი საკუთრება, მწარმოებელთა ორგანიზებულობა შეგნებული ხასიათისა ხდება, ამიტომ მათი სამეურნეო საქმიანობა ერთიანი გეგმის გარეშე უკვე შეუძლებელია. საზოგადოებრივი წარმოების გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარება განაპირობებს მის შიგნით სამეურნეო საქმიანობის შეთანხმებულ მართვას, რომელსაც საფუძვლად წინასწარ განზრახული მიზნობრივი შედეგი უდევს. რასაკვირველია, ასეთ პირობებში ადამიანთა საქმიანობა ამ მიზანს ემსახურება და მისი მიღწევისათვის საზოგადოებრივი წარმოება, როგორც სამეურნეო საქმიანობის ერთიანი მთლიანობა, ამ მიმართულებით წარიმართება.

თუ, მაგ. სამეურნეო საქმიანობა, რომელშიც ეკონომიკური კანონების მოქმედება ვლინდება, გეგმაზომიერად წარიმართება, მაშინ ყოველგვარი სიღრმისეული ანალიზის გარეშეც ცხადია, რომ ეკონომიკური კანონების მოქმედება წარიმართება გეგმაზომიერად. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონების გეგმაზომიერ მოქმედებაში სულაც არ იკარგება მათი ფუნქციონირების ობიექტურობა. პირიქით, თუ მათი მოქმედების მექანიზმი შეიცნობა და გამოიყენება საზოგადოების მიერ გეგმაზომიერად, ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემული კანონები ობიექტური ხასიათისაა. ამიტომ საზოგადოებრივი წარმოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე მნიშვნელოვანია არა ეკონომიკური კანონების ობიექტურობა-

ზე ლაპარაკი, რაც თავისთავად სრული სიცხადეა, არამედ იმაზე, თუ როგორ უნდა გამოინახოს მათი მოქმედების მექანიზმის ეფექტიანი გამოყენებისათვის სრულყოფილი ფორმები და მეთოდები, ე.ი. იმაზე, თუ როგორ უნდა დასაბუთდეს სამეურნეო მექანიზმი, რათა გაძლიერდეს მისი ზემოქმედება საზოგადოებრივი წარმოების პროცესებზე და საერთოდ მუშაობის ხარისხზე. ეს უკანასკნელი შეეხება არა მარტო ეკონომიკური კანონების ხასიათზე, არამედ მათი მოქმედების მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობასა და მის საზოგადოებრივ შედეგებზე. სწორედ ამ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება სკკპ XXVI ყრილობამ.

ის ფაქტი, რომ ეკონომიკური კანონების მოქმედება ვლინდება ადამიანთა სამეურნეო საქმიანობაში, პირდაპირ თუ ირიბად მიუთითებს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების მიზნით მათი გამოყენების ობიექტურ აუცილებლობაზე. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური კანონების მოქმედება სულაც არ არის დაკავშირებული მათი გამოყენების მექანიზმთან, ვინაიდან გამოყენების ობიექტური აუცილებლობა წამოიჭრება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეკონომიკური კანონის მოქმედება შეცნობილია, მეცნიერულად გაანალიზებული და შესწავლილი. ცხადია, ეკონომიკური კანონი მანამდეც მოქმედებს, მაგრამ ადამიანის მიერ მისი შემეცნება და გამოყენება ვლინდება არა მისი ობიექტური ხასიათის გასუბიექტებაში, არამედ სუბიექტის გაობიექტებაში, ე.ი. ეკონომიკური კანონების მოქმედების შესაბამისად სამეურნეო საქმიანობის შეგნებულ, მიზანდასახულ მართვაში.

ეკონომიკური კანონების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი მოქმედების მექანიზმი სამეურნეო მექანიზმამდეა დაყვანილი. რა თქმა უნდა, ამ ჭრილში საზოგადოებრივი განვითარების ეკონომიკური კანონები უნდა განვასხვავოთ საზოგადოებრივი წარმოების ფუნქციონირების ეკონომიკური კანონებისაგან, რომელთაგან პირველი ძირითადია, მეორენი კი-წარმოებულნი. კერძოდ, ამ კანონები-

და ფუნქციონირების კანონები საზოგადოებრივი წარმოების თვითორგანიზაციის კანონებია, ამიტომ საზოგადოება ამ კანონების მოქმედებას აკვლავწარმოებს. /

ეკონომიკური კანონების კლასიფიკაცია ფუნქციონალური ასპექტის მიხედვით განპირობებულია წარმოებითი ურთიერთობების მოძრაობით და მათი შინაგანი ბუნების სიღრმისეული არსით. საზოგადოების განვითარების კანონები განაპირობებენ მატერიალური წარმოების მიზანდასახულ წინსვლას /ძირითადი ეკონომიკური კანონი --> შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის კანონი --> სოციალისტური დაგროვების კანონი/, წინსვლის/მოძრაობის/საერთო ფორმას /სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი პროპორციული განვითარების კანონი --> პერსპექტიული პროგნოზირების კანონი/ და შესაძლებლობას /წარმოებითი ურთიერთობების საწარმოო ძალების ხასიათისა და განვითარების დონისადმი აუცილებელი შესაბამისობის კანონი/. წარმოების ფუნქციონირების ეკონომიკური კანონების, როგორც წარმოების განვითარების კანონებისაგან წარმოებული, მოქმედების თავისებურება განპირობებულია საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციით /სოციალისტური შეჯიბრების კანონი --> ამხანაგობისა და ურთიერთდახმარების კანონი --> შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების კანონი/, მატერიალური დოვლათის შექმნასა და განაწილებაში საზოგადოების თითოეული წევრის მონაწილეობის ხასიათით /შრომის საყოველთაობის კანონი --> შრომის მიხედვით განაწილების კანონი --> მატერიალური სტიმულირების კანონი/ და საზოგადოებრივი წარმოების პროცესების მართვაში მილიონობით მშრომელი მასების აქტიური ჩაბმით /საზოგადოების თითოეული წევრის ყოველმხრივი თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფის კანონი/.

ეკონომიკურ ლიტერატურაში კანონების კლასიფიკაცია ფუნქციონალური ასპექტის მიხედვით წარმოდგენილია სხვადასხვა ნიმონარიებით, თუმცა შინაარსით ისინი ერთიმეორისაგან თითქმის არ განსხვავ-

დებიან. მაგ., ლ. გატოვსკის აზრით, სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკურ კანონებს შორის ურთიერთკავშირი მყარდება რიგი განმსაზღვრელი ნიშნით: ძირითადი ეკონომიკური კანონი; სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების კანონი; შრომის ეკონომიის კანონი და წარმოებითი ურთიერთობების საწარმოო ძალებისადმი შესაბამისობის კანონი[1]. ამ აზრს ლ. აბალკინი ასე წარმოსახავს: ძირითადი ეკონომიკური კანონი; გეგმაზომიერი განვითარების კანონი და ღირებულების კანონი[2]. კანონთა ურთიერთობას ს. სოლოდკოვას ასე ესმის: კვლავწარმოების სფეროებში ურთიერთობათა შეთანხმებული თანაფარდობა წარმოების ურთიერთობათა განმსაზღვრელი როლით; პროპორციული განვითარების კანონი; სისტემის გეგმაზომიერი ფუნქციონირების კანონი და ძირითადი ეკონომიკური კანონი[3].

სრულიად სხვა ფორმით აქვს წარმოდგენილი გ. მოკროვს ეკონომიკური კანონების სისტემა: მოძრაობის ობიექტური მიმართულება /საზოგადოების თითოეული წევრის სრული კეთილდღეობისა და ყოველმხრივი განვითარების უზრუნველყოფის კანონი/, მოძრაობის წესი /სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების კანონი/ და კომუნისტური საზოგადოების მოძრაობის ზომა /"სიჩქარე"/ /დაგროვების კანონი/[4].

ორიგინალურია რ. ხარბედიას მიერ შექმნილი სქემები ეკონომიკური კანონების ტიპიზაციისა /ემპირიული კანონები – ღრმა კანონი – უფრო ღრმა კანონი/ და ძირითადი ეკონომიკური კანონის გამოყოფისა /საზოგადოებრივი ფორმაციის, საზოგადოების მოძრაობისა და საქონელწარმოების/, საიდანაც შესაბამისად გამოჰყავს სპეციფიკური, საერთო და განსაკუთრებული კანონები[5].

---

[1] Гатовский Л.М.Экономические законы и строительство коммунизма,М.,I970,с.8I-82.

[2] Абалкин Л.И.Экономические законы социализма,М.,I97I,С.I23.

[3] Солодкова С.В.Система производственных отношений социализма, М.,I977,с.II0-III.

[4] Система экономических законов социализма, с.22.

[5] Р.П.Харбедия.Система экономических законов социализма и коммунизма и ее использование,Тбилиси,I974,с.73.

ეკონომისტების გაცხოველებული ინტერესი ეკონომიკური კანონების კლასიფიკაციისადმი შემთხვევითი არ არის. იგი განპირობებულია იმით, რომ ეკონომიკური კანონების სრული გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მათი მოქმედების ერთიანი მთლიანი სისტემის შინაგანი ბუნების შემეცნების საფუძველზე, რომლის შიგნითაც თითოეული ეკონომიკური კანონი მოძრაობის განცალკევებული ფორმა კი არ არის, არამედ მოძრაობათა ერთი მთლიანი სისტემის ცალკე მნიშვნელოვანი რგოლია, რომელიც სხვა რგოლებთან დაკავშირებულია ურთიერთგადასვლით, ურთიერთდამოკიდებულებით და ურთიერთზემოქმედი ფორმებით. სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების უზრუნველყოფისათვის აუცილებელ პირობად რჩება ეკონომიკურ კანონთა სუბორდინირებული სახით კლასიფიკაცია, რის ნიადაგზეც ამ მეურნეობაში გამოიკვეთება განვითარების ის ძირითადი რგოლი, რომელიც ურთიერთობათა სისტემაში მოცემული კონკრეტული პირობებისათვის ისტორიულად განსაზღვრულია.

რამდენადაც სოციალისტური უშუალოდ საზოგადოებრივი წარმოება განუწყვეტლად განვითარებადია, იმდენად მისი ფუნქციონირება ემორჩილება ამ მნიშვნელოვან საერთო წანამძღვარს. მართალია, ჩვენი საზოგადოების განვითარების კანონები ამავე დროს მისი ფუნქციონირების კანონებიცაა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, განვითარება გამოიხატება მოვლენათა თვისებრივ გარდაქმნაში, მაშინ როდესაც ფუნქციონირების კანონების მოქმედება და ამიტომ თვით საზოგადოების ფუნქციონირებაც შედარებით სტაბილურია და ექვემდებარება კვლავწარმოებას. როგორც ა. ა. სერგეევი აღნიშნავს, ფუნქციონირება წარმოადგენს სისტემის განვითარების სტადიებიდან მხოლოდ ერთს, კერძოდ, მოცემული სისტემის მოძრაობას მისი სიმწიფის ეტაპზე.[1]

---

[1] А.А.Сергеев.Структура производственных отношений социализма. М.,"Наука",1979,с.47.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი ეკონომიკური ფორმაციისათვის ფუნქციონირების კანონია ცხოვრების მატერიალური პირობების წარმოებისა და კვლავწარმოების ეკონომიკური კანონები. კერძოდ, ამ კანონების არსი იმაში გამოიხატება, რომ საზოგადოების არსებობა მატერიალური დოვლათის გარეშე შეუძლებელია. ჰქონდა რა ფუნქციონირების ეს კანონები მხედველობაში, კ. მარქსი "კაპიტალის" მესამე ტომში წერდა: "როგორც ველური ადამიანი იძულებულია ბუნებას ებრძოლოს, რათა თავისი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს და რათა თავისი ცხოვრება შეინარჩუნოს და მკვლავწარმოოს, ისე ცივილიზებულმა ადამიანმაც უნდა იბრძოლოს; და მან ეს უნდა ქნას ყველა საზოგადოებრივ ფორმაში, ყველა შესაძლებელი წარმოების წესის პირობებში. ადამიანის განვითარებასთან ერთად ფართოვდება ეს ბუნებრივი აუცილებლობის სამეფო, იმიტომ, რომ მისი მოთხოვნილებანიც ფართოვდება; მაგრამ ამავე დროს ფართოვდება მწარმოებლური ძალებიც, რომლებიც ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურებიან"[1]. შესაძლებელია ეს კანონი ადამიანზე ზემოქმედებდეს როგორც ბრმა მოქმედი ძალა /სოციალისტურამდელი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციები/, ან პირიქით, ექვემდებარებოდეს მას საერთო კონტროლს /სოციალიზმის და განსაკუთრებით სრული კომუნიზმის დროს/. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ ერთიც და მეორეც დამოკიდებულია საზოგადოებრივი წარმოების ხასიათზე, მის შინაგან სოციალურ-ეკონომიკურ ბუნებაზე.

აღსანიშნავია, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ერთიმეორისაგან განასხვავებენ როგორც საზოგადოების განვითარების, ისე წარმოების ფუნქციონირების ეკონომიკურ კანონებს. კ. მარქსის მიერ აღმოჩენილი საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონები გვიჩვენებს ურთიერთისათვის ერთი სისტემიდან მეორე სისტემაზე გადასვლას, რაც ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენების შეჯახებათა გზით ხდება.

ცხადია, რომ საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონების

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ, II, გვ. 448-449.

მოძრაობა უმარტივესი შინაარსიდან სიდის ურთულესი შინაარსისაკენ. უფრო სწორად, საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონების მიქმედება იწვევს რაოდენობრიობის გადასვლას თვისებრიობაში. ამიტომ ერთი ეკონომიკური ფორმაციის ჩარჩოებშიც კი შესაძლებელია საზოგადოებრივი წარმოების თვისებრივი გადასვლა. მაგ., კაპიტალიზმიდან სოციალიზმში განსაკუთრებული გარდამავალი პერიოდი იმითაა დამახასიათებელი, რომ მან ჩამოაყალიბა სოციალიზმი ძირითადად, ხოლო შემდგომ წლებში კი – შეიქმნა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, რომელიც თავისი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობითა და ისტორიული ადგილით არის კომუნისტური საზოგადოების წინადღე.

ბუნებრივია, ეს პროცესი დამახასიათებელია არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ იგი საერთო პროცესია ყველა იმ ქვეყნისათვის; რომელიც კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას დაადგა და რომელიც შემდგომში ამ გზას აირჩევს. განსხვავება იმაში შეიძლება გამოვლინდეს, რომ ეკონომიკურად განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს სოციალიზმზე გადასვლისას. "უდავოდ, მოუხდებათ მომწიფებული სოციალიზმის აშენებისა და სრულყოფის ისეთი რთული ამოცანების გადაწყვეტა, როგორიც არის, მაგალითად, სოციალისტურ საწყისებზე მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის ძნელი მეცნიერების დაუფლება, მათ შორის სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და ხელმძღვანელობის მეცნიერების დაუფლება, როგორიც არის საზოგადოების ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის დაახლოება მუშათა კლასის სოციალისტური ინტერესებისა და კომუნისტური იდეალების საფუძველზე, მოქალაქეთა სოციალისტური შეგნების გამომუშავება, სოციალისტური სახელმწიფოებრიობის, დემოკრატიის სრულყოფა და განვითარება"[1].

კაპიტალისტურ საზოგადოებაში განვითარების ეკონომიკური კანონები ასახავენ და ამავე დროს აღრმავებენ და ამწვავებენ გაბატონებულ და დაბეჩავებულ კლასებს შორის, კაპიტალსა და შრომას შორის,

---

[1] ლ.ი. ბრეჟნევი, კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა, გვ. 10-11.

საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ურთიერთობებს და ა.შ., ხოლო სოციალისტურ საზოგადოებაში კი განვითარების ეკონომიკური კანონები ასახავენ ორ ურთიერთმეგობრულ კლასებს შორის ურთიერთობებს, რომელთაგან ერთი /მუშათა კლასი/ და მეორე /კოლმეურნე გლეხობა/ მშრომელი, მატერიალური დოვლათის მწარმოებელი კლასებია და ამიტომ ერთიც და მეორეც საზოგადოების, სახელმწიფოს ბატონ-პატრონია. სოციალიზმის პირობებში ასეთი ურთიერთობები ჩამოყალიბდა წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დაფუძნებით, ექსპლოატატორული ელემენტების სამუდამო მოსპობით, პარაზიტული მომხმარე კლასის ლიკვიდაციით. კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე წარმოებითი ურთიერთობების ასეთი ნიშან-თვისებები სულ უფრო ღრმავდება, იკვლავწარმოება და სრულიად ახალი, კომუნისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი შინაარსით ივსება.

საზოგადოების განვითარებისა და წარმოების ფუნქციონირების ეკონომიკური კანონები ურთიერთკავშირშია, ვინაიდან საზოგადოების განვითარება შეუძლებელია მატერიალური წარმოების გარეშე, წარმოება კი – საზოგადოების არსებობის საფუძველია. ე.ი. წარმოების ფუნქციონირება განაპირობებს საზოგადოების განვითარებას. აქედან გამომდინარე ფუნქციონირების კანონები კი განაპირობებენ განვითარების რების კანონების არსებობა-მოძრაობას. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ამ სისტემაში ძირითადია განვითარების ეკონომიკური კანონები, ხოლო ფუნქციონირების კანონები კი წარმოებული, ვინაიდან უკანასკნელის მოქმედების მიზანდასახულობა და ხასიათი განპირობებულია საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონების მოქმედებით.

მაგ., სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედება განაპირობებს შრომის მიხედვით განაწილების კანონის მოქმედებას,

მის თავისებურებებს და ნიშანთვისებებს, ვინაიდან მშრომელი მასების ძირითადი საარსებო წყარო თითოეული მათგანის საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩაბმა. ამ კანონების ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთქმედება ერთიმეორეში იმდენადაა ჩახლართული, რომ მათი ცალკეულად შემეცნება სპეციალური ანალიზის გარეშე შეუძლებელია.

ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთი ეკონომიკური კანონის ფუნქციონირება არ გამორიცხავს მეორის დამოუკიდებელ მოქმედებას და, პირიქით, ან სრულად ვერ ასახავს საზოგადოებრივი წარმოების თავისებურებებს მისი განვითარების ცალკეული ეტაპების მიხედვით. ამიტომ, ყოველი მათგანი გარკვეულწილად ახდენს ზემოქმედებას მატერიალურ წარმოებაზე და ამ მიმართულებით წარმართავს მას. ე.ი. წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში ყოველი ეკონომიკური კანონი მოქმედებს როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მარეგულირებელი საზოგადოებრივი ძალა.

მაგ., ჩვენი საზოგადოების ძირითადი ეკონომიკური კანონი არეგულირებს მშრომელი მასების კეთილდღეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებასა და მათი შინაგანი შესაძლებლობების თავისუფალ ყოველმხრივ განვითარებას; შრომის მიხედვით განაწილების კანონი კი – საზოგადოებრივ წარმოებაში მათ მიერ დახარჯული შრომის რაოდენობასა და ხარისხს.

მაშასადამე, წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში ეკონომიკური კანონები ისე მოქმედებენ, რომ ერთის ფუნქციონირება განპირობებულია მეორის მოქმედებით და ა.შ. ამ ურთიერთობათა სისტემაში დაცულია კანონთა სუბორდინირებული ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთქმედება, რის გამოც ყოველი მომდევნო ეკონომიკური კანონი ითვისებს წინამდებარე კანონის ხასიათს, სპეციფიკასა და ნიშან-თვისებებს მოქმედების თავისებურებებით. მაგ., სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედება განპირობებულია საზოგადოებრივი საკუთრებითი ურთიერთობების განმსაზღვრელი როლითა და მათი მოძრაობის კანონით, ხო-

ლი სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონი კი – ძირითადი ეკონომიკური კანონით და ა. შ. ამ სუბორდინაციაში პირველი განაპირობებს მეორეს, მეორე – მესამეს და ა. შ. ამიტომ ყოველი ეკონომიკური კანონის მოქმედების შიგნით ფუნქციონირებს წინამდებარე კანონის, ან კანონთა მახასიათებელი სპეციფიკა საკუთარი ნიშან-თვისებებით, რაც გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივი წარმოების მოძრაობის ზედაპირული ფორმები მისი შინაგანი ბუნების უშუალო განსახიერებაა.

მართალია, ადამიანთა სამეურნეო საქმიანობაში ეკონომიკური კანონების გამოყენების შესახებ საკითხი წამოიჭრა ჯერ კიდევ ადრე, როდესაც ფილოსოფიურ, ეკონომიკურ და სხვა მეცნიერებათა მიმდინარეობებში დაიწყო საერთოდ კანონებისა და, კერძოდ, ეკონომიკური კანონების შესწავლა, მაგრამ ამ მიმდინარეობებში შემეცნებათა მეცნიერულმა შეზღუდულობამ განაპირობა ეკონომიკური კანონების გამოყენების თეორიული განზოგადოების დაბალი დონე, რომლის ნამდვილად მეცნიერული ანალიზი, როგორც უკვე ითქვა, დაიწყო ისტორიის მატერიალისტური გაგებით.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა ბურჟუაზიული საზოგადოების ღრმამეცნიერული ანალიზის საფუძველზე გვიჩვენეს, რომ კაპიტალიზმის დროს ეკონომიკური კანონების სრული გამოყენება შეუძლებელია, ვინაიდან წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობა აფუძნებს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას. ამიტომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებში ეკონომიკური კანონების გამოყენების შესახებ საკითხი ორგანულადაა დაკავშირებული მხოლოდ კომუნისტური და მუშათა პარტიების ჩამოყალიბებასთან და ბურჟუაზიული საზოგადოების რევოლუციურ გარდაქმნასთან. მათში ღრმამეცნიერულადაა გაანალიზებული ამ კანონების მოქმედების მექანიზმის გამოყენების ობიექტური აუცილებლობის არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული საფუძვლები, რომელთა შემწეობითაც შესაძლებელი შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში და

სხვაგან სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება.

ყოველივე ეს შესაძლებელი შეიქმნა მარქსიზმის როგორც პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ სწავლების შემოქმედებით, ამოყენების ნიადაგზე, ვინაიდან "მარქსის მთელი თეორია არის გამოყენება განვითარების თეორიისა მისი ყველაზე თანმიმდევრული, სრული მოფიქრებული და შინაარსით მდიდარი ფორმით თანამედროვე კაპიტალიზმის მიმართ. ბუნებრივია, რომ მარქსისათვის დაისვა საკითხი – გამოეყენებინა ეს თეორია კაპიტალიზმის მოახლოებული კრახის მიმართაც და მომავალი კომუნიზმის მომავალი განვითარების მიმართაც"[1].

თანამედროვე პირობებში ცალკეული კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების საპროგრამო დებულებებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ საკითხის გაანალიზებას. სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პრაქტიკამ დაადასტურა, ვ. ი. ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ თითოეული ერი სოციალიზმის განხორციელებისას შეიტანს თავისებურებას დემოკრატიის ამა თუ იმ ფორმაში, პროლეტარიატის დიქტატურის ამა თუ იმ სახესხვაობაში. სარგებლობენ რა დიდი ბელადის ამ გამოთქმით, ზოგიერთი კომპარტიის ხელმძღვანელობამ ლაპარაკი დაიწყო სოციალისტური რევოლუციის რაღაც "უნიფიკაციაზე". გარდა ამისა, ისინი ხანდახან კრიტიკულ მოსაზრებებს გამოთქვამენ ჩვენი ქვეყნის განვითარების ამა თუ იმ კონკრეტული მხარის თაობაზე.

ჰქონია რა ყოველივე ეს მხედველობაში, სკკპ XXVI ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა საანგარიშო მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ "ამხანაგურ, კონსტრუქციულ კრიტიკას ჩვენ ყურად ვიღებთ, მაგრამ გადაჭრით წინააღმდეგი ვართ ისეთი "კრიტიკისა", რომელიც ამახინჯებს სოციალისტურ სინამდვილეს და ამით ნებსით თუ უნებლიეთ სამსახურს უწევს იმპერიალისტურ პროპაგანდას, კლასობრივ მოწინააღმდეგეს"[2].

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 569.

[2] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, გვ. 25.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იბრძოდა და კვლავაც იბრძვის მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების სიწმინდისათვის, რომელშიც მთავარია მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, სოციალისტური რევოლუციის სულისა და გულის შესახებ, კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეში სახელმწიფოებრივი წყობის შესახებ. ამაში ხედავს იგი ბურჟუაზიული საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ კანონზომიერებებს.

ამრიგად, ეკონომიკური კანონების გამოყენება საზოგადოების დანიშნულებისამებრ შესაძლებელია მხოლოდ მათი ღრმამეცნიერული შემეცნების ნიადაგზე. საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნა ავლენს თვით საზოგადოებრივი ცვლილებების ძირითად და მთავარ მიმართულებებს, რომელთა გაანალიზების საფუძველზეც საზოგადოებას შეუძლია თავიდან აიცილოს ობიექტურად მოქმედი ეკონომიკური კანონების ზემოქმედების უარყოფითი შედეგები, ან პირიქით, მისი დადებითი მხარეების გამოყენებით დააჩქაროს საკუთარი წინსვლა. მაგ., სოციალისტურმა საზოგადოებამ შეიცნო რა თავისი განვითარების მიმართულებანი, დეტალურად შეიმუშავა და პრაქტიკულად განახორციელა საკუთარი წინსვლის ხუთწლიანი გეგმები. ამჟამად იგი მუშაობს ხანგრძლივი /პერსპექტიული/ გეგმების შედგენა-დასაბუთებაზე და პრაქტიკული განხორციელების გზებზე, რამაც გარკვეული ასახვა პოვა "სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981–1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში".

კერძოდ, საწარმოო ძალების განვითარების პროგნოზირებისას განსაკუთრებული კვლევა-ძიების საგანი გახდება ჩვენი საზოგადოების წარმოებითი ურთიერთობების განვითარების მიმართულებანი, მათი საწარმოო ძალებისადმი შესაბამისობის ხასიათი. აქ, რა თქმა უნდა, კვლევა-ძიების სუბიექტური ფაქტორები, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელობისაა, პირდაპირ ურთიერთობაშია ობიექტურ მოვლენებთან, რის გამოც

ეს უკანასკნელნი ვლინდებიან ადამიანთა სუბიექტურ საქმიანობაში.' კლასობრივ ურთიერთობაში სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთჩახლართვა უფრო შესამჩნევია, ვიდრე ეკონომიკურ ურთიერთობებში. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეკონომიკური ურთიერთობები ვლინდება, ფ. ენგელსის სიტყვებით, როგორც კლასობრივი ურთიერთობები. ამიტომ სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთჩახლართვის ხასიათი, მისი ავკარგიანობა ვლინდება ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში, ამ უკანასკნელის წინსვლის შიგში.

ეკონომიკური კანონების მოქმედების გამოყენება საზოგადოებას საშუალებას აძლევს თავისი დანიშნულებისამებრ წარმართოს სამეურნეო საქმიანობა. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მოგვეჩვენოს, რომ თითქოს საზოგადოება /მაგ., სოციალისტური/ ეკონომიკურ კანონს უცვლის მოქმედების მიმართულებას. ეს, რა თქმა უნდა, ყოვლად დაუსაბუთებელია, ილუზიაა, ვინაიდან ეკონომიკური კანონი როგორც ობიექტურად მოქმედი არ შეიძლება შეიცვალოს, მისი გამოვლინების ფორმა კი შესაძლებელია სხვადასხვა იყოს. შეიცნობს რა ყოველივე ამას, საზოგადოება გამოიყენებს მხოლოდ მისთვის სასარგებლო ფორმას. ამ მოქმედებაში ერთხელ კიდევ ცოცხლდება კ. მარქსის გამოთქმა, რომ საზოგადოებრივი ცნობიერება განისაზღვრება საზოგადოებრივი ყოფიერებით, ე. ი. ეს უკანასკნელი აისახება საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

ფაქტია, რომ საზოგადოებრივ ყოფიერებაში არსებითი ცვლილებები საზოგადოებრივი ცნობიერების ცვლილებების ამოსავალი პუნქტია. თუ საზოგადოებამ იცის რა მიმართულებით და როგორ იცვლება წარმოებითი ურთიერთობები, მაშინ იგი თავის ცნობიერებას ამ მიმართულებით და ასეთი ხასიათით შეცვლის. ჰქონდა რა მხედველობაში საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ურთიერთმოქმედება, გ. პლეხანოვი წერდა: თუ მე ვიცი როგორი მიმართულებით იცვლება საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელიც წარმოების საზოგადოებრივ-ეკონომიკურ პრო-

ცესში მიღებული ცვლილებითაა გამოწვეული, მაშინ მე ისიც ვიცი, თუ როგორი მიმართულებით შეიცვლება სოციალური ფსიქიკა; მაშასადამე, მე შემიძლია მასზე ზემოქმედება მოვახდინო[1].

საზოგადოება, აღწევს რა თავისი განვითარების შეცნობილ მწვერვალებს, კვლავ შეიცნობს მოძრაობის სრულიად ახალ მიმართულებებს, რომელთა განხორციელებაშიც იგი იყენებს ისეთ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც, ჯერ ერთი, მანამდე უცნობი იყო და, მეორე, აჩქარებს ამ სრულიად ახალი მწვერვალების დათრგუნვას. ეს პრიობა თვით საზოგადოების განვითარების ბუნებრივ-ისტორიული პროცესია, რომელიც დამახასიათებელია არა მარტო ეკონომიკური, ე.ი. ბაზისური ხასიათის მქონე ურთიერთობებისათვის, არამედ სოციალურ-პოლიტიკური და სხვა სახის საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვისაც. მაგ., თუ როგორ წარიმართებოდა სოციალისტური რევოლუცია პრაქტიკულად ჩვენს ქვეყანაში, კომუნისტურმა პარტიამ, ვ.ი. ლენინმა და ბოლშევიკებმა იცოდნენ მხოლოდ თეორიულად, პრაქტიკამ კი მნიშვნელოვანი ცვლილებები შემოიტანა, რამაც აიძულა ისინი სრულიად ახალი ფორმები და მეთოდები შეემუშავებინათ ამ რევოლუციის შემდგომი განვითარების მიზნით /ასევე შეიძლება ითქვას სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების გამოყენების შესახებ სოციალისტურ რევოლუციამდე და მისი გამარჯვების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში/.

ახასიათებს რა ამ მიმართულებით სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკულ ნიშან-თვისებებს, ვ.ი. ლენინი იგონებდა: "მახსოვს, ნაპოლეონი წერდა: "... ჯერ უნდა ჩაება სერიოზულ ბრძოლაში და შემდეგ ვნახავთო". აი, ჩვენც ჯერ ჩავებით 1917 წლის ოქტომბერში სერიოზულ ბრძოლაში და შემდეგ დავინახეთ ისეთი დეტალები /მსოფლიო ისტორიის თვალსაზრისით ეს, უსათუოდ, დეტალებია/, როგორიცაა ბრესტის ზავი, ან ახალი ეკონომიკური პოლიტიკა და სხვ. და ამჟამად უკვე ეჭვი არ არის, რომ ძირითადად ჩვენ გავიმარჯვეთ"[2]

---

[1] იხ.: გ. პლეხანოვის დასახელებული ლიტერატურა, გვ. 324.

[2] ვ.ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 522.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პირველ ეტაპზე ეკონომიკური კანონების მოქმედების სფერო და შესაძლებლობა შედარებით შეზღუდულია, რაც განპირობებულია ისტორიულად ბიძებული ობიექტური აუცილებლობით. მართალია, სამხედრო კომუნიზმის პერიოდში მოხმარების საგნების განაწილება მიმდინარეობ-და შედარებით შეზღუდული ფორმებით, მაგრამ მისმა ფუნქციონირებამ განაპირობა როგორც ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების, ისე მილიონ-ანი მშრომელი მასების ფიზიკური შენარჩუნება.

"სამხედრო კომუნიზმის" დამთავრების შემდეგ კი მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთკავშირის განმტკიცებისა და დაახლოების მიზნით, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ქალაქისა და სოფლის ურთიერთდაახლოების მიზნით მოხდა ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლა, რომელმაც ხელი შეუწყო სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პროცესების დაჩქარებას. კერძოდ, ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ წინა პლანზე წამოსწია მშრომელთა მასების მატერიალური დაინტერესების საკითხი, სამეურნეო ანგარიშიანობა, საწარმოთა რენტაბელობა /მომგებიანობა/, წარმოების ეფექტიანობა და ა. შ., რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო განვითარებული სოციალიზმის პირობებში, ვინაიდან მათი სრული გამოყენებით ჩქარდება წარმოების კომუნისტური განსაზოგადოების ტემპები.

ჩვენი საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე ვ. ი. ლენინის უდიდეს დამსახურებად ის უნდა ჩაითვალოს, რომ მან პირველმა შეიმუშავა და თეორიულად დაასაბუთა სახალხო მეურნეობის სოციალისტურ საწყისებზე მართვის მთელი რიგი მეთოდები და ფორმები, რომლებიც მოგვევლინა დიდი ბელადის მიერ სოციალისტური ეკონომიკის პრაქტიკული მშენებლობის მეცნიერული გაანალიზების შედეგი. ვ. ი. ლენინის მიერ ამ საკითხების გენიალური წინასწარმეტყველური დასაბუთება ეყარებოდა ახალი საზოგადოების განვითარებისა და მატერიალური წარმოების ფუნქციონი-

რების ეკონომიკური კანონების მოქმედების დიალექტიკურ გაგებას.

ხელმძღვანელობდა რა საზოგადოებრივი განვითარების ლენინური განსაზოგადოების მეთოდით, პარტიამ მეცნიერულად დაასაბუთა ჩვენს ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის აუცილებლობა, რასაც შემდგომში /ე. ი. სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის. შექმნაში/ შედარებით ნაკლები შეცდომები მოჰყვა.

ვ. ი. ლენინი ყოველთვის მიუთითებდა, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელობა, სახალხო მეურნეობის მართვა შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერული შორსმჭვრეტელობით, რაც მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის მეცნიერულ განზოგადოებაზეა დაფუძნებული. იგი ხაზს უსვამდა, რომ მართვის დასაბუთება უნდა გამომდინარეობდეს მშრომელი მასების სამეურნეო საქმიანობის ანალიზიდან, ვინაიდან "ათეული მილიონობით შემოქმედის გონება ქმნის რაღაც განუზომლად უფრო მაღალს, ვიდრე ყველაზე დიადი და გენიალური წინასწარხედვა"[1].

ვ. ი. ლენინი თავის შრომებში ღრმამეცნიერული დასაბუთებით გადმოგვცემს საზოგადოების განვითარებაში მომავლის შემეცნების აუცილებლობას, უტყუარობას, ალბათობასა და სიზუსტეს, რაც თავისი დანიშნულებით პარტიისა და მთავრობის სამოქმედო პროგრამას წარმოადგენს. მაგ., მან იმთავითვე უდიდესი შეფასება მისცა პირველ შაბათობას, რომელიც თავისი მასშტაბურობით ლენინის სიცოცხლეში არც თუ ისე მასობრივი იყო, მაგრამ მან ამ მოძრაობაში შეამჩნია შრომისადმი სრულიად ახალი, კომუნისტური დამოკიდებულების ჩანასახები, რომლებიც ჩვენს პირობებში უდიდეს მატერიალურ ძალად გადაიქცა.

მეცნიერული წინდახედულობა და შორსმჭვრეტელობა გამომჟღავნდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებში სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკური როლის თეორიულ დასაბუთებაში. კერძოდ, კაპიტალიზმის განვითარების კანონზომიერებათა ღრმამეცნიერული ანალიზის შედეგად კ. მარქსმა წამოაყენა თეორია პროლეტარიატის დიქტატურის შესა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 555.

ხებ, რომელიც თავისი შინაგანი ბუნებით კლასების მოსპობისა და უკლასო საზოგადოების აშენების უტყუარი მექანიზმია. მან დაასაბუთა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების გარეშე შეუძლებელია როგორც კლასების მოსპობა, ისე უკლასო საზოგადოების აშენება. მაგრამ იმისათვის, რომ იგი პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობამდე მისულიყო, მას დასჭირდა გარკვეული ისტორიული პერიოდის თეორიული განზოგადება, კერძოდ, პარიზის კომუნის ღრმამეცნიერული გაანალიზება. როგორც კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შემოქმედებაში, ისე ვ. ი. ლენინის მოძღვრებაში თეორიული განზოგადების ამოსავალი პუნქტია ისტორიული გამოცდილება, საიდანაც აღებულია მხოლოდ ის, რაც მოცემული საზოგადოებისათვის ლოგიკური კანონზომიერია, ან საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის ობიექტური აუცილებლობაა.

კომუნისტური პარტია, ხელმძღვანელობს რა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით, წარმართავს საბჭოთა მთავრობის სამეურნეო საქმიანობას, რომელიც შეიმუშავებს და ამტკიცებს მიმდინარე და პერსპექტიულ გეგმებს; აწესებს მატერიალური წარმოების კაპიტალდაბანდებისა და საქონელმიმოქცევის მოცულობასა და სტრუქტურას; რაციონალურად განალაგებს საწარმოო ძალებს ტერიტორიული და დარგობრივი თვალსაზრისით; შეიმუშავებს და ახორციელებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, წარმოებისა და მოხმარების დანახარჯების თანდათანობით შემცირების, მზა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებსა და სასურსათო პროგრამას; მართავს საწარმოთა სამეურნეო საქმიანობას და ამყარებს მათ შორის სამეურნეო ანგარიშიანობის კავშირებს; გეგმაზომიერად ამზადებს და იყენებს მაღალკვალიფიციურ კადრებს; ანაწილებს და იყენებს ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტს, ეროვნულ შემოსავალს, საბოლოო პროდუქტს, საწარმოთა და საზოგადოების წმინდა შემოსავალს; ახორციელებს ხელფასისა და ფასების ერთიან პოლიტიკას; განსა-

ზღვრავს მათ საერთო დონეს; უზრუნველყოფს ვალუტის მსყიდველობით უნარიანობის ამაღლებას; ამყარებს სოფელსა და ქალაქს შორის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ კავშირურთიერთობებს და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური როლის რეალიზება მიმდინარეობს ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელებითა და სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერებით, რომელთა მეცნიერული დასაბუთებაც სოციალისტური სახელმწიფოს მიერ სახალხო მეურნეობის სწორი მართვის ობიექტური საწინდარია. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ პროლეტარიატის დამყარების დღიდან ჩვენი მთავარი პოლიტიკაა სახელმწიფოს ეკონომიკური მშენებლობა, რათა მივიღოთ მეტი პური, მეტი ქვანახშირი და ერთხელ და სამუდამოდ გადავწყვიტოთ, თუ როგორ გავანაწილოთ და როგორ გამოვიყენოთ იგი. ამას უნდა დავუკავშიროთ აგიტაციური და პროპაგანდული მუშაობა[1].

სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკური როლის განხორციელების წარმატებები დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა მისი ეკონომიკური პოლიტიკა და სამეურნეო მექანიზმი დასაბუთებული საზოგადოების განვითარების კანონების მოქმედების აუცილებლობითა და მათი მოთხოვნების რეალიზების მეთოდებით. მაგ., სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის /1965/ პლენუმებზე ითქვა, რომ სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის დასაბუთება უნდა წარიმართოს ჩვენი საზოგადოების განვითარებისა და ფუნქციონირების ეკონომიკური კანონების შემეცნებისა და განზოგადოების ნიადაგზე. ეს ობიექტური აუცილებლობა განსაკუთრებული მნიშვნელობით წარმოდგა პარტიის XXIV, XXV და XXVI ყრილობებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისისა და 1982 წლის 24 მაისის ცნობილ დადგენილებებში, რასაც ამჟამად კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ.

---

[1] В.И.Ленин. ПСС,т.4I,с.407.

მაშასადამე, სოციალისტური საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონების მოქმედების მექანიზმი, რომელიც ჩაქსოვილია ადამიანთა სამეურნეო საქმიანობაში, შეიძლება გამოყენებულ იქნას ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების გზით, სახელმწიფოს მიერ სახალხო მეურნეობის ცენტრალიზებული ფორმით მართვის გზით, რომელიც ემსახურება შემდეგ ძირითად მიმართულებებს: სახალხო მეურნეობის დაგეგმვის შემდგომი სრულყოფა, სამეურნეო ანგარიშიანობის გაღრმავება და შემდგომი განვითარება, მშრომელი მასების მატერიალური დაინტერესება და ა.შ. სოციალისტური ეკონომიკის როგორც ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის რეგულირება განპირობებულია თვით საზოგადოებრივი წარმოების შინაგანი ბუნებით. საბჭოთა კავშირის ახალმა კონსტიტუციამ /ძირითადმა კანონმა/ ერთხელ კიდევ დაადასტურა სოციალისტური უშუალოდ საზოგადოებრივი წარმოების განმასხვავებელ ნიშან-თვისებათა უპირატესობა და ფართო გზა გაუხსნა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ გაღრმავებას. ჩვენი საზოგადოების განვითარების დღევანდელი დონე უზრუნველყოფს სოციალიზმის ეკონომიკური კანონების მოქმედებისათვის ფართო სარბიელს, რაც განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და დამახასიათებელი ნიშანია.

ამიტომ, ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე უდიდესი ყურადღება ექცევა არა მარტო სამეურნეო მექანიზმის დასაბუთებას, არამედ მისი საზოგადოებრივი წარმოების პროცესზე დადებითად ზემოქმედების გაძლიერებასაც. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები მიუთითებდნენ, რომ როცა შემუშავებულია სწორი სამეურნეო პოლიტიკა, ე.ი. სახალხო მეურნეობის განვითარებაში აღებულია სწორი გეზი, საქმის წარმატებას, უპირველეს ყოვლისა, წყვეტს მისი ორგანიზაცია და მილიონიანი მშრომელი მასების მობილიზაცია. ხელმძღვანელობს რა ამ მითითებებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დიდ ყურადღებას უთმობს მშრომელი მასების ორგანიზებული და ინიციატიური საქმიანო-

ბის სწორ გადაწყვეტას. კერძოდ, პარტიის XXV ყრილობაზე ლ.ი. ბრეჟნევი მიუთითებდა, რომ "ორგანიზაციული საკითხების არსი, უბრალოდ რომ ვთქვათ, ის არის, რომ ყველა თავის საქმეს აკეთებდეს, ქონდეს სამისო უფლებები და მათ ფარგლებში ეკისრებოდეს მთელი პასუხისმგებლობა. ეს ელემენტარული ცხოვრებისეული წესი ამავე დროს მართვის მეცნიერებისა და პრაქტიკის საფუძველთა საფუძველია"[1].

დღისათვის ეკონომიკურ მეცნიერებაში გახშირდა ტერმინის - "მექანიზმის" ხმარება. უნდა აღინიშნოს, რომ მის შესახებ განსაკუთრებული აზრია გამოთქმული მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებაში. კერძოდ, მეურნეობის მექანიზმის გაუმჯობესების შესახებ მიუთითებდა ვ.ი. ლენინი ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ შრომებში[2].

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, როდესაც ჩვენი ეკონომიკა გადაიზარდა განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკაში, სამეურნეო მექანიზმის შესახებ საკითხი უფრო ღრმად და საჭიროებისამებრ დაისვა. საკმარისია აღინიშნოს, რომ სამეურნეო მექანიზმში გარკვეული ძვრები შეიტანა დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალმა სისტემამ, საწარმოო და სამეურნეოთაშორისო გაერთიანებების ამოქმედებამ და განვითარებამ, სრული სამეურნეო ანგარიშიანობის დანერგვამ და მისი პრინციპების გაფართოებამ. დღეისათვის ჩვენი სახელმწიფოს სამეურნეო მექანიზმი მეტად რთული და ამავე დროს მეტად ნაზი სოციალურ-ეკონომიკური ბაზაა, რომელიც აერთიანებს საზოგადოებრივი წარმოების ფუნქციონირების თითქმის ყველა მომენტს.

სამეურნეო მექანიზმის არსი განისაზღვრება საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის წესით, რაც განპირობებულია წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმით. ე.ი. როგორიცაა წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმა, ისეთია სამეურნეო მექანიზმის არსიც. მაგ., კა-

---

[1] სკკპ XXV ყრილობის მასალები, გვ. 83.
[2] ვ.ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 483.

პიტალისტური მეურნეობის მექანიზმი გულისხმობს ზედმეტი ღირებულების წარმოებისა და მითვისების ორგანიზაციის საზოგადოებრივ ფორმას, სოციალისტური მეურნეობისა კი – მშრომელი მასების მზარდ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილებისა და მათი ყოველმხრივი თავისუფალი განვითარების საზოგადოებრივ ფორმაგანსაზღვრულობას.

სოციალისტური საზოგადოების სამეურნეო მექანიზმის არსი არ შემოიფარგლება კომუნისტური წარმოების წესის პირველი ფაზით, იგი განპირობებულია მეორე ფაზის შინაგანი ნიშნებითაც, ამიტომ მისი ძირითადი მიმართულებ განისაზღვრება შრომის მიხედვით განაწილებიდან მოთხოვნილების მიხედვით განაწილებაზე თანდათანობითი გადასვლის ორგანიზაციის საზოგადოებრივი ფორმით.)

ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით გამოთქმებს: "ეკონომიკური კანონების მოქმედების მექანიზმი", "საზოგადოებრივი წარმოების მართვის მექანიზმი", "სამეურნეო მექანიზმი" და ა. შ. არის თუ არა ამ გამოთქმებს შორის შინაარსობრივი განსხვავება და თუ არსებობს იგი, რაში ვლინდება? ამ კითხვებზე ჩვენი ეკონომისტების პასუხი მეტად ჭრელია, ვინაიდან ცნება "მექანიზმი" საერთოდ განიხილება სხვადასხვა ასპექტში და სრულიად სხვადასხვა კუთხით, რის გამოც იგი წარმოდგება როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური; როგორც არსებული, ისე მოდური; როგორც ბაზისური, ისე ზედნაშენური სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა. ამიტომ "მექანიზმის" დამახასიათებელი ნიშნები ეკონომიკურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ სრულად არ არის ჩამოყალიბებული და დასაბუთებული.

როგორც ითქვა, სამეურნეო მექანიზმის არსი განისაზღვრება წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმით, ამიტომ მატერიალური წარმოების მოძრაობის ორგანიზაცია შეიძლება იყოს სტიქიური /კაპიტალისტური საქონელწარმოების პირობებში/, ან წინასწარ გააზრებული /წარმოების

კომუნისტური წესის პირობებში/. გამოდიან რა ამ სპეციფიკური თავისებურებებიდან, ჩვენი ეკონომისტების ერთი ნაწილი სამეურნეო მექანიზმს ახასიათებს როგორც ბაზისური, ისე საზედნაშენო შინაარსის მქონე სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენას[1]. თუ სამეურნეო მექანიზმს ამ მიმართებით განვიხილავთ, მაშინ იგი ამავე დროს არის და არც არის ეკონომიკური კატეგორია, ვინაიდან ეს უკანასკნელი თითქოს ერთდროულად ასახავს და არც ასახავს ბაზისური ხასიათის მქონე ურთიერთობებს.

რამდენადაც სამეურნეო მექანიზმი არის მატერიალური წარმოების ორგანიზაციის /მეურნეობრიობის/ საზოგადოებრივი მეთოდი, იმდენად იგი არის ეკონომიკური კანონების, მოვლენებისა და კატეგორიების შემეცნებითი ასახვის შედეგი. სოციალიზმის განვითარებასთან და მის სრულ კომუნიზმში გადაზრდასთან ერთად კომუნისტური პარტია სახავს ახალ-ახალ ღონისძიებებს სამეურნეო მექანიზმის გაუმჯობესების შესახებ, მისი საზოგადოებრივი წარმოების პროცესებზე აქტიური ზემოქმედების გაძლიერების შესახებ, რომლის ნათელი დადასტურებაა 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლა და 70-იანი წლების ბოლოს ახალი ღონისძიებების შემუშავება, კერძოდ, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის ცნობილი დადგენილება. ამ ღონისძიებათა პრაქტიკული გატარება იმაზე მიგვანიშნებს, რომ სამეურნეო მექანიზმი თავისი შინაარსით უფრო ახლოს დგას საზედნაშენო ურთიერთობებთან, ვიდრე ბაზისურთან. ამრიგად, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, სამეურნეო მექანიზმი არის კომუნისტური პარტიის სამეურნეო /ეკონომიკური/ პოლიტიკის ძირითადი და ამავე დროს განმსაზღვრელი ნაწილი.

ამ გაგებით სოციალისტური უშუალოდ საზოგადოებრივი წარმოების სამეურნეო მექანიზმის არსი მდგომარეობს მის გეგმაზომიერ ორგანიზებაში, მისი ყოველი შემადგენელი ნაწილის წინასწარ გააზრებულ მართვა-

[1] Л.И.Абалкин. Хозяйственный механизм развитого социалистического общества. М.,1973; С.Дзарасов. Производственные отношения и хозяйственный механизм, "Экон.науки", 1979, № I и др.

ეს უკანასკნელნი ვლინდებიან ადამიანთა სუბიექტურ საქმიანობაში. კლასობრივ ურთიერთობაში სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთჩახლართვა უფრო შესამჩნევია, ვიდრე ეკონომიკურ ურთიერთობებში. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ეკონომიკური ურთიერთობები ვლინდება, ფ. ენგელსის სიტყვებით, როგორც კლასობრივი ურთიერთობები. ამიტომ სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ურთიერთჩახლართვის ხასიათი, მისი ავკარგიანობა ვლინდება ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში, ამ უკანასკნელის წინსვლის წიაღში.

ეკონომიკური კანონების მოქმედების გამოყენება საზოგადოებას საშუალებას აძლევს თავისი დანიშნულებისამებრ წარმართოს სამეურნეო საქმიანობა. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მოგვეჩვენოს, რომ თითქოს საზოგადოება /მაგ., სოციალისტური/ ეკონომიკურ კანონს უცვლის მოქმედების მიმართულებას. ეს, რა თქმა უნდა, ყოვლად დაუსაბუთებელია, ილუზიაა, ვინაიდან ეკონომიკური კანონი როგორც ობიექტურად მოქმედი არ შეიძლება შეიცვალოს, მისი გამოვლინების ფორმა კი შესაძლებელია სხვადასხვა იყოს. შეიცნობს რა ყოველივე ამას, საზოგადოება გამოიყენებს მხოლოდ მისთვის სასარგებლო ფორმას. ამ მოქმედებაში ერთხელ კიდევ მტკიცდება კ. მარქსის გამოთქმა, რომ საზოგადოებრივი ცნობიერება განისაზღვრება საზოგადოებრივი ყოფიერებით, ე. ი. ეს უკანასკნელი აისახება საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

ფაქტია, რომ საზოგადოებრივ ყოფიერებაში არსებითი ცვლილებები საზოგადოებრივი ცნობიერების ცვლილებების ამოსავალი პუნქტია. თუ საზოგადოებამ იცის რა მიმართულებით და როგორ იცვლება წარმოებითი ურთიერთობები, მაშინ იგი თავის ცნობიერებას ამ მიმართულებით და ასეთი ხასიათით შეცვლის. ჰქონდა რა მხედველობაში საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ურთიერთმოქმედება, გ. პლეხანოვი წერდა: თუ მე ვიცი როგორი მიმართულებით იცვლება საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელიც წარმოების საზოგადოებრივ-ეკონომიკურ პრო-

დამახასიათებელია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის მისი განვითარების ისტორიულად მოცემულ პერიოდში.

როგორც უკვე ითქვა, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის თვალსაზრისით პარტია და მთავრობა ყველა ღონეს ხმარობენ, რათა ამაღლდეს დაგეგმვისა და მეურნეობის მართვის დონე, შეუსაბამონ იგი ახლანდელი ეტაპის – განვითარებული სოციალიზმის მოთხოვნებს, მიაღწიონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მნიშვნელოვან ამაღლებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და ყოველივე ამის ნიადაგზე საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელ ამაღლებას.

სწორედ ამაშია ჩაქსოვილი სოციალისტური უშუალო საზოგადოებრივი წარმოების უმაღლესი მიზანი, რომელსაც განაპირობა სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების მიზანდასახულობა და მიმართულება. ცხადია, რომ როდესაც ლაპარაკია სამეურნეო მექანიზმზე, ყოველთვის წინა პლანზე უნდა იდგეს საზოგადოებრივი წარმოების მიზანმიმართულება, რომელიც დასაბუთებულია არა მარტო სოციალური მდგომარეობით, არამედ მისი განვითარების ეკონომიკური კანონების შემეცნების ნიადაგზე პრაქტიკული ღონისძიებების დასახვით.

იხილავენ რა სამეურნეო მექანიზმს, მის არსს, ეკონომისტთა ერთი ნაწილი მას გადმოსცემს როგორც ეკონომიკური კანონების მოქმედების მექანიზმს[1], მეორე კი – როგორც ეკონომიკური კანონების გამოყენების მექანიზმს[2]. რა თქმა უნდა, ერთიც და მეორეც ცდილობს სამეურნეო მექანიზმი გაანალიზოს ეკონომიკური კანონების მოქმედებისა და გამოყენების აუცილებლობათა ჭრილში, რომლის გარეშეც შეუძლებელია თვით სამეურნეო მექანიზმის დასაბუთება. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეკონომიკური კანონების მოქმედებისა და გამოყენების მექანიზმების

---

[1] П.Бунич. Хозяйственный механизм развитого социалистического общества. "Экон.науки",1978, № 4.

[2] З.Купринов. Совершенствование хозяйственного механизма развитого социалистического общества. "Экон.науки", 1975, № I.

საფუძველზე სამეურნეო მექანიზმის აგება სრულად ვერ ასახავს ჩვენი ეკონომიკის განვითარების სოციალურ-პოლიტიკურ და საზოგადოებრივ-ეკონომიკურ მხარეებს. ამიტომ, ვიკვლევთ და ვაანალიზებთ რა ეკონომიკური კანონების მოქმედებისა და გამოყენების მექანიზმებს, ამით ჩვენ ვუქმნით სამეურნეო მექანიზმს ეკონომიკურ ნიადაგს /მატერიალურ საფუძველს/, ე.ი. ვასაბუთებთ მისი ფუნქციონირების ობიექტურ მხარეს, რომლის პრაქტიკული განხორციელებაც შესაძლებელია მხოლოდ მილიონიანი მშრომელი მასების ორგანიზებული საქმიანობით და საზოგადოებრივი წარმოების პროცესებში მათი აქტიური მონაწილეობით.

მაშასადამე, სამეურნეო მექანიზმი თავის თავში ორგანულად ითვასებს საკუთარი მოძრაობის ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს /მხარეებს/, ეს კი იმას განაპირობებს, რომ საზოგადოებრივი წარმოების პროცესებზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების მიზნით ამოსავალ პუნქტად ითვლება თვით საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონების არა მარტო შემეცნება; არამედ მათი მოთხოვნების გაანალიზების ნიადაგზე მეურნეობრივი მართვის ფორმებისა და მეთოდების შემუშავება, რაც განსაკუთრებული სახით აისახება სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში.

უკანასკნელ წლებში ეკონომიკურ და ფილოსოფიურ ლიტერატურაში სამეურნეო მექანიზმი წარმოდგენილია როგორც საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის წესი[1]. კაპიტალისტური საქონელწარმოების პირობებში ასეთ მექანიზმად მიიჩნევენ ზედმეტი ღირებულების წარმოებისა და მითვისების ორგანიზაციას, სოციალიზმის დროს კი – მშრომელებს შორის მატერიალური დოვლათის განაწილებას მათ მიერ დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

ჩვენი აზრით, ამ სახით სამეურნეო მექანიზმის არსის გარკვევა

---

[1] Г.Е.Глезерман. Законы общественного развития: их характер и использование, М., 1979, с.179.

შედარებით ღარიბია. თუ მისაღებია ის დებულება, რომ კაპიტალიზმის სამეურნეო მექანიზმად მიჩნეულია ზედმეტი ღირებულების წარმოებისა და მითვისების ორგანიზაცია /რამდენადაც ამ განსაზღვრებაში ამოსავალ აქცენტი მიჩნეულია ბურჟუაზიული საზოგადოების ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნები/, მაშინ სამეურნეო მექანიზმის განსაზღვრა სოციალიზმის პირობებში ამ სახით მიუღებელია იმდენად, რამდენადაც იგი საერთოდ მოკლებულია ჩვენი საზოგადოების ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნებს. ერთი კი ცხადია, რომ სოციალისტური საზოგადოების სამეურნეო მექანიზმმა, რომელმაც უნდა იმუშაოს საათის მექანიზმივით, უნდა ასახოს არა მარტო თვით სოციალიზმის, არამედ საერთოდ კომუნისტური წარმოების წესის შინაგანი ბუნება.

აქედან გამომდინარე, როგორც უკვე აღინიშნა, სამეურნეო მექანიზმის საზოგადოებრივი წარმოების პროცესებზე ზემოქმედების გაძლიერების აუცილებლობა უნდა ვეძიოთ თვით საზოგადოებრივი წარმოების წიაღში, ე. ი. საზოგადოების თითოეული წევრის ყოველმხრივი თავისუფალი განვითარების შესაძლებლობასა და საფუძველში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჯერ კიდევ 30-იან წლებში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სახავდნენ ღონისძიებებს იმის შესახებ, რათა საბჭოთა მოქალაქის ცხოვრება გარდაექმნათ შინაარსობრივად. 70-იან წლებში ამ ღონისძიებათა განხორციელება მკვეთრად გამოიკვეთა, რამაც ჯეროვანი ასახვა ჰპოვა პარტიის XXV და XXVI ყრილობებზე და, კერძოდ, საკ. ალკკ XVIII ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში. ამ ისტორიულ დოკუმენტებში გარკვევით ითქვა, რომ მატერიალურ საფუძველს ქმნიდა არა უშუალოდ მოქალაქეთა, მშრომელთა ეკონომიკურად შეძლებული ცხოვრებისათვის, არამედ მათი ყოველმხრივი თავისუფალი განვითარებისათვის, რამაც, რა თქმა უნდა, გარკვეული ასახვა უნდა ჰპოვოს როგორც საზოგადოებრივი წარმოების მიზანდასახულობაში, ისე მისი განხორციელების მატერიალურ საფუძვლებში.

სამეურნეო მექანიზმის არსის გარკვევისათვის მეტად მნიშვნელოვანია საკითხის გადაწყვეტა მისი მოქმედების ხასიათის შესახებ, კერძოდ, მისი მოქმედების ხასიათიდან გამომდინარე ეკონომისტთა ერთი ნაწილი მას მიიჩნევს როგორც ობიექტურად მოქმედ სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენას, მეორე კი - სუბიექტურს. ჩვენი გაგებით, სამეურნეო მექანიზმის გაანალიზებისას უნდა გამოვიყენოთ ეკონომიკურ მოვლენათა შესწავლის მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგია.

როგორც წესი, ყოველი მოვლენა ვლინდება შესაბამის ფორმებში, ამიტომ, რამდენადაც ყოველი ფორმა გვევლინება არა მარტო უბრალო საკუთარი შინაარსის ასახვის საშუალება, ე.ი. მისი სარკე, არამედ მასზე ზემოქმედი და უფრო მეტიც - მისი გარდამქმნელი ბერკეტი, იმდენად შინაარსი და ფორმა ურთიერთგადასვლითი და ურთიერთზემოქმედი ფაქტორებია. ლაპარაკობდა რა სახელმწიფო ეკონომიკურ მექანიზმსა და სამეურნეო მექანიზმზე, ვ.ი. ლენინი ზუსტად ამ ურთიერთგადასვლით მომენტებს ითვალისწინებდა. აქედან გამომდინარე, სამეურნეო მექანიზმი უნდა წარმოვადგინოთ საკუთარი შინაარსითა და მისი გამოვლინების საკუთარი ფორმით. ამ გაგებით იგი მხოლოდ ობიექტურად მოქმედი მოვლენაა. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია გავიზიაროთ იმ ეკონომისტების აზრი, რომლის მიხედვითაც სამეურნეო მექანიზმი არის ობიექტურიც და სუბიექტურიც.

რამდენადაც სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის დადგენილებაში ლაპარაკია სამეურნეო მექანიზმის სრულყოფაზე, იმდენად ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ სამეურნეო მექანიზმი ობიექტურად მოქმედი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა, რომლის სრულყოფაც ექვემდებარება არა ცალკეული პირების ნებასურვილს, არამედ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური სისტემის, ბაზისის დიალექტიკური მოძრაობის მოთხოვნებს.

ეკონომისტთა ერთი ნაწილი, როგორც წესი, სამეურნეო მექანიზმს თქვეფს საზოგადოებრივი წარმოების ფუნქციონირების მექანიზმში, რაც არ შეიძლება მივიჩნიოთ დასაბუთებულად თუნდაც იმიტომ, რომ პირველი მოწოდებულია განსაკუთრებული ზემოქმედება მოახდინოს თვით საზოგადოებრივი წარმოების ფუნქციონირების მექანიზმზე. მაგ., ბურჟუაზიული საზოგადოების სამეურნეო მექანიზმი /კერძო მესაკუთრეთა შორის ურთიერთდაუნდობელი კონკურენცია/ ზემოქმედებას ახდენს როგორც ზედმეტი ღირებულების წარმოების, ისე მისი განაწილება-მითვისების პროცესებზე.

სამეურნეო მექანიზმის არსის შიგნით თითქოს არსთა მრავალფეროვნების არსებობამ ეკონომისტთა ერთი ჯგუფი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ თვით სამეურნეო მექანიზმი გამოხატავს მექანიზმთა მექანიზმად. მაგ., ა. ტაშჩევისა და ა. კოლკოვის აზრით, სამეურნეო მექანიზმი არის რთული სისტემა, რომელიც შედგება ცალკეული მექანიზმისაგან /ქვესისტემებისაგან/: დაგეგმვის მექანიზმისაგან, მატერიალური სტიმულირების მექანიზმისაგან, ანგარიშიანობის მექანიზმისაგან და ა. შ.[1]

იკვლევს რა სამეურნეო მექანიზმის არსს, ეკონომისტთა მეორე ჯგუფი მასში აქსოვს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა ნიშან-თვისებებს: ეკონომიკურს, უფლებრივს, სოციალურს, ადმინისტრაციულს და ა. შ. მაგ., ა. ს. გუსაროვის აზრით, სამეურნეო მექანიზმი არის ეკონომიკური, უფლებრივი, სოციალური და სხვა სახის ურთიერთობათა ინტეგრირებული სისტემა, რომელსაც მართვის ორგანოთა ერთობლიობა შეესაბამება[2]. თითქმის ასეთივე აზრია ჩაქსოვილი მ. ბოკის მიერ სამეურნეო მექანიზმის არსის განსაზღვრაში, რომლის მიხედვითაც იგი გამოცხადებულია როგორც ორგანიზაციულ-ეკონომიკური მეთოდების სისტემა, რომელთა ფუნქციონირებაც მიიღწევა საბოლოო სახალხო-სამეურნეო

---

[1] А.Ташев,А.Колоков. Хозяйственный механизм и условия его эффективного использования. "Экон.науки",1979,№ 2,с.33-34.

[2] Хозяйственный механизм развитого социализма: структура и пути совершенствования. "Экон.науки", 1979,№ 8 и др.

შედეგები[1].

ლაპარაკობს რა სამეურნეო მექანიზმზე როგორც სოციალიზმის ობიექტური კანონების შეგნებულ გამოყენებაზე, გ. ვოლინსკს მიაჩნია, რომ იგი /სამეურნეო მექანიზმი/ მოიცავს სახალხო მეურნეობის მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელიც აერთიანებს საზოგადოებრივი წარმოების მართვის ორგანოებს, მათ ურთიერთდამოკიდებულებას, კადრებს, მატერიალურ-ტექნიკურ და საინფორმაციო /ადმინისტრაციულ-დირექტიულ/ ბაზას, ეკონომიკური კავშირების ერთობლიობას /საგეგმო-სახელშეკრულებო, ფინანსური, ადმინისტრაციულ-სამეურნეო/, რომლებიც მყარდება მეურნეობის რგოლებს შორის /მმართველებსა და სამართავებს შორის, ერთი დონის რგოლებს შორის და ა. შ./ ეკონომიკის გეგმაზომიერი მართვის პროცესში[2].

როგორც ვხედავთ, სამეურნეო მექანიზმის არსის გარკვევაში ეკონომისტთა შორის ჯერ კიდევ არ არსებობს არა მარტო ერთიანი აზრი, არამედ მის ახსნა-განმარტებაში ჩაქსოვილია საზოგადოებრივი წყობილების ისეთი მახასიათებელი ნიშან-თვისება, რაც არსისეული შინაარსის თვალსაზრისით სამეურნეო მექანიზმს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე სხვა რომელიმე საზოგადოებრივ-ეკონომიკურ მოვლენას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გარემოებამ გარკვეული ასახვა პოვა იმ ეკონომისტთა შრომებში, ვისაც სამეურნეო მექანიზმი წარმოდგენილი აქვს როგორც წარმოებითი ურთიერთობების ფუნქციონირების მექანიზმი. ამით ისინი აიგივებენ საზოგადოებრივი წარმოების არსს მისი გამოვლინების ზედაპირულ კონკრეტულ ფორმებთან.

მართალია, სამეურნეო მექანიზმში გარკვეული ასახვა უნდა პოვოს ეკონომიკურმა ინტერესმა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას,

---

I М.Бок. Сущность и принципы хозяйственного механизма. "Экон.науки", 1979, № 9, с. 27.

2 Г.Волынский. Хозрасчетное стимулирование в системе хозяйственного механизма. "Экон.науки", 1979, № 2, с. 36.

რომ სამეურნეო მექანიზმი უნდა წარმოდგეს როგორც ეკონომიკური ინტერესების ნაირსახეობა. როგორც ცნობილია, ეკონომიკური ინტერესების არსებობა განაპირობებს მათი პრაქტიკული განხორციელების აუცილებლობას. როგორიცაა ეკონომიკური ინტერესების შინაგანი სოციალურ-ეკონომიკური ბუნება, ისეთია მათი განხორციელების პრაქტიკული გზები და მეთოდები, ე. ი. ისეთია მისი განხორციელების ეკონომიკური ბერკეტები. ამიტომ სამეურნეო მექანიზმი ისეთი სოციალურ-ეკონომიკური ბერკეტია, რომელშიც წარმოდგენილია საზოგადოებრივი წარმოების არსებული ნიშან-თვისებების გარდაქმნის პრაქტიკული პროცესი. ცხადია, რომ ამ უკანასკნელთა გარდაქმნა არ მიმდინარეობს თავისთავად, დამოუკიდებლად. მას განაპირობებს თვით საზოგადოებრივ წარმოებაზე როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ფაქტორების ზემოქმედება. ამიტომ სამეურნეო მექანიზმის არსის გარკვევის მიზნით აუცილებელ პირობად რჩება ამ ფაქტორების, როგორც ერთიან მთლიან სისტემაში შემავალი რგოლების, გაანალიზება. როგორც უკვე ითქვა, ფორმირების, ფუნქციონირებისა და მოქმედების თვალსაზრისით ეს ფაქტორები იყოფა ორ განშტოებად, რომელთაგან ერთი არის განმსაზღვრელი, მისი მოძრაობის საფუძველი, მეორე კი – მისი მამოძრავებელი ძალა. ამიტომ მოქმედების ხასიათით პირველი ობიექტურია, მეორე კი – სუბიექტური.

სამეურნეო მექანიზმის ობიექტური მხარე განპირობებულია ჩვენი საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონების ღრმამეცნიერული ანალიზის ბაზაზე მომავლის განჭვრეტის აუცილებლობით. როგორც ჩვენ მიგვაჩნია, სწორედ ამაშია სამეურნეო მექანიზმის მამოძრავებელი ღერძი, რომლის გარეშეც ყოვლად შეუძლებელია მიღწეულ იქნეს მატერიალურ წარმოებაზე წინასწარ განსაზღვრული მიზანდასახული ზემოქმედება. სამეურნეო მექანიზმის სუბიექტური მხარე კი განპირობებულია მილიონიანი მშრომელი მასების მეცნიერულად დასაბუთებული სამეურნეო ნორმატივებით შეიარაღების აუცილებლობითა და აქტიური საქმიანობით.

ამიტომ განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ნორმატივების მეცნიერულ დასაბუთებას, ისე მილიონიანი მშრომელი მასების საზოგადოებრივი წარმოების პროცესების მართვაში აქტიურ ჩაბმას, მათი სამეურნეო დისციპლინის განმტკიცებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეურნეო მექანიზმის ფუნქციონირების სფერო თავისთავად არ არსებობს, მას ქმნიან, აუმჯობესებენ და წარმართავენ მილიონიანი მშრომელი მასები. ცხადია, რომ ეკონომიკური კანონების მოქმედების ღრმამეცნიერული ანალიზი და მის შესაბამისად ეკონომიკურად დასაბუთებული ნორმატივების დადგენა ადამიანების, მილიონიანი მშრომელი მასების აქტიური მონაწილეობით, ინიციატივიანი საქმიანობის გარეშე შეუძლებელია, ასევე შეუძლებელია მოცემული ნორმატივების პრაქტიკული განხორციელებაც. მაშასადამე, სამეურნეო მექანიზმი, ითვისებს რა თავის თავში ობიექტურსა და სუბიექტურ ფაქტორებს, ფუნქციონირებს ადამიანთა წინასწარ გააზრებულ სამოქმედო სფეროში.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამეურნეო მექანიზმის გარკვევისას იმ ეკონომისტთა აზრია ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს, ვინც მასში მთავარ ფაქტორად გამოყოფს ადამიანებს თავიანთი კვალიფიკაციით, განწყობით, პრინციპულობითა და საქმიანობით[1], ვინც მასში ხედავს ისეთი პრინციპების გატარებას, როგორიცაა პარტიულობა, მეცნიერულობა, პოლიტიკისა და ეკონომიკის ერთიანობა, კომპლექსურობა, ეფექტიანობა და ა. შ.[2].

ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე პირობებში, სადაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მილიონიანი მშრომელი მასების შემოქმედებით ინიციატივას, ყველა შესაძლებლობა არსებობს იმისა, რათა ყოველი ეკონომიკური კანონის მოქმედება წარიმართოს წინასწარ განსაზღვრული მიმართულებით და მის შესაბამისად მიღწეულ იქნეს ის

---

[1] "Экономические науки", I979, № 2, с. 35.

[2] "Экономические науки", I979, № 9, с. 27.

შედეგი,რომელსაც თვით საზოგადოება სახავს. რა თქმა უნდა,აქ გადამწყვეტ როლს თამაშობს ადამიანი,საზოგადოებრივად განვითარებული პიროვნება,რომელიც,შეიცნობს რა თავისი განვითარების მიმართულებას,სახავს და ცხოვრებაში ატარებს იმ ღონისძიებებს,რომლებიც შემოქმედებითად გარდაქმნიან არა მარტო საზოგადოებრივ წარმოებას,მის სოციალურ-ეკონომიკურ ბუნებას,არამედ საკუთარ თავსაც,ე.ი. მთავარ საწარმოო ძალასაც. ამიტომ სამეურნეო მექანიზმის სრულყოფაში საზოგადოებრივად განვითარებული პიროვნება არის განმსაზღვრელი და მამოძრავებელი ძალა.

მაშასადამე,სამეურნეო მექანიზმი არის სოციალურ-საზოგადოებრივ წარმოებაზე ზემოქმედი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების დიალექტიკური ერთობლიობა,რაც ვლინდება მილიონიანი მშრომელი მასების მიერ ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის მართვის ეკონომიკურად დასაბუთებულ ფორმებსა და მეთოდებში ნორმატივების სახით,რომელთა ფუნქციონირებაც დაკავშირებულია საზოგადოების თითოეული წევრის მზარდი მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილებისა და მათი ყოველმხრივი თავისუფალი განვითარების ობიექტურ აუცილებლობასთან. რა თქმა უნდა,სამეურნეო ზწარმოებაზე ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედება არ არის თავისთავადი პროცესი. პირველ რიგში იგი არის საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ტემპების დაჩქარების პროცესი იმიტომ,რომ იგი განსაზღვრავს მისი ზრდის როგორც საერთო,ისე კონკრეტულ ეტაპებში კანონზომიერებებს და მის შესაბამისად შეიმუშავებს და დღენიადაგ სრულყოფს საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ფორმებსა და მეთოდებს. მართალია,სოციალისტური სახალხო მეურნეობა არის შინაგანად განუწყვეტლივ განვითარებადი სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზმი,მაგრამ ეს არ გამორიცხავს მისი ფუნქციონირების სამეურნეო მექანიზმის შემდგომ გაუმჯობესებასა და სრულყოფას. აქვს რა ყოველივე ეს მხედვე-

ლობაში, პარტია მიუთითებს: "... თუ მივხვდით, რომ განუწყვეტლივ განვითარებადი სახალხო მეურნეობა ვეღარ ეტევა არსებული სამეურნეო მექანიზმის ფარგლებში, იგი გადაჭრით უნდა სრულვყოთ"[1].

ცხადია, რომ ამ მიმართებით სამეურნეო მექანიზმის სისტემა ვლინდება როგორც სამეურნეო პოლიტიკა, რომელიც პრაქტიკულად აერთიანებს სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების სისტემას. როგორც ცნობილია, სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ფუნქციონალური ცენტრები თავმოყრილია ერთიან საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცენტრში სოციალისტური სახელმწიფოს სახით, რის გამოც განვითარებული სოციალიზმის პირობებში ძლიერდება მისი ეკონომიკური როლი, რომლის დონეც განისაზღვრება სამეურნეო მექანიზმის ფუნქციონალური და ორგანიზაციული სტრუქტურით. რამდენადაცაა განვითარებული ეს უკანასკნელი, იმდენად ძლიერია სახელმწიფოს ეკონომიკური როლი.

აქედან ნათელია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია გავიზიაროთ ეკონომისტთა ის აზრი, რომლის მიხედვითაც თითქოს სამეურნეო მექანიზმი და, ამიტომ, სახელმწიფო ბაზისური ურთიერთობების მატარებელი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებია. მაგ., ს. ძარასოვი, იხილავს რა სამეურნეო მექანიზმს როგორც ეკონომიკაზე შეგნებულად ორგანიზებული ზემოქმედების სისტემას, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მას აღიარებს ბაზისურ ელემენტად. მისი აზრით, იგი არის როგორც ბაზისური, ისე საზედნაშენო ურთიერთობების მატარებელი ელემენტი[2].

მატერიალური წარმოების ხარისხობრივი მაჩვენებლებისაკენ შემობრუნება გვიჩვენებს, რომ ჩვენი საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე მხოლოდ რაოდენობრივი მნიშვნელობის ეკონომიკური მაჩვენებლების გამოყენებით ნაკლებად მიიღწევა ის მიზანი, რომელიც დასა-

---

[1] სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 84.

[2] С. Дзарасов. Производственные отношения и хозяйственный механизм. "Экон.науки", I979, № I.

ხულია ხუთწლედების მიხედვით. ამიტომ განსაკუთრებულად უნდა გაესვას ხაზი აღნიშნული დადგენილების სოციალურ-ეკონომიკურ მნიშვნელობას, რომელმაც დროულად შეაფასა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში მომხდარი ცვლილებები და საგრძნობლად გააკრიტიკა საზოგადოებრივი წარმოების პროცესების მართვის მანამდე არსებული ფორმები და მეთოდები. კერძოდ, ამ დადგენილებამ ფართო გასაქანი მისცა ისეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, რომლებსაც შეუძლიათ საზოგადოებრივი წარმოება დაახასიათონ მხოლოდ ხარისხობრივი თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, ეს მაჩვენებლები არ გამოთიშავენ რაოდენობრივი მნიშვნელობის მქონე ეკონომიკური მაჩვენებლების გამოყენებას, ისინი ამ უკანასკნელთ წარმართავენ ერთიანი მიზნისაკენ, რომლის გადაწყვეტაც შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებრივი წარმოების ხარისხობრივი გარდაქმნით.

თუ გადავხედავთ ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების ისტორიას და გავავლებთ პარალელს 20-იანი წლების სამეურნეო პოლიტიკასთან, შეიძლება მივნახოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის დადგენილებასა და ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას შორის ის საერთო, რომლის შესახებაც თავის დროზე ლაპარაკობდა ვ. ი. ლენინი. კერძოდ, სახელმწიფო საწარმოები 20-იან წლებში ნ ე პ -ზე იმიტომ გადაიყვანეს, რომ, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, თვით ამ საწარმოებს უნდა ეგოთ პასუხი, თავიანთი სამეურნეო საქმიანობის ავკარგიანობისათვის. მართალია, იმ პერიოდში საწარმოო ძალების განვითარების დონე, წარმოებითი ურთიერთობების მომწიფების ხარისხი და თვით სამეურნეო პრაქტიკის გამოცდილება საშუალებას არ იძლეოდა გამოგვენახა მეურნეობის გაძღოლის ისეთი ფორმები და მეთოდები, რომლებზე დაყრდნობითაც მართლაც საწარმოებს ნამდვილად უნდა ეგოთ პასუხი, მაგრამ აღებული კურსი სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით სწორი იყო. ამჟამად, როგორც

მატერიალური, ისე მორალური გაგებით, ასეთი პირობები დიდი ხანია უკვე შექმნილია. ამიტომ ამ მიზეზებით სამეურნეო მექანიზმის გაუმჯობესებაც აუცილებელია, რაზეც განსაკუთრებული გაამახვილა ყურადღება პარტიის XXVI ყრილობამ.

შრომის ხარისხის ამაღლების მთელი სიმძიმე რომ საწარმოებზე /გაერთიანებებზე/ გადადის – ეს იქიდანაც ჩანს, რომ ახალ პირობებში მათი სამეურნეო საქმიანობა უნდა შეფასდეს კონკრეტული ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით, კერძოდ, თუ როგორ ასრულებენ ისინი სამრეწველო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საგნების ნომენკლატურის /ასორტიმენტის/ მიხედვით მიწოდებას, რაც უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებს. ამავე დროს საწარმოების /გაერთიანებების/ სამეურნეო საქმიანობის შეფასებისას უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლები, როგორიცაა შრომის ნაყოფიერების ამაღლება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, მოგების ზრდა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

ე. ი. საწარმოთა /გაერთიანებათა/ ეკონომიკური პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით პარტია და მთავრობა იყენებენ მათი სამეურნეო საქმიანობის შეფასების ისეთ კომპლექსურ მაჩვენებლებს, რომელთა გათვალისწინებაც უზრუნველყოფს მათი რენტაბელობის ზრდას. მართალია, ამ გზით ხდება სამეურნეო ეფექტიანობის ამაღლება, მაგრამ, როგორც ჩვენ მიგვაჩნია, კრიტერიუმად ეკონომიკურ მაჩვენებელთა კომპლექსის არჩევა გაართულებს საწარმოთა /გაერთიანებათა/ ორიენტაციას ყოველ კონკრეტულ პირობებში, რაც უარყოფითად იმოქმედებს მის სამეურნეო პრაქტიკაზე. ამიტომ მათი სამეურნეო საქმიანობის ავკარგიანობა, მომგებიანობა, რენტაბელობა თავს უნდა იყრიდეს ერთ ეკონომიკურ მაჩვენებელში, რომელიც თავისი სოციალურ-ეკონომიკური შინაარსით იქნება სინთეზური, განმაზოგადებელი მაჩვენებელი.

მართალია, ახალი დადგენილების მიხედვით ასეთ მაჩვენებლად მიჩ-

ნებულია ნორმატიული წმინდა პროდუქცია, მაგრამ ამ უკანასკნელს მაშინაც კი შეუძლია საწარმოთა /გაერთიანებათა/ საქმიანობა წარმოსახოს დადებითად, როდესაც ეს პროდუქცია არც თუ ისე სრულად აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნილებას. პარტიის XXV და XXVI ყრილობებზე განისაზღვრა, რომ სამეურნეო საქმიანობის შეფასების კრიტერიუმი უნდა ვეძიოთ საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგებში. საზოგადოებრივი წარმოების შედეგი კი განისაზღვრება არა წარმოებული პროდუქციის რაოდენობრიობით, არამედ ამ პროდუქციაზე არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონით, თუ როგორ აკმაყოფილებს იგი ამ უკანასკნელს. ამ მოსაზრების სისწორეზე მეტყველებს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში უნდა უზრუნველყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება, პიროვნების ყოველმხრივი თავისუფალი განვითარებისათვის საუკეთესო პირობების შექმნა.

როგორც ჩვენ მიგვაჩნია, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზემოთ აღნიშნული დადგენილების პრაქტიკაში ეფექტიანად გატარების ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად რჩება საკითხი გეგმიანი ფასების შესახებ. მართალია, ამჟამად ადგილი აქვს მათი მასტიმულირებელი როლის გაძლიერებას, მაგრამ მათი საერთო დონის ფორმირების საკითხი საზოგადოებრივი წარმოების ახალ პირობებშიც კი ღიად რჩება, ვინაიდან ფასების დაწესების საერთო დონედ აღიარებულია მისი ფორმირების ძველი მეთოდი. რამდენადაც საზოგადოებრივი წარმოების პროცესებზე სამეურნეო მექანიზმის აქტიური ზემოქმედების მთელი სიმძიმე გადატანილია გეგმიან ფასებზე, იმდენად წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაში საწარმოთა /გაერთიანებათა/ დაინტერესება უნდა მოხდეს ფასების სწორი პოლიტიკის გატარებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მწარმოებელთა დაინტერესების მიზნით მაღალ-

ხარისხიან პროდუქციაზე დაწესებულია სარგო /ფასნამატი/, მაგრამ ამჟამად მოქმედი ფასების დონე უცვლელი რჩება. საზოგადოებრივი წარმოების განვითარების დღევანდელი პირობები კი საჭიროებს იმას, რომ ეს საკითხი უნდა იყოს მეცნიერულად გაანალიზებული და ეკონომიკურად დასაბუთებული. რამდენადაც არა უბრალოდ ფასებზე, არამედ საბითუმო ფასების განსაკუთრებულ როლზეა დამოკიდებული სამეურნეო მექანიზმის გაძლიერების ეფექტი, იმდენად, ჩვენი აზრით, ეკონომისტთა ყურადღების ცენტრში უნდა გადაინაცვლოს სოციალისტური ფასწარმოქმნის სფეროში, რათა ეს სისტემაც მნიშვნელოვნად შემობრუნდეს ხარისხობრივი მაჩვენებლებისაკენ /თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური მეცნიერების არც ერთ დარგში არ არის ეკონომისტთა მიზღვავება ისეთი დიდი, როგორიც სოციალისტურ ფასწარმოქმნაშია/. როგორც ჩვენ მიგვაჩნია, თუ ძალაში დავტოვებთ მოქმედი ფასების დონეს და მის მიხედვით ვიმსჯელებთ სამეურნეო მექანიზმის გაძლიერებაზე, ამით ჩვენ უფრო გავართულებთ ხარისხობრივი მაჩვენებლების პრაქტიკაში გამოყენების საქმეს. მართალია, 1982 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი საბითუმო ფასები, მაგრამ მათი ამოსავალი წერტილი რაოდენობრივი მაჩვენებლის საზოგადოებრივი ფორმაგანსაზღვრულობაა და არა მისი ხარისხობრივი გარდაქმნა.

სოციალისტურ ფასწარმოქმნაში ასეთი მეთოდის გამოყენება დასაბუთებულია მხოლოდ იმით, რომ ეფექტიანი ფასების დაწესების განმსაზღვრელი ფაქტორია შრომის საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯები. მაგრამ ეს უკანასკნელი ეკონომიკურ ლიტერატურაში წარმოდგენილია არა სოციალისტური თვალსაზრისით, არამედ ისე, როგორც იგი განხილულია კ. მარქსის "კაპიტალში", სადაც მოცემულია კაპიტალისტური ფასწარმოქმნა კერძო ფორმებში. თუ კაპიტალისტური საქონელწარმოების ეფექტიანობა განისაზღვრება მოგებით, მაშინ სოციალისტური წარმოების ამოცანა არ უნდა ვეძიოთ მოგებაში, ვინაიდან ჩვენთან საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრშია არა მოსახლეობის გარკვეული ფენის, არამედ საზოგადო-

ების თითოეული წევრის, საზოგადოებრივად განვითარებული პიროვნების ინტერესები, რაც გარკვეულწილად ასახავს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნებში. აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ სოციალისტური ქვეყნის საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მასთან ერთად ცალკეულ საწარმოთა /გაერთიანებათა/ რენტაბელობის კრიტერიუმია საზოგადოებრივად განვითარებული პიროვნების მოთხოვნილებანი, რომელთა კონცენტრირებული სახეც წარმოდგება როგორც საზოგადოებრივად აუცილებელი მოთხოვნილებანი.

როგორც ჩვენ მიგვაჩნია, სოციალისტური ფასწარმოქმნის სისტემაში ეკონომიკურმა მაჩვენებელმა "საზოგადოებრივად აუცილებელმა მოთხოვნილებამ" ჯეროვანი ადგილი უნდა დაიკავოს და მის შესაბამისად უნდა მიმდინარეობდეს გეგმიანი ფასების დადგენა. კერძოდ, საბითუმო ფასების დონემ უნდა ასახოს /1/ წარმოებულ პროდუქციაზე დახარჯული შრომის მიზანშეწონილობა და /2/ თვით წარმოებული პროდუქციის სასარგებლო ეფექტი /ცხადია, რამდენადაც მაღალია ამა პროდუქციის სასარგებლო ეფექტი, იმდენად მეტია საზოგადოებრივად აუცილებელი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობანი, როგორც ფ. ენგელსი მიუთითებდა, ორი ერთგვაროვანი პროდუქტიდან, რომელთა წარმოებაზეც ერთი და იგივე რაოდენობის შრომა დაიხარჯა, მაღალი შესადარი ღირებულება და ამიტომ მაღალი ფასი, ექნება იმ პროდუქტს, რომლის სასარგებლო თვისებებიც შედარებით მეტია/.

მაშასადამე, პროდუქციაზე საბითუმო ფასებმა უნდა განსაზღვრონ დახარჯული შრომის ეკონომიკური ეფექტი და მის შესაბამისად უზრუნველყონ მთლიანი საზოგადოებისათვის საჭირო პროდუქციის წარმოების სტიმულირება /რამდენადაც მაღალია მიღებული პროდუქციის სასარგებლო ეფექტი, იმდენად მეტია ფასნამატი, და, პირიქით, რამდენადაც ნაკლებია მისი სასარგებლო ეფექტი, იმდენად მეტია ფასდაკლება/.

მართალია, არც ერთი ეკონომიკური მაჩვენებელი არ "მუშაობს" და-

მოუკიდებლად, მაგრამ გეგმიანი ფასები ისეთი ეკონომიკური მაჩვენებელია, რომელშიც კონცენტრირებული სახით თავს იყრის სამეურნეო საქმიანობის ცალკეულ მხარეთა განმსაზღვრელი ეკონომიკური მაჩვენებლები, ამიტომ ამ უკანასკნელთან შედარებით საბითუმო ფასების დონის დაწესება მეცნიერული დასაბუთების თვალსაზრისით უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს. აქედან სრულიად სამართლიანია დასკვნა იმის შესახებ, რომ აღნიშნული ტენდენციების პრაქტიკაში გატარების ეტაპი პირველ რიგში დამოკიდებულია მოქმედი გეგმიანი ფასების ხარისხობრივ გარდაქმნაზე, რაც ჩვენი საზოგადოების განვითარების ახალი ეტაპის მოთხოვნათა შესატყვისი იქნება.

ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი წარმოების განვითარების დღევანდელი დონე სრულად შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომელიც ჯერ კიდევ მიმდინარე საუკუნის 20-იან წლებში მას ვ.ი. ლენინმა წაუყენა. კერძოდ, ლაპარაკობდა რა სახელმწიფო ეკონომიკური მექანიზმის გარდაქმნაზე, იგი მიუთითებდა ისეთი სამეურნეო მექანიზმის შექმნაზე, რომელიც ნამდვილად იმუშავებდა როგორც საათის მექანიზმი[1]. ისეთი სახის სამეურნეო მექანიზმის შექმნის მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გაითვალისწინეს უახლოეს წლებში სამეურნეო ანგარიშიანი გაერთიანებების ფორმირების დამთავრება და სახალხო მეურნეობის თითოეული რგოლის ბრიგადულ სისტემაზე გადაყვანა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ერთიანი სამეურნეო სისტემის ჩამოყალიბებას და მის შემდგომ განვითარებას.[1]

მართალია, სამეურნეო მექანიზმის შესახებ ეკონომიკურ ლიტერატურაში აზრთა გაზიარება გახშირდა 60-70 წლების მიჯნაზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი როგორც მეურნეობრიობის განსაკუთრებული მეთოდი მანამდე არ არსებობდა. ეს უდიდესი ძვრები, რომელიც მოხდა სახალხო მეურნეობაში საბჭოთა ხელისუფლების დაარსებიდან დღემდე, ღაღადებს იმაზე, რომ იმთავითვე სამეურნეო მექანიზმის შესახებ აზრი, რომელსაც დასაბამი მისცა ვ.ი. ლენინმა, სწორად იყო გაგებული. ეკონომი-

---

[1] ვ.ი. ლენინი. თხზ., ტ. 27, გვ. 243.

კის განვითარების პირველ ეტაპზე ხუთწლიანი გეგმების დიდულად შესრულება განაპირობა არა მარტო მშრომელი მასების უდიდესმა ენთუზიაზმმა, რომელიც წარმოშვა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, არამედ ეკონომიკური კანონების მეცნიერულმა გაანალიზებამაც და მის ნიადაგზე სათანადო ფორმებისა და მეთოდების შემუშავებამ. სწორედ ამ ფაქტორების ზემოქმედებამ განაპირობა აგრარული და ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნის უმოკლეს ვადაში მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნად გადაქცევა. დღეისათვის ჩვენი ქვეყანა აწარმოებს მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის თითქმის 22 პროცენტს, მაშინ როდესაც 1920 წელს მისი ხვედრითი წილი 2 პროცენტსაც არ შეადგენდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სოციალისტური სამეურნეო მექანიზმის გაძლიერებამ და მისმა აქტიურმა ზემოქმედებამ საზოგადოებრივ წარმოებაზე განაპირობა ის, რომ ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით 1939 წელს ჩვენი ქვეყანა გავიდა მეორე ადგილზე მსოფლიოში. მეტად მნიშვნელოვანია იმის მითითებაც, რომ ამჟამად სამრეწველო პროდუქციის 23 ძირითადი მაჩვენებლიდან 18 მაჩვენებლის მიხედვით სსრ კავშირს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. მათ შორის ქვანახშირის, ფოლადის, რკინის მადნის, კოქსის, მინერალური სასუქების; მაგისტრალური თბომავლებისა და ელმავლების, ტრაქტორების, ცემენტის, შალის ქსოვილის, ტყავის ფეხსაცმლის, საოჯახო მაცივრების, კარაქის წარმოებით, რომელთა მიხედვითაც ჩვენმა ქვეყანამ დიდი ხანია უკან ჩამოიტოვა კაპიტალისტური სამყაროს გიგანტი – აშშ. მეურნეობრიობის სოციალისტური წესის უპირატესობა იმაში გამოვლინდა, რომ 1980 წლის მონაცემებით უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის სამრეწველო პროდუქცია გაორკეცდა, მაშინ როდესაც იგივე პროცესს დასჭირდა ინგლისში – 26 წელი, გფრ-ში – 18 წელი, საფრანგეთში – 17 წელი, აშშ-ში – 16 წელი და ა. შ.

სოციალისტურ ქვეყნებში კომუნისტური და მუშათა პარტიების მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებიდან გამომდინარე ეკონომიკურმა პოლიტიკამ განაპირობა ის, რომ უმოკლეს ვადაში მსოფლიო სოციალისტური სისტემა გადაიქცა წამყვან ძალად როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად. თუ, მაგ., 1917 წელს სოციალისტური ბანაკი აწარმოებდა მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის მხოლოდ 2,7 პროცენტს /1922 წელს კი – შედარებით ნაკლებს/, 1945 წლიდან სოციალისტურ ქვეყნებში წარმოებულმა სამრეწველო პროდუქციის ხვედრითმა წილმა იმატა და მსოფლიო სამრეწველო პროდუქციაში შესაბამისად მიაღწია 1950 წელს დაახლოებით 20 პროცენტს, 1980 წელს კი – 42 პროცენტს. აქედან ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი – ქვეყნების სამრეწველო პროდუქცია შეადგენს მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის ერთ მესამედზე მეტს. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში იწარმოება უფრო მეტი რაოდენობის სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე იგი იწარმოებოდა 1950 წელს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

4. ეკონომიკური კანონების მოთხოვნები და მათი რეალიზაციის შესაძლებლობები

საზოგადოებრივი განვითარების ეკონომიკური კანონების მოქმედების მექანიზმის შემეცნება და გამოყენება ვლინდება კანონების მოთხოვნათა რაც შეიძლება სრული და ყოველმხრივი განხორციელების ობიექტურ აუცილებლობასა და პრაქტიკულად არსებულ შესაძლებლობებში. სოციალიზმი, რომელმაც შეიცნო ამ აუცილებლობის ობიექტური ხასიათი, უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ეფექტიან განვითარებას, განაპირობებს საზოგადოებრივი პროცესების გარდაქმნის აუცილებლობას და მას უკავშირებს განხორციელების შესაძლებლობას როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური მიმართულებებით.

პარტიისა და მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ვლინდება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, მიზნად ისახავს შექმნას ეკონომიკის ისეთი პოტენციალი, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების თითოეული წევრის მოთხოვნილებათა სრულ დაკმაყოფილებას და მისი, როგორც პიროვნების, ყოველმხრივ თავისუფალ განვითარებას. ამ თვალსაზრისით კომუნისტური მშენებლობის ძირითადი ამოცანები შეიმუშავება საზოგადოებრივი განვითარების ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა შესაბამისად, რომელთა ერთობლიობაც საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჩარჩოებშია მოქცეული და ამიტომ იგი თავისი მოქმედების სიფართით და სიღრმით შედარებით შეზღუდულია. ამას ართულებს ისიც, რომ თითოეული ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა შემეცნება მიმდინარეობს ცალკეული სუბიექტების მიერ, რის გამოც თვით ამ მოთხოვნათა შემეცნებაც ფაქტიურად შეზღუდულია და, რა თქმა უნდა, თვით ამ მოთხოვნათა პრაქტიკული დაკმაყოფილების შესაძლებლობანიც შეზღუდულია.

პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების დღიდან საზოგადოების თითოეული წევრის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება და მისი ყო-

ველმხრივი განვითარება გადაიქცა კომუნისტური მშენებლობის მთავარ მიზნად, მაგრამ მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ამ მიზნის განხორციელების თვისებრიობა განპირობებულია ისტორიულად ჩამოყალიბებული კონკრეტული პირობებით. კომუნისტური საზოგადოების ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა პრაქტიკული განხორციელების სრული შესაძლებლობა წამოიჭრა მხოლოდ განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე, როდესაც სახალხო მეურნეობა საერთოდ ისეა განვითარებული, რომ ფაქტიურად მისი ცალკეული დარგების წინსვლითი მოძრაობა ყოველმხრივია და მრავალფეროვანი. რა თქმა უნდა, ამ პირობებში კი შეუძლებელია ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა აბსოლუტური მატერიალიზაცია. ასევე შეუძლებელია ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა აბსოლუტური განხორციელებაც. ეს უკანასკნელი პირდაპირ და უშუალოდ დაკავშირებულია იმ ეკონომიკურ პოტენციალთან, რომელიც გააჩნია ჩვენს საზოგადოებას, და იმ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებთან, რასაც განიცდის იგი დღეს კონკრეტულად მოცემულ ისტორიულ პერიოდში.

ამრიგად, კომუნისტური საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა აბსოლუტური და შედარებითი განხორციელების ხასიათი დაკავშირებულია სოციალური გარდაქმნებისა და ეკონომიკური პოტენციალის საზღვრებთან, რომლის ჩარჩოშიცაა მოქცეული სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მისი შემდგომი განვითარების სოციალისტური ფორმები და მეთოდები.

ნათელია, სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში ეკონომიკური კანონების მოთხოვნების აბსოლუტური და შედარებითი განხორციელების საზღვრები განპირობებულია საზოგადოებრივი წარმოების მიზანდასახულობით, მაგრამ მას არ შეუძლია მთავარ ამოცანად დაისახოს ისეთი მიზანი, რომლის შესრულებაც საკუთარი საწარმოო ძალების განვითარების დონიდან გამომდინარე ფაქტიურად შეუძლებელია. მაგ., პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ საზოგადოებრივი წარმოების

მთავარი ამოცანა იყო სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. ამ პერიოდში სოციალური გარდაქმნების აბსოლუტური და შეფარდებითი საზღვრები ექვემდებარებოდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის ობიექტურ აუცილებლობას, რომლითაც განისაზღვრებოდა ეკონომიკური კანონების მოქმედების მექანიზმის შემეცნება და მისი გარდამავალ პერიოდში გეგმაზომიერი გამოყენება. შემდგომში კი, როდესაც სოციალისტურმა წყობილებამ გაიმარჯვა სრულად, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმების მთავარი ამოცანა ძირეულად შეიცვალა და დღესათვის, როგორც უკვე ითქვა, იგი საზოგადოებრივი წარმოების უშუალო მიზანს გაუთანაბრდა. ეს არის კომუნისტური საზოგადოების განვითარების ობიექტური აუცილებლობა. რამდენადაც საზოგადოების ეტაპობრივი განვითარების შესაბამისად ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა დაკმაყოფილებისათვის საჭიროა შესაფერისი ეკონომიკური პოტენციალი, იმდენად ამ უკანასკნელის შექმნისათვის ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები.

ვუპირისპირებთ რა ერთმანეთს ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა დაკმაყოფილების აუცილებლობასა და შესაძლებლობებს, პრაქტიკულად ვუპირისპირებთ მათ როგორც ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენებს. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა აბსოლუტური და შეფარდებითი განხორციელების საზღვრებიც ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენებია, რომელთაგან პირველი უსასრულობაში გადადის, მეორე კი გვევლინება როგორც მისი ტენდენციური ასახვის საშუალება, რადგან ამ მოთხოვნათა, როგორც ობიექტური აუცილებლობის, სრული განხორციელება შეფარდებითია. ამ ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენებში ვლინდება მათი ერთიანობა, ვინაიდან აბსოლუტური განხორციელება არის შეფარდებითი, ხოლო შეფარდებითი კი, პირიქით, – აბსოლუტური. ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა აბსოლუტური საზღვარი შეფარდებითია იმდენად, რამდენადაც მისი განხორციელების დონე კონკრეტულად მოცემულ პერიოდში განპირობე-

ბულია იმ ეკონომიკური პოტენციალით, რომელსაც თვით საზოგადოება განაგებს, და, პირიქით, შეფარდებითი საზღვარი აბსოლუტურია იმდენად, რამდენადაც მოთხოვნათა დაკმაყოფილება /კონკრეტულად არსებული ეკონომიკური პოტენციალიდან გამომდინარე/ აბსოლუტურად შეუძლებელია ისტორიულად მოცემული პერიოდისათვის.

აქედან გამომდინარე, ჩვენ სწორად მიგვაჩნია ი. სტალინის მიერ სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის არსებითი ნიშნების და მოთხოვნების ჩამოყალიბება, რადგან იგი ასახავს არა მარტო სოციალიზმის, არამედ სრული კომუნისტური საზოგადოების არსებით ნიშნებსა და მოთხოვნებს.

ახასიათებდა რა ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა აბსოლუტურ და შეფარდებითი განხორციელების საზღვრებს კაპიტალისტურ ურთიერთობათა სისტემაში, კ. მარქსი წერდა: "კაპიტალისტური წარმოების ზღუდე არ წარმოადგენს საერთოდ წარმოების ზღუდეს და მით უმეტეს არ წარმოადგენს წარმოების არც სპეციფიკური, კაპიტალისტური წესის ზღუდეს. მაგრამ ამ კაპიტალისტური წარმოების წესის წინააღმდეგობა მდგომარეობს სწორედ მის ტენდენციაში მწარმოებლურ ძალთა აბსოლუტური განვითარებისადმი, რომელიც მუდამ კონფლიქტში მოდის წარმოების იმ სპეციფიკურ პირობებთან, რომლებშიც კაპიტალი მოძრაობს და რომელშიაც მარტოოდენ შეიძლება იგი მოძრაობდეს"[1].

მართალია, კ. მარქსი აქ ლაპარაკობს კაპიტალისტურ ურთიერთობათა სისტემაში საზოგადოებრივი წარმოებისა და საერთოდ წარმოების საზღვრებზე /ზღუდეებზე/ და მიუთითებს საწარმოო ძალებსა და ისტორიულად ჩამოყალიბებულ სპეციფიკურ პირობებს შორის ანტაგონისტურ წინააღმდეგობებზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს მეთოდოლოგიური მითითება შეიძლება სახელმძღვანელო ძალით სოციალიზმის დროსაც, ვინაიდან ჩვენ შიც არსებობს საზოგადოებრივი /სოციალისტური/ წარმოების ზღუდე და

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, გვ. 327.

საერთო წარმოების ზღუდე, რომელთა შორის წინააღმდეგობა ვლინდება როგორც საწარმოო ძალთა განვითარების დონესა და წარმოების სპეციფიკურ პირობებს შორის წინააღმდეგობა /ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ეს წინააღმდეგობა არ არის ანტაგონისტური ხასიათის მატარებელი/.

თუ კაპიტალისტურ საზოგადოებაში წარმოების გაფართოებისა და შეზღუდვისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა წარმოების შეფარდებას საზოგადოებრივ მოთხოვნილებებთან, საზოგადოებრივად განვითარებულ ადამიანთა მოთხოვნილებებთან, არამედ გადაუხდელი შრომის მითვისებასა და მის შეფარდებას გასაგნობრივებულ შრომასთან საერთოდ[1], სოციალისტურ საზოგადოებაში კი, პირიქით, წარმოების განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წარმოების შეფარდებას საერთოდ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებთან, საზოგადოებრივად განვითარებულ ადამიანთა მოთხოვნილებებთან.

საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონე არის სოციალისტური წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმი. ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა სისტემაში საზოგადოებრივი მოთხოვნილებები, საზოგადოებრივად განვითარებულ ადამიანთა მოთხოვნილებები აბსოლუტური ზღვარია, რომელსაც საზოგადოებრივი ზღვარი ექვემდებარება. როგორც კ. მარქსი ლაპარაკობდა, კაპიტალისტური წარმოება საზღვარს აღწევს წარმოების ისეთ დონეზე გაფართოებისას, რომელიც, პირიქით, სხვა წანამძღვართა პირობებშიც კი არასაკმარისი იქნებოდა[2]. ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ სოციალისტურმა წარმოებამ მიზანს უნდა მიაღწიოს წარმოების ისეთ დონემდე გაფართოებით, რომელიც დღემდე არსებული წანამძღვრების პირობებში შეუძლებელია მიღწეულ იქნეს. ე. ი. საზოგადოების თითოეული წევრის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება და მისი როგორც პიროვნების თავისუფალი ყოვლისმხრივი განვითარება მატერიალური წარმოების დღევანდელი დონიდან გამომდინარე შეფარდებითია.

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, გვ. 328.

[2] იქვე.

თუ კარგად ჩავუკვირდებით განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებს, შეიძლება შევამჩნიოთ, რომ ისინი მატერიალური წარმოების მიზნის სრული მიღწევის შესაძლებლობათა საზოგადოებრივი წანამძღვრებია.

მართალია, სოციალისტურ საზოგადოებაში საწარმოო ძალები ვითარდება გეგმაზომიერად, რის გამოც წარმოებითი ურთიერთობები მისი განვითარების დონისა და ხასიათის შესაბამისია, მაგრამ ამ შესაბამისობაში შეიმჩნევა ერთგვარი წინააღმდეგობა, ვინაიდან საწარმოო ძალების განვითარების დღევანდელი გზა ჯერ კიდევ თავისუფალი არ არის მთელი რიგი დაბრკოლებებისაგან, რომლებიც არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის მატარებელია. კერძოდ, ეს წინააღმდეგობა გამოიხატება საზოგადოებრივ მოთხოვნილებებსა და საზოგადოებრივ წარმოებას შორის წინააღმდეგობით.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალიზმი თავისი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათით ამ წინააღმდეგობათა გადაჭრის საზოგადოებრივი ბერკეტია, მის ურთიერთობათა სისტემაში ამ წინააღმდეგობის სრული ლიკვიდაცია ყოვლად შეუძლებელია. ჩვენი აზრით, მუდამ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებსა და საზოგადოებრივ წარმოებას შორის წინააღმდეგობა არის საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების განვითარების მასტიმულირებელი ძალა და მათ შორის წინააღმდეგობის გადაჭრის ღეფარებითი ბერკეტი.

როგორც ცნობილია, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში სოციალისტური წყობილება პირველია, რომელიც ადამიანს ათავისუფლებს ანტაგონისტური ფორმებისა და ძალდატანების მეთოდების ზემოქმედებისაგან. ადამიანი, მშრომელი, თავისუფლდება რა ექსპლოატაციისაგან, საზოგადოებრივ წარმოებას განაგებს როგორც მისი ბატონ-პატრონი, რის გამოც იგი თავისი თავის ყოველმხრივი განვითარების ობიექტური ფაქტორების გარემოცვაში ექცევა. არსებული სოციალურ-ეკონომიკური

და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობების ზემოქმედებით ადამიანის, საზოგადოების თითოეული წევრის, ინდივიდუუმის ცნობიერებაში ხდება გარკვეული გარდაქმნები, რომლებიც გამოწვეულია საერთო სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნებით. ამ პირობების ზეგავლენით ადამიანში აზრობრივი მოვლენების ცვლა და განვითარება ფაქტიურად უსაზღვროა, და, როგორც წესი, საზოგადოების განვითარების შესახებ ცოდნის დაგროვება მისი, როგორც პიროვნების, სოციალურ-კულტურული განვითარების კრიტერიუმიცაა.

საზოგადოების შიგნით, როგორიც არ უნდა იყოს მისი სოციალურ-კულტურული განვითარების დონე, ადამიანების ცნობიერება განპირობებულია ეკონომიკური ყოფიერებით. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანს არ შეუძლია იაზროვნოს იმაზე, რაც ჯერ არ არსებობს, ან რაც ჯერ არ არის შექმნილი. მართალია, ადამიანმა რომ იაზროვნოს, პირველ რიგში მან უნდა დაიკმაყოფილოს მატერიალური მოთხოვნილებები, მაგრამ აზროვნება, როგორც წესი, სცილდება მოთხოვნილებების ფარგლებს და ამ სახით იგი განსაზღვრავს ადამიანის მოძრაობის მიმართულებას, მის მიზანდასახულობას.

მეტად მნიშვნელოვანია შემეცნების საზღვრები საზოგადოებრივი წარმოების თვალსაზრისით, რომელიც საზოგადოებრივად განვითარებულ ადამიანთა მოთხოვნილებებს განაპირობებს. ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია გამოვყოთ შემეცნების აბსოლუტური და შეფარდებითი საზღვრები. რა თქმა უნდა, პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს საზოგადოებრივი მოთხოვნილებების შემეცნებითი გზით აღმოცენება და ჩამოყალიბება და მისი საზოგადოებრივი წარმოებისადმი დამორჩილება.

საზოგადოებრივი მოთხოვნილება როგორც ეკონომიკური კატეგორია არსებობდა და მოქმედებდა ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების დროს. მაგრამ ამ ურთიერთობათა სისტემაში იგი წარმოებაზე იმდენად ახდენდა ზემოქმედებას, რამდენადაც აუცილებელი იყო საზოგადოების

თითოეული წევრის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება. ამიტომ, აქ, საზოგადოებრივმა მოთხოვნილებამ თავისი განვითარება ვერ ჰპოვა. მონათმფლობელურ საზოგადოებაში და ფეოდალიზმში საზოგადოებრივი წარმოება რამდენად იყო განპირობებული საზოგადოებრივი მოთხოვნილებით, რამდენადაც მიწებზე და ყმა გლეხებზე არსებობდა ურთიერთობების ისეთი ფორმა, როგორიცაა არაეკონომიკური იძულება. აქ საზოგადოებრივი მოთხოვნილება მოქცეულია ნატურალური მეურნეობის ჩარჩოებში, მაგრამ პირველყოფილი თემური წყობილებისაგან იგი რამდენად განსხვავდება, რამდენადაც მონათმფლობელურ საზოგადოებაში და ფეოდალიზმში გაბატონებულია მითვისების კერძო ფორმა, რომლის საგანიც არა მარტო შრომის პროდუქტებია, არამედ თვით მწარმოებლებიც, რის გამოც შესაბამისად მიწები და ყმა გლეხები, როგორც პიროვნებანი, გამოთიშულია საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა სისტემიდან.

საზოგადოებრივი მოთხოვნილება წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში უშუალოდ ჩართულია მხოლოდ ბურჟუაზიული საზოგადოების პირობებში, სადაც მწარმოებელსა და მომთვისებელს შორის მოქმედებს ეკონომიკური ურთიერთკავშირი საქონელთა ყიდვა-გაყიდვის გზით. მაგრამ ამ პირობებშიც, როგორც კ. მარქსი ლაპარაკობდა, წარმოება დაკავშირებულია არა საზოგადოებრივ მოთხოვნილებებთან, არამედ გადაუხდელი შრომის მითვისებასთან, ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი მოთხოვნილება ბურჟუაზიულ წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში უშუალოდ ერთვება, კაპიტალისტური წარმოების სინამდვილეში იგი ვლინდება როგორც გადაუხდელი შრომის მითვისება.

მხოლოდ სოციალისტურ ურთიერთობათა სისტემაში საზოგადოებრივი მოთხოვნილება ვლინდება თავისი თავდაპირველი წარმოშობის სახით და ამიტომ წარმოება აქ დაპირისპირებულია არა რომელიმე სხვა ფაქტორთან, როგორც ეს შეიმჩნეოდა სოციალისტამდელი წარმოების წესებში, არამედ თვით საზოგადოებრივ მოთხოვნილებებთან, "საზოგადოებრივად

განვითარებულ ადამიანთა მოთხოვნილებებთან". ამიტომ ადამიანთა ცნობიერებაში სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების შედეგად წარმოება აღიქმება როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, რომელიც მიწოდებულია დააკმაყოფილოს ადამიანთა შესაბამისი მოთხოვნილებანი. ცხადია, რომ საზოგადოებრივი წარმოების აღქმა ემორჩილება განსაკუთრებულ ჩარჩოებს /საზღვრებს/, ისევე, როგორც საზოგადოების განვითარებაში, ცნობიერების განვითარების კანონების მოთხოვნებიც მოქცეულია აბსოლუტური და შეფარდებითი საზღვრების ჩარჩოებში.

როგორც აღვნიშნე, ცნობიერების განვითარება უსაზღვროა, ამიტომ მისი მოთხოვნილებებიც უსაზღვროა. საზოგადოებრივ წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში მნიშვნელოვანია არა ცნობიერების განვითარების კანონების მოთხოვნილებათა აბსოლუტური და შეფარდებითი ზღუდეების ჩარჩოების განსაზღვრა, არამედ ამ მოთხოვნილებებსა და საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს შორის ურთიერთკავშირი, ვინაიდან ეს უკანასკნელი არის მატერიალური წარმოების შემდგომი განვითარების "იდეალური ძალა".

ამ თვალსაზრისით ცნობიერების განვითარება საზოგადოებრივი მასშტაბით საზოგადოებრივი მოთხოვნილებების მოძრაობასთან ერთად მიმდინარეობს. როგორც ცნობიერება, ისე საზოგადოებრივი მოთხოვნილება აბსოლუტური მნიშვნელობის საზღვრებია. მაგრამ არა მარტო ამაშია მათ შორის საერთო. ცნობიერებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების განვითარებას საფუძვლად უდევს მატერიალური ყოფიერება, საზოგადოებრივი წარმოება. გარდა ამისა, ცნობიერებასა და საზოგადოებრივ მოთხოვნილებას შორის თანაფარდობა განაპირობებს საზოგადოების თითოეული წევრის საზოგადოებრივად განვითარებულ ადამიანად ჩამოყალიბებას, რომელშიც ორგანულად იქნება შერწყმული პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები, რომელსაც საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი განვითარების მიზნით პიროვნების მოქმედება დაკავშირებულია არა საკუთარ მოთხოვ-

ნილებათა დაკმაყოფილების აუცილებლობასთან, არამედ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან და ამიტომ მისი პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან. რა თქმა უნდა, საზოგადოების თითოეული წევრის ამ მიმართულებით განვითარება არ არის თვითდინებადი პროცესი. იგი თვით საზოგადოებრივ-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობებიდან გამომდინარე აუცილებლობაა.

ამჟამად, ყველა ფაქტორი არსებობს იმისათვის, რომ განისაზღვროს ადამიანის, მშრომელის, მოქალაქის ცნობიერების, აზროვნების ძირითადი მიმართულება და ამის საფუძველზე თვით მშრომელის საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისადმი დამოკიდებულება. დღეისათვის მისი საზოგადოებრივი ყოფიერების განმსაზღვრელი ფაქტორია, როგორც ვ.ი.ლენინი აღნიშნავდა, "საზოგადოებრივი მოვლენაა, ე.ი. სოციალური ფაქტი"[1]. ამიტომ, რეალური პიროვნების რეალური "ზრახვებისა და გრძნობების" ამსახველი მაჩვენებელია მისი მოქმედება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, ამ უკანასკნელში მისი მონაწილეობის შედეგი, რაც ნათლად იქნა ასახული განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კონსტიტუციაში და რომელსაც ფართო გაქანება მიეცა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე.

ჩვენი საზოგადოების თითოეული წევრის შემოქმედებაში ყოველი მათგანის ორიგინალობა უნდა შეფასდეს არა მარტო მათი სამეურნეო მაჩვენებლებით, არამედ მათი პოლიტიკური, მორალური, სოციალური, სულიერი და სხვა სახის მაჩვენებლებითაც, რომელთა ერთობლიობაც თითოეული მათგანის, როგორც კომუნისტური საზოგადოების მშენებლის, ნათელ სურათს იძლევა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მაჩვენებლების ცალკ-ცალკე გაანალიზება, რაც განაზოგადებს მშრომელი მასების როლს ისტორიის შექმნაში, გაარკვევს ამ უკანასკნელის მოძრაობის მიმართულებას, უჩვენებს საზოგადოების განვითარების კანონზომიერ ხასიათს და დასახავს შემდგომში მისი წინსვლის სათანადო ღონისძიებებს.

ეჭვი არ არის, რომ რამდენადაც პროგრესულია და განვითარებული სოციალისტური ურთიერთობა, იმდენად ძლიერია მშრომელი მასების აქტიური შემოქმედებითი მოძრაობა, იმდენად ძლიერია მათი მონოლითურობა და დარაზმულობა და, მაშასადამე, იმდენად მაღალია საზოგადოებრივად განვითარებული ადამიანის შემეცნების დონე. სწორედ ამ მიმართებითაა გამახვილებული ყურადღება სკკპ XXVI ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში, სადაც ცალკე პუნქტადაა გამოყოფილი საკითხი ადამიანის ყოველმხრივი თავისუფალი განვითარების შესახებ.

აკრიტიკებდა რა ბურჟუაზიულ წარმოდგენას მშრომელი მასების შესახებ საზოგადოებრივი პროცესების გარდაქმნაში, ვ.ი. ლენინი წერდა: „მნიშვნელობა აქვს იმის ნათელყოფას, რა უზომო სიცრუეს წარმოადგენს ჩვეულებრივი ბურჟუაზიული წარმოდგენა, თითქოს სოციალიზმი რაღაც მკვდარი, გაყინული, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული რამ იყოს, მაშინ როდესაც ნამდვილად მხოლოდ სოციალიზმიდან დაიწყება სწრაფი, ნამდვილი, ნამდვილად მასობრივი, მოსახლეობის უმრავლესობის და შემდეგ მთელი მოსახლეობის მონაწილეობით წარმოებული მოძრაობა წინ საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა დარგში"[1].

ვ.ი. ლენინის ეს წინასწარმეტყველება ჩვენი ცხოვრების სინამდვილის ამსახველი სარკეა. დღეისათვის ათეული და ასეული მილიონობით მშრომელი აქტიურად მონაწილეობს არა მარტო საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, არამედ საზოგადოებრივი წარმოების მართვაშიც, რაც განაპირობებს ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას საკუთარი მოთხოვნილებებით. ამ სახით იგი წარმოდგება როგორც საზოგადოებრივად განვითარებული პიროვნება საზოგადოებრივად აუცილებელი მოთხოვნილებებით. სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ /ძირითადმა კანონმა/ ერთხელ კიდევ ცხადყო საბჭოთა ადამიანის, მშრომელისა და მოქალაქის ის უფლებამოსილებანი, რაც განაპირობებს მის სოციალურ მდგომარეობას საზოგადო-

---

[1] ვ.ი. ლენინი, თხზ., ტ.25, გვ.113.

ებაში. როგორც ზემოთ ითქვა, ეს არის უპირველეს ყოვლისა საკუთარი შრომის შედეგი, რომელიც უფრო დახვეწილი, შინაარსიანი და შეგნებული ხდება.

ამრიგად, როგორც ეკონომიკური კანონების მოქმედება ვლინდება ადამიანთა სამეურნეო საქმიანობაში, ისე მათი მოთხოვნილების განხორციელება ვლინდება მათ სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკურ საქმიანობაში. თუ, მაგ., სამეურნეო საქმიანობით ადამიანები იკმაყოფილებენ თავიანთ ეკონომიკურ მოთხოვნილებებს, სოციალურ-პოლიტიკურ საქმიანობაში ისინი იკმაყოფილებენ სოციალურ-კულტურულ და სულიერ მოთხოვნილებებს. საზოგადოებრივად განვითარებული ადამიანისათვის კი უკანასკნელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება არის არა მარტო მისი ფუნქციონირების ბერკეტი, არამედ მისი შეგნებული მიზნების უშუალო ღერძი, რომელიც აიძულებს მას იგივე მიმართულებით წარმართოს მატერიალური წარმოება.

როგორც პირველი, ისე მეორე სახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ამოსავალი პუნქტია მატერიალური წარმოება, რომლის გარეშე, როგორც ცნობილია, ადამიანებს არ შეუძლიათ იზრუნონ თავიანთი სოციალურ-კულტურული და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. მატერიალური დოვლათის წარმოება ადამიანის, საზოგადოების შრომისუნარიანი წევრის შემოქმედებითი აქტივობის ის საფეხურია, სადანაც იწყება მისი და მასთან ერთად საზოგადოების ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული გარდაქმნები. სწორედ აქ ვლინდება ინდივიდის, პიროვნების, მშრომელის, მოქალაქის შეცნობილი აუცილებლობა.

ურთიერთობათა სისტემაში წარმოება საერთოდ ძირითადია, ხოლო მოთხოვნილება კი – წარმოებული, რომლის კვლავწარმოებაც საზოგადოებისათვის შესაძლებელია მხოლოდ მატერიალური დოვლათის წარმოებით. ამიტომ, ვღებულობთ რა საზოგადოებრივად აუცილებელ მოთხოვნილებას მატერიალური წარმოების იდეალურ ძალად, მხედველობაში გვაქვს ის, რომ მისი დაკმაყოფილება საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების დღევან-

დელი დონით შესაძლებელია. ამაშია სწორედ საზოგადოებრივი განვითარების ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა აბსოლუტური და შეფარდებითი განხორციელების საზღვრების თანაფარდობის ობიექტური აუცილებლობა და მისი გამოვლინება.

საზოგადოებრივი განვითარების ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა შემეცნება, მართალია, მათი განხორციელების პირველი საფეხურია, მაგრამ ამ უკანასკნელის რეალიზება საზოგადოებრივი მასშტაბით შედარებით უფრო რთული პროცესია. ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა რეალიზება სოციალისტურ საზოგადოებაში ვლინდება სრულიად სხვადასხვა ფორმებში. კერძოდ, ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მათი პრაქტიკული განხორციელება ექვემდებარება ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა რეალიზების დონეს. მაგ., საბჭოთა კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედის მთავარი ამოცანის შესრულებას დაექვემდებარა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, შრომის დანახარჯების თანდათანობითი შემცირება, მეურნეობის განვითარების დინამიურობა და პროპორციულობა და ა. შ.

საზოგადოებრივი განვითარების ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა საფუძველზე კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, შეიმუშავებს და გაანალიზებს რა მათი ფუნქციონირების კანონზომიერებებს, შეიცნობს საზოგადოების განვითარების მიმართულებას, როგორც მისი კონკრეტული მხარეებით, ისე მისი განვითარების საერთო კანონზომიერებებით. მართალია, სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობის პრაქტიკაში ისეთი კონკრეტული გზები წამოიჭრება, რომლებიც მანამდე უცნობია, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, მარქსიზმ-ლენინიზმი თეორიასა და პრაქტიკას შორის ასეთ ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენებს ითვალისწინებს და წარმატებითაც წყვეტს მას. "ჩვენ არ ვაცხადებთ პრეტენზიას, -წერდა

ვ.ი. ლენინი,-რომ მარქსმა ან მარქსისტებმა იციან სოციალიზმისაკენ წამყვანი გზა მთელი მისი კონკრეტულობით. ეს უაზრობაა. ჩვენ ვიცით ამ გზის მიმართულება, ჩვენ ვიცით, თუ რა კლასობრივ ძალებს მივყავართ ამ გზით, ხოლო კონკრეტულად, პრაქტიკულად, ამას გვიჩვენებს მხოლოდ მილიონების გამოცდილება, როდესაც ისინი ხელს მოჰკიდებენ საქმეს"[1].

თანამედროვე პერიოდში ეკონომიკურ ლიტერატურაში თითქმის გაქრა ტერმინები: "კანონის მოთხოვნა", "კანონის მიერ მიზნის დასახვა" და ა.შ. კერძოდ, ეკონომიკური კანონების ნიშნებისა და მოთხოვნების შესახებ ლაპარაკია ი. სტალინის შრომაში "სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში" /1952/, რომლის კრიტიკაც 50-60-იანი წლების მიჯნაზე მკაცრად გაიჟღერა. სამწუხაროდ, ასეთი მცდარი მიმართულება საკითხების გაანალიზებაში დღესაც არ არის დაძლეული, რის გამოც ეკონომისტთა გარკვეული ნაწილი აცხადებს, რომ ტერმინი "მოთხოვნა" ეკონომიკური კანონების მიმართ უკიდურესად უადგილოა და ამიტომ მათ მიზანშეუწონლად მიაჩნიათ. ეს,-ხაზს უსვამენ ისინი,-ქმნის ადამიანებზე ეკონომიკური კანონების უსაზღვრო ბატონობის შთაბეჭდილებას[2].

მართალია, სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში აღრიცხვება ისეთი ფაქტორია, რომლის გარეშეც საერთოდ წარმოების პროცესი არ არსებობს, მაგრამ იმასაც უნდა გავუსვას ხაზი, რომ ჩვენს საზოგადოებაში ერის წარმმართველი ძალა მატერიალური წარმოების სფეროში უდიდესი შესაძლებლობების მწვერვალზე არის, ვინაიდან იგი, შეიცნობს რა ეკონომიკური კანონების მოქმედებას, შეგნებულად იყენებს მას. მაგრამ რაში გამოიხატება თვით ეკონომიკური კანონების მოქმედება? ეკონომისტების უმრავლესობა ამას ხსნის მხოლოდ მოქმედების ხასიათით, ე.ი. მათი არსებობისა და მოქმედების ობიექტურობით.

როგორც ზემოთ ითქვა, ამ ფაქტის ფიქსირება მეცნიერული და პრაქტი-

---

[1] ვ.ი. ლენინი, თხზ., ტ.25, გვ. 340.

[2] Политическая экономия социализма. Л., Изд-во Ленингр. ун-та, 1970; Л.В.Задорова и Г.Е.Лапкина. Социализм и товарное производство, М., 1972 и др.

ლი თვალსაზრისით საკმარისი არ არის, აუცილებელია მათი შინაგანი ნიშნებისა და მოთხოვნების გაანალიზება და ამის საფუძველზე სამეურნეო საქმიანობის წარმართვა. სწორედ იმიტომ, რომ ეკონომიკური კანონები მოქმედების ხასიათით ობიექტურია, ე.ი. ისინი მოქმედებენ ადამიანების ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად, ეს ვლინდება არა თავისთავადობაში, არამედ თვით ეკონომიკური კანონების მიზანსწრაფვაში საერთო ნიშნებისა და მოთხოვნების სახით.

ეკონომიკური კანონები ერთიმეორისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ ისინი ასახავენ საზოგადოებრივი წარმოების ცალკეულ ნიშან-თვისებებს არა სტატიკაში, არამედ დინამიკურობაში, რომელიც უნდა შეცნოს საზოგადოებამ და უნდა გაითვალისწინოს იგი როგორც საკუთარი მოძრაობის ობიექტური აუცილებლობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური კანონი საკუთარი მოქმედებით, გამოვლინების ნიშან-თვისებებით ობიექტური აუცილებლობის წინაშე აყენებს საზოგადოებას და აიძულებს მას იმოქმედოს მხოლოდ ამ მიმართებით. სოციალისტური საზოგადოება, შეიცნობს რა ამ აუცილებლობას, გეგმაზომიერად წარმართავს მილიონიანი მშრომელი მასების საქმიანობას.

ჩვენი აზრით, სწორედ ამაში უნდა ვხედავდეთ ეკონომიკური კანონების მოთხოვნებს და მათ შესაბამისად სამეურნეო საქმიანობის მიზანდასახულობას. მაგ., ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნა იმაში გამოიხატება, რომ უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე საზოგადოებრივი წარმოების სრულყოფის გზით მაქსიმალურად დააკმაყოფილოს საზოგადოების თითეული წევრის მოთხოვნილება. ეს ობიექტური აუცილებლობა საზოგადოების წინაშე აყენებს ამოცანებს-მოთხოვნებს - გააუმჯობესოს და გააღრმაოს მატერიალური წარმოების ტექნიკური საფუძველი /თანამედროვე პირობებში იგი ვლინდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასა და მის მიღწევათა დანერგვაში/, აამაღლოს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება და ეფექტიანად გამოიყენოს საწარმოო რესურსები, გააუმჯობესოს საზოგადოებრივი წარმოების როგორც ცალკეული რგოლების, ისე ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის მართვის მექანიზმი, სრულყოს თითოეული

საწარმოს /გაერთიანების/ სამეურნეო საქმიანობა, რათა უზრუნველყოს მშრომელი ხალხის მზარდი მოთხოვნილებების მაქსიმალური /შეფარდებითობაში/ დაკმაყოფილება.

ყოველივე ამის შემდეგ ეჭვს არ იწვევს ეკონომიკურ ლიტერატურაში მკვლევართა ერთი ნაწილის აზრის შეუსაბამობა, რომელიც უარყოფს საზოგადოების განვითარებისა და ფუნქციონირების კანონების მოთხოვნათა შესაბამისად სახალხო მეურნეობის დაგეგმვას. მაგ., ა. კოლესოვის აზრით, ის დებულება, რომლის მიხედვითაც დაგეგმარება უნდა ემყარებოდეს ეკონომიკური კანონების მოთხოვნებს, მცდარია. ამას იგი იმით ასკვნის, რომ ეკონომიკის მეცნიერული მართვის მთავარი ამოცანაა ადამიანთა სუბიექტური მოქმედების კანონების მოთხოვნებისადმი შესაბამისობის მიღწევა. ვინაიდან, როგორც მას ესმის, გეგმის შემდგენლებს არ გააჩნიათ კანონების მზა რეცეპტები და "მოთხოვნები", რომლებიც მიღებულ გადაწყვეტილებათა სწორი განსაზღვრისათვის გამოდგებოდა როგორც ეტალონი[1].

რა თქმა უნდა, ის აზრი კი არ არის მცდარი, რომელიც დაგეგმარებისას საზოგადოების განვითარების კანონების მოთხოვნებს უნდა ითვალისწინებდეს, არამედ ის აზრია მცდარი, რომელიც უგულებელყოფს ამ მოთხოვნათა შესწავლას და მის ნიადაგზე სახალხო მეურნეობის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული გეგმების შემუშავებას.

ვ. ი. ლენინის გამოთქმით, სახალხო მეურნეობის ამ მიმართებით დაგეგმარება არის მეცნიერული სოციალიზმისა და საერთოდ საზოგადოებრივი მეცნიერებების ძირითადი მოთხოვნილება[2]. ამიტომ ეკონომიკურ მეცნიერებაში საზოგადოების განვითარების კანონების მოთხოვნათა უგულებელყოფა /როგორი ფორმითაც არ უნდა იყოს იგი/ ყოვლად შეუწყნარებელია. ჩვენი საზოგადოების შემდგომი განვითარება ემყარებოდა და ემყარება მისი კანონების მოთხოვნათა შესაბამისად შეგნებულ წინსვლას. სწორედ ამან განაპირობა გეგმების მეცნიერული და-

---

[1] იხ.: ა. კოლესოვის დასახელებული ლიტერატურა, გვ. 91.

[2] В.И.Ленин. ПСС, т.32, с.82.

საბუთებს და რაც მთავარია ჩვენი პრაქტიკული რეალობა. სწორედ ამაშია ჩვენი სოციალისტური წყობილების სიძლიერე, ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან შედარებით მისი უდიდესი უპირატესობა.

ეკონომიკური პოლიტიკა, ისე როგორც პოლიტიკა საერთოდ, მეცნიერება და ხელოვნებაა[1]. მეცნიერებაა იმ გაგებით, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმები ეკონომიკური დასაბუთების გარეშე არარაობაა, სინამდვილის დამახინჯებაა. ხელოვნებაა იმ გაგებით, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმების პრაქტიკული განხორციელება განსაკუთრებული სპეციფიკური ხელოვნების გარეშე შეუძლებელია. აქ საჭიროა ერთიანი საზოგადოებრივი მწარმოებლის მრავალწლიანი გამოცდილება, სამეურნეო საქმიანობაში მისი ვირტუოზობა, სიმარჯვე, შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, დადებითი ჩვევები, გამომგონებლობა და რაციონალიზატორობა, მოწინავეთა იდეების ურთიერთგაზიარება, წარმოების ორგანიზაცია, შრომის დისციპლინა, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება და ა. შ.

როგორც წესი, სოციალისტურ საზოგადოებაში ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა რეალიზება მიმდინარეობს სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებში, სადაც განსაკუთრებული სახით წარმოდგება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა. კერძოდ, საზოგადოებრივი განვითარების კანონების მოთხოვნათა შუქზე სახალხო სამეურნეო გეგმების შედგენა ნიშანდობლივად მომავლის განჭვრეტაცაა. როგორც ფ. ენგელსი ლაპარაკობდა, ადამიანები ელიან მას, რაც წინასწარ განსაზღვრეს. მაგრამ მომავლის განჭვრეტა სახალხო სამეურნეო გეგმის სახით დოგმატური ხასიათისა არ არის, ვინაიდან საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე პრაქტიკულად შეიძლება წარმოიშვას ისეთი სახის ამოცანები, რომელთა სრული ასახვაც მოცემულ სახალხო სამეურნეო გეგმებში იმ პერიოდისათვის შეუძლებელი

---

[1] В.И.Ленин. ПСС, т.41, с.65.

იყო. ამიტომ პარტიის XXVI ყრილობამ მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების დაკონკრეტების შესახებ შესაბამისი წლების მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები საზოგადოების განვითარებაში სახავდნენ მომავლის განჭვრეტას შემოქმედებით მიმდინარეობაში. მომავლის კონკრეტიზება და მზა გადაწყვეტილებათა გამოცხადება, როგორც დოგმა, მათ ერთხელ და სამუდამოდ უარყვეს. კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ მომავლის განჭვრეტა მზა გადაწყვეტილებების სახით უდიდესი შეცდომაა და მისი კონკრეტიზება ჩვენი საქმე არ არის[1].

მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებაში მომავლის კონტურების განსაზღვრას, ე.ი. მომავლის თეორიულ განჭვრეტას, საფუძვლად უდევს აბსოლუტური დადგენება. ამიტომ ამ მოძღვრებაში მომავლის მეცნიერული პროგნოზირება არ სცილდება საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს, პირველ რიგში ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნებს, რომელშიც ასახულია ამ უკანასკნელთა რეალიზების აბსოლუტური და შეფარდებითი საზღვრები /შესაძლებლობები/, მეურნეობის რაოდენობრივი და სტრუქტურული ცვლილებები, საზოგადოებრივი გარდაქმნების რადიკალური გზები და საშუალებანი. როგორც ცნობილია, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებამ ამას მიაღწია საზოგადოებრივი ცხოვრების ღრმამეცნიერული ანალიზის ნიადაგზე. ეს მეთოდოლოგიური მიმართულება გამოიყენება დღესაც ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა შრომებში, გამოსვლებსა და მუშაობის სტილში, რომელმაც გარკვეული ასახვა პოვა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებებში.

კერძოდ, მომავლის განჭვრეტის თვალსაზრისით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ზემოთ აღნიშნულ დადგენილებებში შეიმუშავეს ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის გა-

---

I К.Маркс и Ф.Энгельс. Соч.; т. I, с. 379.

ჯობესებისა და საერთო საზოგადოებრივი წარმოების პროცესებზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ. რა თქმა უნდა, ამ მიზნით მომავლის განჭვრეტას საფუძვლად უდევს ჩვენი საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონების არა მარტო შემეცნება, არამედ სწორედ ამის ნიადაგზე განვითარების იმ მიმართულებათა დასაბუთებაც, რომლებიც ემსახურება სოციალისტური საზოგადოებრივი წარმოების მიზანდასახულობის პრაქტიკული განხორციელების სრულყოფას. ამიტომ აღნიშნული დადგენილების მიხედვით გათვალისწინებულია როგორც სახალხო მეურნეობის დაგეგმარების ნორმატიული ხასიათის გაუმჯობესება, ისე სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განვითარება და პრაქტიკაში ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების გამოყენების სრულყოფა.

ამ დადგენილებაში მომავლის მეცნიერული განჭვრეტა განაპირობებს საზოგადოებრივი წარმოების მართვისა და დაგეგმვის პროცესების სრულყოფას ეფექტიანობის ამაღლებისა და სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში შრომის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ამასთან ერთად, აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებულია საწარმოო რესურსების კონცენტრაციის გაძლიერება დასახული საერთოსახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის, ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემის სრულყოფით საწარმოო კოლექტივების მატერიალური დაინტერესება, რათა მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და შრომის ხარისხის გაუმჯობესებაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასა და მის ნიადაგზე შრომის ნაყოფიერების ზრდაში, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასა და საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის რაციონალურად /ეკონომიურად/ გამოყენებაში.

მატერიალური წარმოების მეცნიერულ საფუძვლებზე დაგეგმვა და მისი მართვა, სამეურნეო მექანიზმის გაუმჯობესება, სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განვითარება და განმტკიცება, პრაქტიკაში ეკონომიკური ბერკეტებისა და სტიმულების გაძლიერება მიმართულია საზოგადოებრივი

წარმოების საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების უზრუნველყოფისათვის, რომელზეც განსაკუთრებულად გაამახვილა ყურადღება პარტიის XXV და XXVI ყრილობებმა. ხელმძღვანელობს რა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მეცნიერულად ჭვრეტს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მომავალს, რომლის მიახლოებასაც იგი უკავშირებს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროსა და მხარეს.

მომავლის განჭვრეტის უტყუარი დადასტურებაა პარტიის XXVI ყრილობის მიერ მიღებული დადგენილება "სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებანი 1981–1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდში", რომელშიც ასახულია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების არა მარტო უახლოესი ხუთწლედის, არამედ მომავალი /მეთორმეტე/ ხუთწლედის მანძილზეც. კერძოდ, XI ხუთწლედის ძირითად მიმართულებებში დასახულია ის ამოცანები, რომელთა პრაქტიკულმა გადაწყვეტამაც უნდა განაპირობოს მშრომელ მასების კეთილდღეობის უცილობელი ამაღლება და პიროვნების ყოველმხრივი თავისუფალი განვითარებისათვის საუკეთესო პირობების შექმნა, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, საბჭოთა ხალხის სოციალური და შრომითი აქტივობის ზრდის საფუძველზე.

მომავლის განჭვრეტის უტყუარი დადასტურებაა აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის /1982/ პლენუმის გადაწყვეტილება "სსრ კავშირის 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამისა და მისი რეალიზაციის ღონისძიებათა შესახებ". აღნიშნულ პლენუმზე განსაკუთრებულად გაესვა ხაზი იმ გარემოებას, რომ "დასახულ ღონისძიებათა მიზანია რაც შეიძლება მოკლე ვადაში საიმედოდ უზრუნველყოს ქვეყნის მოსახლეობა სურსათ-სანოვაგით. ეს არის არა მარტო უპირველესი ეკონომიკური, არამედ აგრეთვე აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური

ამოცანად. საბჭოთა ადამიანების საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება – და ამას სრულიად გარკვეულად აღნიშნავს, – ჩვენი პარტიის უმნიშვნელოვანესი საპროგრამო მოთხოვნილება იყო და არის. სწორედ ამიტომ არის, ამხანაგებო, რომ ახლანდელ პლენუმს განსაკუთრებული აზრი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება"[1].

სახავს რა მომავლის გრანდიოზულ გეგმებს, კომუნისტური პარტია სრულ რწმენას გამოთქვამს, რომ პარტიული, სამეურნეო, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ყველა ღონეს იხმარენ, რათა პრაქტიკულად განახორციელონ მეთერთმეტე ხუთწლედისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებები და ამით შესაბამისი საფუძველი ჩაუყარონ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეს. ე. ი. მიმდინარე ხუთწლედების შესრულება და პერსპექტიული დაგეგმარება არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი მომავლის მეცნიერული დასაბუთებისა, რომელიც საჭიროა "არა მხოლოდ იმ აზრით, რომ ახსნას წარსული, არამედ იმ აზრითაც, რომ უშიშრად განჭვრიტოს მომავალი მისი განხორციელებისაკენ მიმართული გაბედული პრაქტიკული მოღვაწეობისათვის"[2].

---

1 "კომუნისტი", 1982, 25 მაისი.

2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 70-71.

5. სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერებისა და მეურნეობის მართვის ამოცანები

როგორც უკვე ითქვა, კაცობრიობის განვითარების ისტორიაში სოციალიზმი /კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზა/ არის პირველი საზოგადოებრივი წყობილება, სადაც ერთხელ და სამუდამოდ მოისპო ანტაგონისტური წინააღმდეგობები და სწორედ ამის გამო საზოგადოების თითოეულ წევრს შორის დამყარდა და განმტკიცდა თანაბარუფლებიანობა. წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დაფუძნებამ ძირი გამოუთხარა თვით შრომისა და მისი შედეგების ურთიერთგამიჯვნას, მატერიალური წარმოების ფაქტორთა ურთიერთდაპირისპირებასა და ყოველივე იმას, რაც დამახასიათებელია საერთოდ ანტაგონისტური წინააღმდეგობით სავსე საზოგადოებრივი წყობილებისათვის. ჩვენს ქვეყანაში და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებში შრომის ნაყოფიერება, რომელიც მანამდე გაბატონებული კლასის პარაზიტული ცხოვრების წყარო იყო, სახალხო მეურნეობის მუდმივი განვითარების საყრდენ პუნქტად გადაიქცა და მოგვევლინა როგორც სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი.

ცხადია, რომ ასეთ პირობებში სამეურნეო მექანიზმი თვისებრივად განსხვავდება მანამდე არსებული მექანიზმებისაგან. დარწმუნებული იყო რა ბურჟუაზიული საზოგადოების რევოლუციურ გარდაქმნაში, ფ. ენგელსი წერდა: "ადამიანთა საკუთარი საზოგადოებრივი მოქმედების კანონები, რომლებიც მათ დღემდე უპირისპირდება როგორც უცხო, მის მიმართ გაბატონებული ბუნების კანონები, ამიერიდან საქმის სრული ცოდნით გამოყენებული და დამორჩილებული იქნება ადამიანების მიერ. ადამიანთა საკუთარი საზოგადოებრივი ყოფა, რომელიც მათ დღემდე უპირისპირდებოდა როგორც ბუნებისა და ისტორიის მიერ ზევიდან თავს მოხვეული რამ, ახლა მათი საკუთარი, თავისუფალი საქმე ხდება. ობიექტური, უცხო ძალები, რომ-

ლები დღემდე ისტორიაზე ბატონობდნენ, თვით ადამიანის კონტროლს დაექვემდებარებიან. მხოლოდ, ამიერიდან შექმნიან თვით ადამიანები თავიანთ ისტორიას სრული შეგნებით, მხოლოდ ამიერიდან მოჰყვება მათ მიერ ამოძრავებულ საზოგადოებრივ მიზნებს უმთავრესად და თანდათან გაზრდილი ზომით მათ მიერ სასურველი შედეგები"[1].

მართალია, სოციალისტურ საზოგადოებაში ეკონომიკური კანონების მოქმედება ჯერ კიდევ სრულად არაა ადამიანის კონტროლს დაქვემდებარებული, მაგრამ მათი სრული ცოდნით გამოყენების შესაძლებლობა უკვე დიდი ხანია შექმნილია და ასახულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაში, მის ძირითად და გამსჭვალავ ნაწილში – სამეურნეო მექანიზმში, რომლის მთავარი ამამოძრავებელი ღერძიც იმაშია, რომ ჩვენი საზოგადოების შიგნით მშრომელთა შორის აღმოცენდა და ფართოვდება ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ინტერესთა ერთიანობა, დამყარდა და განმტკიცდა ახალი ტიპის ურთიერთობა, რომლის დამახასიათებელი ნიშნებიცაა მეგობრობა, თანამშრომლობა, ურთიერთდახმარება, გამოცდილების გაზიარება, ერთიანობა, ამხანაგობა, ძმობა და ა. შ. მაზე დამყარებითაც ფართო საფუძველი ჩაეყარა შრომის ორგანიზაციის ისეთ სახეს, როგორიცაა სოციალისტური შეჯიბრება. დღეისათვის ათეული მილიონობით მშრომელი ადამიანი იბრძვის კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო სახელის მოსაპოვებლად, ყოველი მესამე კოლექტივი კი – კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელის მოსაპოვებლად. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ სოციალისტური შეჯიბრება გადაიქცა კომუნისტური შრომის შინაგან მაორგანიზებელ ძალად, მის სულიერ ღერძად.

წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების ზემოქმედებით განსაკუთრებული ცვლილებები მოხდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების სფეროშიც. შრომა, რომელიც მანამდე ითვლებოდა დაბეჩავებული კლასის აუცილებელ საქმიანობად და რომელიც სრულდებოდა იძულებით, ძალდატანებითა და მასთან ერთად არაადამიანური სისასტიკის პირობებ-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, თბ., 1953, გვ. 337–338.

ში, ჩვენში, სოციალისტურ საზოგადოებაში, იგი გადაიქცა საყოველთაო და თავისუფალ შემოქმედებით საქმიანობად, რის საფუძველზე შრომა სხვასთვის შეიცვალა შრომით თავისი თავისათვის და საზოგადოებისათვის. შრომის საყოველთაობამ გამოავლინა მისდამი დამოკიდებულების სრულიად ახალი ფორმები, ვინაიდან სოციალისტურ საზოგადოებაში, როგორც თავის დროზე აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი, შრომა გადაიქცა ღირსების, დიდებისა და გმირობის საქმედ. იგი ზრდის და აწრთობს კომუნისტური პარტიის საქმისადმი თავდადებულ ადამიანებს. ჩვენში შრომის ფორმა არის სოციალისტური ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების განმტკიცებისა და მისი შემდგომი განვითარების, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დაცვისა და ეროვნული სიმდიდრის გამრავლების საბრძოლო ფორმა. პარტიის XXVI ყრილობაზე აღინიშნა, რომ საბჭოთა საზოგადოება არის შრომის ადამიანთა საზოგადოება[1].

- ჰქონდათ რა მხედველობაში წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დაფუძნების შედეგად შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ხასიათის საფუძვლიანი გარდაქმნა, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები მიუთითებდნენ, რომ, თუ შრომის დანაწილების კაპიტალისტური ფორმა "ქმნის ყაზარმულ დისციპლინას, რომელიც სრულყოფილ ფაბრიკულ სისტემად ყალიბდება და სავსებით ავითარებს ... საზედამხედველო შრომას"[2]: სოციალისტური ფორმა კი უზრუნველყოფს "საზოგადოების ყველა წევრის ყოველმხრივ განვითარებას"[3].

სწორედ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ასეთმა სისტემამ წარმოშვა მატერიალური წარმოების ორგანიზაციის სრულიად ახალი ფორმა და თვით შრომისადმი ახალი დამოკიდებულება. როგორც სკკპ XXVI ყრილობაზე ითქვა, "სოციალიზმი შრომისადმი ახალ დამოკიდებულებას შობს. მისი ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინება იყო და კვლავაც რჩება სო-

---

[1] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, გვ. 88.

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 537.

[3] К.Маркс и Ф.Энгельс. Соч., т. 4, с.376.

ციალისტური მეურნეობა. არ არსებობს არც ერთი ქარხანა, კოლმეურნეობა თუ დაწესებულება, რომლისათვისაც მას თავისი ცხოველმყოფელი სული არ ჩაებეროს . .. ამ მეურნეობაში იჭედება საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნების, შრომაში გმირობისა და თავდადების ნიშნები"[1].

სოციალისტური წარმოების თანამედროვე პირობებში შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განვითარება და გაღრმავება იწვევს თვით შრომის განსაზოგადოებასა და ქვეყნის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ობიექტურ აუცილებლობას, რის საფუძველზე აღმოცენდნენ და შემდგომ განვითარება ჰპოვეს საწარმოო და სამეურნეობათაშორისი გაერთიანებებმა, სადაც თავს იყრის როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბით ყველა რაიონში ჩამოყალიბდა და განვითარების ფართო სარბიელი მიეცა სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებს, რომლის თეორიული საფუძველიც არის სამეურნეო ანგარიშიან გაერთიანებათა ჩამოყალიბება აბაშისა და მახარაძის რაიონების გამოცდილებათა გაზიარება-გავრცელების ნიადაგზე. პრაქტიკამ დაამტკიცა ამ რაიონებში სამეურნეო გაერთიანებათა უპირატესობა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ეფექტიანობის ამაღლებაში, სასურსათო პროგრამის დარგებითად გადაწყვეტაში, მატერიალური სტიმულებისა და ბერკეტების "მუშაობაში". როგორც საქ. სსრ საიუბილეო დღეებში ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, მთელი საბჭოთა კავშირი ინტერესით ადევნებდა თვალს ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე სამეურნეო ექსპერიმენტებს, რაც საფუძვლად დაედო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის /1982/ პლენუმის გადაწყვეტილებებს სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში.

სახავდა რა 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამასა და მისი რეალიზაციის ღონისძიებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აღნიშნულ პლენუმზე ითქვა, რომ ქვეყნის მასშტაბით აგროსამრეწველო გაერთიანებების ჩამოყალიბებისას "განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რაიონულ რგოლს. აქ ყალიბდება მართვის ნამდვილად სრულუფლებიანი და დემოკრა-

---

[1] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, გვ. 88.

ტიული ორგანო, რომელსაც შეუძლია მთელი ძალით იმოქმედოს წარმოებაზე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ინტერესების შესაბამისად. რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, საქართველოს, ლატვიის, ესტონეთის მთელ რიგ რაიონებში აგროსამრეწველო გაერთიანებების მიერ შეძენილი გამოცდილება მოწმობს, რომ ეს სწორი, პერსპექტიული ღონისძიებაა"[1].

რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი წარმოების ისეთ პირობებში, სადაც ადამიანთა სამეურნეო საქმიანობა ნებაყოფლობითია, საყოველთაო და შეგნებულად გამიზნული, ეკონომიკის განვითარების სოციალისტური ფორმები თანდათანობით გადაიზრდება კომუნისტურ ფორმებში. ცხადია, რომ ასეთ ვითარებაში წარმოებითი ურთიერთობები, რომლებიც აღმოცენდა და ვითარდება ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან თავისუფალ ადამიანთა შორის მატერიალური დოვლათის წარმოება-განაწილებისა და მოხმარების პროცესში ვლინდება შესაბამისად ახალ ეკონომიკურ კატეგორიებსა და მოვლენებში, რომელთა მოძრაობაც წარიმართება სრულიად ახალი ეკონომიკური კანონებით /განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის წარმოებით ურთიერთობათა თეორიული დამუშავება, რომლებიც ფორმირდება აგროსამრეწველო სამეურნეო გაერთიანებების ჩამოყალიბება-განვითარების ნიადაგზე/. ხოლო თუ საწარმოო ძალების განვითარების ჯერ კიდევ შედარებით დაბალი დონის გამო სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში გვხვდება ძველი კატეგორიები, მოვლენები და კანონები, როგორც ზემოთ ითქვა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ისეთივე შინაარსის მქონე ფორმებია, როგორითაც მოქმედებდნენ კაპიტალისტური საქონელწარმოების პირობებში.

მაგ., საქონელი, საქონელწარმოება, ღირებულების კანონი და ა. შ. შესაბამისად მოქმედებენ და ფუნქციონირებენ როგორც სოციალისტური შინაარსით სავსე ეკონომიკური კატეგორია, მოვლენა და კანონი, ვინაიდან მათი მოქმედების მექანიზმი მოქცეულია წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრებისა და სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების ჩარჩოებში. ამასთან ერთად სოციალიზმის

---

[1] "კომუნისტი", 1982, 25 მაისი.

ლის აღმოცენდნენ და მოქმედებენ სრულიად ახალი ეკონომიკური კატეგორიები, მოვლენები და კანონები. მაგ., გეგმაზომიერება, სოციალისტური შეჯიბრება, შრომის მიხედვით განაწილების კანონი და ა.შ., რომლებიც ერთობლიობაში ასახავენ სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობების ბუნებას და წარმართავენ მათ მოძრაობას.

როგორც ცნობილია, ეკონომიკური კანონების შემეცნებისა და გამოყენების შედეგად საზოგადოებრივ პროცესსა და მათ შორის მატერიალურ წარმოებასაც კომუნისტური პარტია წარმართავს წინასწარ განზრახული, მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდებითა და გზებით. ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა შესაბამისად იგი შეიმუშავებს ერთიან სამეურნეო მექანიზმს, მშრომელი მასების ერთიან სამოქმედო პროგრამას. სამეურნეო მექანიზმის შემუშავებასა და განხორციელებაში პარტია ყოველთვის ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის ეკონომიკური მოძღვრებით, რაზე დაყრდნობითაც იგი ეკონომიკურ კანონებს ან მოვლენებს უბრალოდ კი არ აღიქვამს, არამედ ღრმამეცნიერული ანალიზის საფუძველზე შეისწავლის მათი მოძრაობის ხასიათსა და მექანიზმს, გამოიმუშავებს შესაბამის პოლიტიკურ ხაზს და მას ასახავს სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიულ გეგმებში, რომელთა პრაქტიკული განხორციელებისათვისაც შეიმუშავებს სამეურნეო, პოლიტიკურ-ორგანიზაციულ, ტექნიკურ და კულტურულ-მასობრივ ღონისძიებათა ერთიან სისტემას სამეურნეო მექანიზმის სახით და ხელს უწყობს მისი მარეგულირებელი ზემოქმედების გაძლიერებას საზოგადოებრივი წარმოების პროცესების დაჩქარების მიზნით.

იმისათვის, რომ სასურსათო პროგრამის განხორციელების პრაქტიკული გზა სწორად წარიმართოს, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის გაუმჯობესების, ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფისა და კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა ეკონომიკის გამტკიცების ღონისძიებათა შესახებ, რაც ფაქტიურად განაპირობებს

სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერებას როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე სამრეწველო წარმოებაზე.

როგორც ზემოთ ითქვა, სამეურნეო მექანიზმის დასაბუთების ძირითადი ფაქტორებია საზოგადოებრივი განვითარების ეკონომიკური კანონების შემეცნებისა და გამოყენების შესაძლებლობათა კომპლექსურობა, რომელიც ავლენს წარმოების ურთიერთობათა შიგნით არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ხასიათს და მათი მოქმედების მექანიზმს. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისეთი დამატებითი ფაქტორების გამოყოფა, როგორიცაა: ეკონომიკური კანონზომიერებებისა და ურთიერთობათა სისტემის დიფერენცირებული ანალიზი, რაზე დაყრდნობითაც მიმდინარეობს მოქმედი ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა დაჯგუფება და მათ შორის მთავარი რგოლის გამოყოფა; ეკონომიკური კანონების მოქმედების ასახვა დინამიკურობაში, რომელიც წარმოგვიდგენს კანონზომიერებათა კავშირებსა და ურთიერთობებს მუდმივ მოძრაობასა და უწყვეტ ცვლილებაში, რის ნიადაგზეც მიმდინარეობს უახლოესი და პერსპექტიული მიზნების დაჯგუფება და მის მიხედვით სამეურნეო საქმიანობის წარმართვა; საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების დონიდან გამომდინარე ობიექტური პირობებისა და სუბიექტური შესაძლებლობების აღქმა, რაც განაპირობებს სახალხო მეურნეობის პერსპექტიულ გეგმებში ძირითადი და მთავარი ამოცანების წამოყენებას და მათი განხორციელებისათვის სამეურნეო საქმიანობის გაშლა-გაფართოებას.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ სამეურნეო მექანიზმი დაფუძნებულია დიალექტიკური ლოგიკის პრინციპებზე და ამიტომ იგი არის სოციალური სინამდვილის შემეცნებისა და გარდაქმნის მნიშვნელოვანი მეთოდი. საზოგადოებრივი განვითარების კანონების მოქმედება, როგორც უკვე ითქვა, ვლინდება საზოგადოებრივ მოვლენათა შორის წინააღმდეგობების მოძრაობაში. ამიტომ სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერება ნიშნავს ამ წინააღმდეგობათა გადალახვის უტყუარი გზების

გამონახვა-გამოყენებას, რაც ხელს უწყობს საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მხარის ძირეულ გარდაქმნას.

როგორც უკვე ითქვა, კომუნისტური მშენებლობის დაჩქარებისა და სოციალისტური საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1979 წლის 12 ივლისსა და 1982 წლის 24 მაისს მიიღეს ცნობილი დადგენილებები, რომლებიც ითვალისწინებენ ერთიანი კომპლექსური დანიშნულების მქონე ეკონომიკურ მაჩვენებელთა შემობრუნებას რაოდენობრივიდან ხარისხობრივი თვისებრიობისაკენ. სწორედ ამ დადგენილებების ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელების მიზნით ამჟამად სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო დარგებში მიმდინარეობს სამეურნეო ანგარიშიან გაერთიანებათა ფორმირება და მუშაობის ბრიგადულ სისტემაზე გადასვლა და მასთან ერთად მართვის აპარატის მნიშვნელოვანი გამარტივება.

როგორც წესი, სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერება განაპირობებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველმხრივ გარდაქმნას, რომელშიც მთავარ ამოცანად დასახულია მშრომელი მასების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება. ამ ამოცანის განხორციელებას პარტიამ და მთავრობამ დაუპირისპირეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, საწარმოო რესურსების ყოველმხრივი დაზოგვა და საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯების თანდათანობითი შემცირება, სახალხო მეურნეობის ინტენსიურ გზებზე გადაყვანა და შრომის პირობების გაუმჯობესება. ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაში მეათე ხუთწლედი შევიდა როგორც ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედი. პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე ეს ამოცანა ძირითადად უნდა გადაწყდეს 1981-1965 წლებში, მეთორმეტე ხუთწლედში კი იგი საბოლო-

ოდ უნდა გადაიჭრას.

რა თქმა უნდა, საკითხის ასეთი დაყენება იმის მომასწავებელი არ არის, რომ სამეურნეო მექანიზმის დასაბუთებისას ხუთწლიანი ან საერთოდ პერსპექტიული გეგმები არ საჭიროებდეს კორექტირებას. როგორც უკვე ითქვა, იგი /სამეურნეო მექანიზმი/ ითვალისწინებს საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების დონისადმი შესაბამის ობიექტურ და სუბიექტურ შესაძლებლობებს, რაზე დაყრდნობითაც შეიმუშავება ოპტიმალური ვარიანტები, რომლებიც უნდა სრულად ასახავენ საზოგადოებრივი წარმოების დღევანდელ შესაძლებლობებს ეკონომიკური პოტენციალის სახით და უნდა სრულად პასუხობენ ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნებს. იმასთან დაკავშირებით, რომ სამეურნეო მექანიზმი დროისა და სივრცის მიხედვით შეფარდებითია, რაც აუცილებელყოფს მის თანმიმდევრულ სრულყოფასა და გაუმჯობესებას, სახალხო მეურნეობის გეგმების კორექტირებაც შეფარდებითია, ამიტომ საზოგადოება ცდილობს ყოველი ღონისძიებით სრულყოს დაგეგმარების პროცესი, რათა თვით გეგმების კორექტირება არ იყოს მისთვის მტკივნეული.〉

მაგ., ათეული წლების მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში ადგილი ჰქონდა სახალხო-სამეურნეო დავალებების კორექტირებას მხოლოდ შემცირების გზით, რამაც გარკვეული უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა რესპუბლიკის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. კერძოდ, შემცირდა მისი ხვედრითი წილი საერთო საკავშირო სახალხო-სამეურნეო კომპლექსში. ეს მანკიერი მოვლენა დამახასიათებელი იყო არა მარტო საქ. სსრ საწარმოებისათვ - /გაერთიანებებისათვის/, არამედ სსრ კავშირის მასშტაბითაც, ამიტომ პარტიის XXVI ყრილობამ მკაცრად იმსჯელა ამ საკითხების დადებითად მოგვარების თაობაზე და გადაწყვიტა - აიკრძალოს სახალხო-სამეურნეო დავალებების კორექტირება მხოლოდ შემცირების მიზნით.

როგორც წესი, სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერება განაპირობებს სახალხო მეურნეობის დაგეგმარების პრინციპების მუ-

მივ სრულყოფას, რაც შედეგია საზოგადოებრივი განვითარების ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სხვა მხარეების ურთიერთობათა ღრმამეცნიერული ანალიზისა. კერძოდ, საზოგადოებრივი წარმოების პროცესების ყოველდღიური სრულყოფა წარმოდგება როგორც თვით საზოგადოებრივი პროცესების მეცნიერულ საფუძველზე მართვა. დღეისათვის განსაკუთრებული აღიარება ჰპოვა შემხვედრმა /დაძაბულმა/ გეგმებმა, რაშიც ვლინდება საგეგმო ორგანოებისა და თვით საწარმოთა /გაერთიანებათა/ თავისუფალი მანევრირება გეგმაში საწარმოო შესაძლებლობათა /რეზერვებითურთ/ სრული ასახვის მიზნით, რის ნიადაგზეც შეიმუშავება მეცნიერულად გაანალიზებული და პრაქტიკულად დასაბუთებული ერთიანი სამოქმედო პროგრამა არა მარტო ერთი ან ხუთი წლის ვადით, არამედ გრძელვადიან პერსპექტივაშიც, რომლის კორექტირებაც უნდა მიმდინარეობდეს შემხვედრი /დაძაბული/ გეგმების მიღებისა და უცილობელი შესრულების მიზნით. პარტიამ სწორედ ამ მიზანს დაუქვემდებარა მეთერთმეტე ხუთწლედის დანაწევრება ცალკეულ შემადგენელ ნაწილებად ყოველი მომდევნო წლის მიხედვით.

საზოგადოებრივი პროცესების მართვა მატერიალური წარმოების ორგანული თვისებაა. კაპიტალისტურ წარმოებასთან შედარებით სოციალისტურ ურთიერთობათა სისტემაში მეურნეობის მართვის პრობლემები გაადვილებულია არა მარტო იმით, რომ ამ უკანასკნელში ადამიანთა საქმიანობა თავისი შინაგანი ბუნებით ნებაყოფლობითია, არამედ იმითაც, რომ ჩვენში არსებობს ყველა პირობა მშრომელი მასების ეკონომიკური ცოდნით შეიარაღებისა, რომელთაც შეგნებული აქვთ მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში პირადი მონაწილეობის აუცილებლობა. ეს პირობები წარმოშვა და ჩამოაყალიბა სოციალისტურმა რევოლუციამ, რომლის განვითარებასთან ერთად ისინი მუდამ იკვლავწარმოება და სრულყოფილი ხდება.

საზოგადოებრივი წარმოების მართვის სტრუქტურა, რომელიც აგებუ-

ლია დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპებზე და რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის ეკონომიკური მოძღვრება, ძირითადად იმ მოთხოვნებს პასუხობს, რომლებსაც მას უყენებს საზოგადოებრივი წარმოების განვითარების თანამედროვე ეტაპი. პარტიის XXIV, XXV და XXVI ყრილობებზე აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის /1964/ პლენუმის შემდეგ პარტიისა და მთავრობის მიერ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ღონისძიებების გატარების შედეგად საზოგადოებრივი პროცესების მართვაში ჩამოყალიბდა სრულიად ახალი ეტაპი, რომელმაც სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი ძვრები მოახდინა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის /1965/ პლენუმების ღონისძიებათა გატარების შედეგად, როდესაც ერთხელ და სამუდამოდ დაგმობილ იქნა სახალხო მეურნეობის მართვაში სუბიექტივიზმის, ვოლუნტარიზმისა და სოციალიზმისათვის უცხო მოვლენების ელემენტები. ამან განაპირობა საზოგადოებრივი წარმოების პროცესების მართვაში ათეული და ასეული მილიონიანი მშრომელი მასების მოზღვავება, პასუხისმგებლობის ამაღლება, ორგანიზებულობა და შრომითი დისციპლინის განმტკიცება. სწორედ ამ ფაქტორთა ნიადაგზე ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში უკანასკნელი 15 წლის მანძილზე გარკვეული წარმატებები იქნა მიღწეული.)

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის /1982/ პლენუმზე აღინიშნა, რომ "სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის /1965/ პლენუმის შემდეგ გავლილი წლების მანძილზე თვისებრივად განახლდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შრომის ენერგოშეიარაღება გაიზარდა ერთისამად და მეტად, სარწყავი და დაშრობილი მიწების ფონდი გადიდდა 1,7-ჯერ, ერთისამად გადიდდა მინერალური სასუქების მიწოდება, ამოქმედდა სპეციალიზებული მეცხოველეობის კომპლექსები და დიდი მეფრინველეობის ფაბრიკები, სადაც დანერგილია წარმოების სამრეწველო ტექნოლოგია. ვითარდება მაღალეფექტიანი სამეურნეობათაშორისო და აგროსამრეწველო სა-

წარმო-გაერთიანებები. ყოველივე ამის მეოხებით თითქმის ერთიორად გადიდდა შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში"[1].

საზოგადოებრივი პროცესების მართვის სოციალისტური ფორმა შედარებით მტკიცეა და ამიტომ მისი ცვლილებაც დაკავშირებულია მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სხვა მხარეთა გარდაქმნებთან. ამ მიმართებით კომუნისტური პარტია მტკიცედ ხელმძღვანელობს ვ.ი. ლენინის მითითებით: იმისათვის, რომ ვიაროთ წინ, იმისათვის რომ გავიმარჯვოთ, უნდა დავიწყოთ არა თავიდან, გადავაადგილოთ არა მარცხნივ და მარჯვნივ, არამედ შევძლოთ უფრო მეტი საფეხურით გამოვიყენოთ უკვე შექმნილი. რაც შეიძლება ნაკლები გადაადგილება, რაც შეიძლება მეტი საქმიანი, პრაქტიკულად განწრთობილი, უკვე მიღწეული შედეგებით შემოწმებული ღონისძიებები, ფორმები, საშუალებები, მითითებები ჩვენი მთავარი მიზნის მიღწევისათვის[2].

ცხადია, რომ პრაქტიკულ საქმიანობაში რამდენადაც ხშირია ყოველგვარი დასაბუთების გარეშე "მარცხნივ და მარჯვნივ გადაადგილებანი", იმდენად ნაკლებია მართვის ეფექტიანობა და იმდენად დაბალია მისი შედეგი. აქ რომ გავიმარჯვოთ, -მიუთითებდა ვ.ი.ლენინი, -საჭიროა დიდი მოთმინება, დიდი სიმტკიცე, დიდი ბეჯითობა, შრომაში დიდი სისტემატურობა; დიდი ორგანიზატორული და ადმინისტრაციული ხელოვნება დიდი მასშტაბით[3].

ლაპარაკობდა რა სამეურნეო და სოციალური პროცესების მართვაზე კერძო ფორმებში, პარტიის XXVI ყრილობაზე ლ.ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვყავს ისეთი სამეურნეო ხელმძღვანელები, რომლებსაც ასეთი საკითხები რაღაც მეორე ხარისხოვნად, დამხმარედ მიაჩნიათ. ეს ძირეულად მცდარი, მავნე პოზიციაა. და ცენტრალური კომიტე-

---

[1] "კომუნისტი", 1982, 25 მაისი.
[2] В.И.Ленин. ПСС, т. 40, с. I42-I43.
[3] იქვე, გვ. 143.

ტის პოლიტიკის არაერთხელ მკაცრად მიუთითებს ასეთი ხელმძღვანელებისათვის, თვით მინისტრებისათვისაც"[1].

მაშასადამე, საზოგადოებრივი პროცესების მართვას სასურველი შედეგი რომ გამოიღოს, ამისათვის მეცნიერულად გაანალიზებულ და დასაბუთებულ უნდა იყოს არა მარტო მართვის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურა, არამედ მისი განხორციელების ფორმები და მეთოდებიც. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია მართვის მეცნიერულად დასაბუთებული სტრუქტურა განხორციელდეს დაუსაბუთებელი ფორმებითა და მეთოდებით. ასეთ ვითარებაში, როგორც წესი, მისი შედეგი ნაკლებად დამაკმაყოფილებელია. მაგ., ბოლო წლების განმავლობაში ჩვენს რესპუბლიკაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა მეცნიერულად დასაბუთებული ფორმებისა და მეთოდების გამოყენებას, რამაც რესპუბლიკის ეკონომიკა საფრთხის წინაშე დააყენა. ამან კი ხელი შეუწყო მანკიერი მოვლენების გაშლა-გაფართოებას, კერძო, კერძომესაკუთრულ მიდრეკილებას, მუქთახორობას, მექრთამეობას, სოციალისტური ქონების დატაცებას, სპეკულაციასა და სხვ.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის სწორმა სამეურნეო პოლიტიკამ განაპირობა შრომის დისციპლინის განმტკიცება და მის ნიადაგზე ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით რესპუბლიკის წინა პლანზე წამოწევა ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, რაც აისახა მეათე ხუთწლედის წარმატებით შესრულებაში და საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით ზედიზედ მეცხრედ დაჯილდოებაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები ჩვენს რესპუბლიკაში უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე საშუალოდ ქვეყნის მასშტაბით. მაგ., სსრ კავშირის მასშტაბით ეროვნული შემოსავლისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი 1980 წლის მონაცემებით შესაბამისად შეადგენდა 162,7 და

---

[1] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, გვ. 78.

146,6 პროცენტს 1970 წელთან შედარებით, ჩვენს რესპუბლიკაში კი–შესაბამისად 187,5 და 172,6. თუ მეცხრე ხუთწლედის პირველი ორი წლის შედეგებით ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და წარმოებული ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპის მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საქართველოს მე–15 ადგილი ეკავა, მეცხრე ხუთწლედის დამლევისათვის მან შესაბამისად მე–12 და მე–11 ადგილებზე გადაინაცვლა, ხოლო მეათე ხუთწლედის ბოლოსათვის კი – შესაბამისად მე–9 და მე–3 ადგილები დაიკავა. თუ 1975 წელს უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილის მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საქართველოს მე–11 ადგილი ეკავა, 1981 წელს მან მე–4 ადგილზე გადაინაცვლა.

უკანასკნელმა ათწლეულმა მტკიცე საფუძველი შეუქმნა ჩვენს რესპუბლიკაში საწარმოო ძალების შემდგომ დაჩქარებულ ზრდას, მისი საერთო–ეკონომიკური და ინდუსტრიული პოტენციალის გადიდებას, ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებას.

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, საზოგადოებრივი პროცესების მართვა შედეგიანია, თუ მისი მეთოდები გამსჭვალულია იმ ობიექტური აუცილებლობით, რაც დამახასიათებელია სოციალისტური მეურნეობისათვის. კერძოდ, საზოგადოებრივი წარმოების მართვის სისტემა, რომლის ამოსავალი პუნქტიც წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრებაა, დაფუძნებულია შემდეგ ეკონომიკურ მოვლენებზე, კატეგორიებსა და კანონებზე: საზოგადოებრივი კვლავწარმოების ყოველი მომენტი ექვემდებარება და წარიმართება სახალხო მეურნეობის, როგორც ერთიანი მთლიანი კომპლექსის, გეგმაზომიერი განვითარებით; იგი სრულად იყენებს და ეფექტიანად წარმართავს სასაქონლო–ფულად ურთიერთობებს და მათგან გამომდინარე ეკონომიკურ მაჩვენებლებს არა საწარმოთა /გაერთიანებათა/ გათიშვის, არამედ მათი სამეურნეო საქმიანობის სოციალისტური გასაზოგადოების პროცესების დაჩქარების მიზნით /ჩვენი აზრით, მხოლოდ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს სასაქონლო–ფულადი ურთიერთობების სოციალისტურ შინაარსს/, მასთან ერთად სა-

ზოგადოება იყენებს ისეთ მოვლენებს, როგორიცაა ვაჭრობა, ყიდვა-გაყიდვა, მოთხოვნა-მიწოდება და ა. შ., რათა სოციალისტური უშუალოდ საზოგადოებრივი წარმოების მიზნით ჯერ კიდევ არსებული წინააღმდეგობები გადაიჭრას შედარებით უმტკივნეულოდ; საზოგადოებრივი პროდუქტისა და პირველ რიგში მოხმარების საგნების განაწილება ექვემდებარება თითოეული მშრომელის მიერ დახარჯული შრომის რაოდენობასა და ხარისხს; საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და საწარმოთა /გაერთიანებათა/ რენტაბელობის ზრდის მიზნით ინერგება და გამოიყენება სრული სამეურნეო ანგარიშიანობა, რომლის პრინციპები ასახავს თვით საწარმოთა /გაერთიანებათა/ სოციალურ-ეკონომიკურ ბუნებას /როგორც ზემოთ ითქვა, ამჟამად დიდი მუშაობა მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის მასშტაბით სამეურნეო ანგარიშიან გაერთიანებათა ჩამოყალიბება-ფორმირების მიზნით როგორც მრეწველობაში, ისე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მართვის ერთიანი სისტემის შექმნას დარგობრივი და ტერიტორიული /რეგიონალური/ პრინციპების შეხამებით/; მეურნეობრიობის პრაქტიკულ ფუნქციონირებას საზოგადოება უმორჩილებს ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა სრულ დაკმაყოფილებას. ყოველივე ამან ერთხელ კიდევ ნათელი ასახვა ჰპოვა სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში /ძირითად კანონში/, რომელმაც უფრო გააღრმავა და განავითარა მართვის დემოკრატიული პრინციპები და ფართო გზა გაუხსნა საზოგადოებრივი პროცესების მართვაში მილიონიანი მშრომელი მასების აქტიურ და შემოქმედებით ჩაბმას.

საზოგადოებრივი პროცესების მართვის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა ეკონომიკური და სოციალური პროგნოზირება. რა თქმა უნდა, სახალხო მეურნეობის კომპლექსური განვითარება ეკონომიკური და სოციალური პროგნოზირების გარეშე შეუძლებელია იმიტომ, რომ უკანასკნელი არა მარტო მიმდინარე ან პერსპექტიული გეგმების ამოსავალი პუნქტია, არამედ იმიტომაც, რომ იგი არის სახალხო მეურნეობის მეცნიერულად დასა-

ბუნების მეთოდი. კომუნისტური პარტია მას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, რადგან საზოგადოებრივი პროცესების ეფექტიანი მართვა მეცნიერული პროგნოზირების გარეშე შეუძლებელია.

ეკონომიკური და სოციალური პროგნოზირებით საზოგადოება აქტიურად ზემოქმედებს სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე, რასაც იგი ახდენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით, წარმოების ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესებით, მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების დასაბუთებით და მათი სწორი კორექტირებით და ა. შ. ეკონომიკური და სოციალური პროგნოზირების გზით ირკვევა საზოგადოებრივი პროცესების მართვის სრულყოფის აუცილებლობა, ვინაიდან ამ ნიადაგზე წარმოჩნდება ისეთი ფაქტორები, რომლებიც ობიექტურად უნდა დაემორჩილოს საზოგადოებრივი წარმოების მართვის ერთიან ცენტრალიზებულ სისტემას. მასთან ერთად გამოიყოფა ისეთი ფაქტორებიც, რომლებიც საწარმოო ძალების განვითარების დღევანდელი დონიდან გამომდინარე ადამიანის წინასწარ გაანგარიშებულ საქმიანობას ჯერ კიდევ არ ემორჩილება /ასეთი ფაქტორებია, მაგ., შესაბამისი ბუნებრივ-კლიმატური პირობების შექმნა, ან სტიქიური მოვლენების დროულად თავიდან აცილება და ა. შ./.

ეკონომიკურ პროგნოზირებაში გარკვეულ ასახვას პოულობს მილიონიანი მშრომელი მასების შემოქმედებითი აქტიურობა, მათი ეკონომიკური განათლების დონე და საზოგადოებრივი წარმოების მართვაში მონაწილეობის ხარისხი. როგორც სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილება გვიჩვენებს, თითოეული საბჭოთა მოქალაქე დაინტერესებული უნდა იყოს შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, სოციალისტური შეჯიბრების გაღრმავებაში. იგი მთელი თავის არსებითა და შეგნებით პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს თავისი საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ავკარგიანობისათვის. კერძოდ, მშრომელი მასების აქტივიზირება, სამეურნეო მართვაში მათი ჩაბმა მაშინ არის შედეგიანი /ე. ი. წინასწარ განსაზღვრული ეფექტის მიმცემი/, თუ ყოველივე ეს პროცესი ორგანულადაა შეხამებული

ობიექტურად მოქმედი ეკონომიკური კანონების მოთხოვნებთან.

დღეისათვის კომუნისტურმა პარტიამ საზოგადოებრივი წარმოების მართვის მეცნიერულ დასაბუთებას დაუპირისპირა სწორი, რეალური პოლიტიკა, რომელიც საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერებების, მატერიალური შესაძლებლობების, სოციალურ ძალთა განლაგებისა და საერთაშორისო პირობების ანალიზზეა დაფუძნებული. რა თქმა უნდა, ამ პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებისათვის მარტო კონკრეტული ღონისძიებები არ კმარა. ამისათვის ობიექტურად აუცილებელ პირობას წარმოადგენს პარტიული და სამეურნეო კადრების სათანადო დონით შეიარაღება და მათი პოლიტიკური მომზადება. ეს ბუნებრივად აუცილებელი პირობაა იმიტომ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში დაბალი დონის მქონე პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელი შესაძლებელია გადაიქცეს სამეურნეო საქმიანობის შემდგომ განვითარებაში დამაბრკოლებელ ფაქტორად; პირიქით, მან ყოველმხრივ უნდა აიმაღლოს დონე, უნდა დაეუფლოს მეცნიერებას და საღად უნდა ერკვეოდეს მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებში, ადგილებზე კი – კონკრეტულ საკითხებში. სკკპ XXIV ყრილობამ აღნიშნა, რომ „სამეურნეო ხელმძღვანელის მოვალეობაა – ისწავლოს მართვა ახლებურად მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად ათვისების, მართვის თეორიისა და პრაქტიკის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, დაგეგმვისა და ეკონომიკური მეთოდებისა და თანამედროვე გამომთვლელი ტექნიკის გამოყენების საფუძველზე"[1].

საზოგადოებრივი პროცესების მართვის ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესებას პარტია ხედავს შემდეგ მიმართულებებში: წარმოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა მისი შემდგომი კონცენტრაცია და სპეციალიზაცია /თუ, მაგ., ადრე სახალხო მეურნეობის პირველ სტრუქტურულ რგოლად ითვლებოდა საწარმო, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში ასეთ რგოლად ითვლება საწარმოო გაერთიანება, რაც წარმოების შემდგომი კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის

---

[1] სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1972, გვ. 196.

შედეგია/;სახალხო-სამეურნეო გეგმების მეცნიერული დასაბუთება და შემხვედრი /შედარებით დაძაბული/ გეგმების მიღება და შესრულებაზე კონტროლი;სახალხო მეურნეობის ყველა დარგის გაყვანა მეცნიერებისა და ტექნიკის მოწინავე მიჯნებზე;სამეურნეო პრაქტიკის თეორიასთან მჭიდრო კავშირი,მშრომელი მასების ეკონომიკური ცოდნით შეიარაღება და მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება;ყოველი კონკრეტული მომენტისათვის მეურნეობრიობის მართვის სრულიად ახალი ფორმებისა და მეთოდების შემუშავება-გამოყენება;სახალხო მეურნეობის ყველა დარგისა და განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიურ გზებზე გადაყვანა; სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში,მატერიალური წარმოების ყველა უბანზე ბრძოლა სასურსათო პროგრამის შესრულებისათვის.

პარტიის XXVI ყრილობაზე აღინიშნა,რომ საზოგადოებრივი პროცესების მართვის "ორგანიზაციული სტრუქტურების სრულყოფა მუდმივ წინსვლას მოითხოვს. არ შეიძლება მეურნეობის მართვის ცოცხალი,განვითარებადი ორგანიზმი დავუქვემდებაროთ დამყაყებულ,ჩვეულ ფორმებს. პირიქით,ფორმები უნდა შევუსატყვისოთ ცვალებად სამეურნეო ამოცანებს. მხოლოდ ასე შეიძლება საკითხის დაყენება"[1].

კომუნისტური მშენებლობის ყოველ ეტაპზე წარმატების საწინდარი იმაში გამოიხატება,თუ რამდენად შეესაბამება მილიონიანი მშრომელი მასების მოქმედება საზოგადოების განვითარების კანონების მოთხოვნებს, თუ რამდენადაა შეცნობილი და გამოყენებული ამ უკანასკნელის მოქმედების მექანიზმი. საკ. ალკკ XV ყრილობაზე ლ.ი.ბრეჟნევმა თქვა: შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა,თითქოს ეკონომიკურ კანონებთან საქმე აქვთ მხოლოდ დიდ მეცნიერებსა და ხელმძღვანელებს. ეს კანონები,თუ მათ სწორად გავიგებთ,მოქმედების ლოგიკას უკარნახებენ არა მარტო ადმინისტრატორს,ინჟინერს,მეცნიერს,ტექნიკოსს,არამედ აგრეთვე თითოეულ რიგით - მუშას,კოლმეურნეს[2].

---

[1] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, გვ. 96.

[2] ლ.ი.ბრეჟნევი,ლენინური კურსით,ტ. I,თბ.,1971,გვ.413-414.

აქედან ცხადია, თუ რამდენად ძლიერია პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და სხვა ორგანიზაციებისა და ორგანოების მისწრაფება – ჩასწვდნენ და გამოავლინონ საზოგადოებრივი განვითარების კანონების შინაგანი ბუნება და მის საფუძველზე მნიშვნელოვნად აამაღლონ სოციალისტური წარმოების მართვის დონე და ეფექტიანად წარმართონ მშრომელი მასების სამეურნეო საქმიანობა, დახვეწონ, გააშალაშინონ და გააღრმაონ სამეურნეო მექანიზმი. კერძოდ, სკკპ XXV ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ "ახლა, როცა შევიძინეთ საკმაო გამოცდილება, როცა უკეთ გამოიკვეთა მიმართულებანი, რომლებითაც წინ უნდა ვიაროთ, შეგვიძლია და კიდევაც უნდა დავაჩქაროთ სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა ... იმისათვის, რომ გადავწყვიტოთ იგი, უნდა შევიმუშაოთ და განვახორციელოთ ერთიანი სისტემა ღონისძიებებისა, რომლებიც მეურნეობის ხელმძღვანელობის ძირითად მხარეებს მოიცავენ"[1].

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ მან მნიშვნელოვნად გაართულა მატერიალური წარმოების მართვა. ეს საკითხი სწორად რომ გადაწყდეს, პარტიამ შეიმუშავა მართვის სრულიად ახალი მეთოდები და პრინციპები, რომელთაგან განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა სახალხო მეურნეობის სოციალური დაგეგმვა. კერძოდ, პარტიის XXV და XXVI ყრილობების გადაწყვეტილებათა შუქზე წინა პლანზე წამოიწია გაერთიანების, უწყების, სამინისტროებისა და ქალაქების /ე.ი. დარგობრივ და რეგიონალურ ჭრილში/ ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმარებამ. სწორედ ამ მიმართებით მიმდინარეობს ამჟამად გეგმების შედგენა, რის საფუძველზეც იქმნება ეკონომიკური და სოციალური განვითარების სრული სისტემა, რასაც სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ /ძირითადმა კანონმა/ საკანონმდებლო ძალა შესძინა.

სოციალური დაგეგმარების მახასიათებელი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ითვალისწინებს არა მარტო უახლოესი მომავლის, არამედ პერსპექტივაში ხვალინდელი დღის მოახლოებასაც.

---

[1] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, გვ. 98–99.

როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის სოციალურ განვითარებას შედარებით ფართო გასაქანი მიეცა განვითარებული სოციალიზმის პირობებში, როდესაც მიმდინარე ხუთწლედების ძირითად ამოცანად გამოცხადდა კომუნისტური პარტიის არსებობისა და ფუნქციონირების უშუალო მიზანი – მშრომელი მასების კეთილდღეობის დღენიადაგ გაუმჯობესება. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების XI ხუთწლედი კიდევ ერთ ფურცელს ჩაწერს ამ მიზნის პრაქტიკული განხორციელების ისტორიაში. კერძოდ, ამ ხუთწლედის "ძირითადი მიმართულებებით" გათვალისწინებულია ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე მივაღწიოთ ხალხის კეთილდღეობის შემდგომ ზრდას, ცხოვრების სოციალისტური წესისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემის თვისებრივ განვითარებას. ქვეყნის სოციალური განვითარების წინა პლანზე წამოწევამ უნდა უზრუნველყოს საუკეთესო მატერიალური და კულტურული პირობების შექმნა პიროვნების ყოველმხრივი თავისუფალი განვითარებისათვის.

კერძოდ, პარტიის XXVI ყრილობაზე აღინიშნა, რომ " ... დიდი მუშაობა მოგველის სოციალისტური ცხოვრების წესის სრულყოფისათვის; ყოველივე იმის აღმოფხვრისათვის, რაც ხელს უშლის ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას. ეს ერთ-ერთი განუყოფელი შემადგენელი ნაწილია პარტიის სოციალური პოლიტიკისა, რომლის მიზანია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა და ბედნიერება"[1].

– მართალია, ამ მიზნის მიღწევას უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტი ემსახურება, რომელიც გამოიყენება უმთავრესად ეკონომიკის, მეცნიერების, განათლების, ჯანმრთელობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის, მაგრამ მასთან ერთად იგივე მიზანს ემსახურება ყოველი საწარმოს /გაერთიანების/, დაწესებულებისა და ორგანიზაციის შიგნით შექმნილი მატერიალური წახალისების ფონდები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტში არ აღირიცხება. ყოველივე ეს დადებითად მოქმედებს მილიო-

---

[1] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, გვ.: 98–99.

ნიანი მშრომელი მასების რეალურ შემოსავლებზე, რაც მეათე ხუთწლედში წინა პერიოდთან შედარებით ამაღლდა 18 პროცენტით, და აღაგზნებს მათ ახალ-ახალი წარმატებებისაკენ /მეთერთმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ზრდა 13-16 პროცენტით, კოლმეურნეთა ფულადი ანაზღაურება - 20-22 პროცენტით, მოსახლეობის საზოგადოებრივი ფონდების ზრდა - 20 პროცენტით, რამაც უნდა განაპირობოს მოსახლეობის ერთ სულზე რეალური შემოსავლების ზრდა 16-18 პროცენტით/.

მაშასადამე, საზოგადოებრივი წარმოების მართვის სისტემაში სამეურნეო მექანიზმის ბერკეტების გაძლიერების მიზანდასახულობა იმასაც ემსახურება, რომ სახალხო მეურნეობის თითოეული რგოლი შემოაბრუნოს რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან ხარისხობრივი მაჩვენებლებისაკენ. გაერთიანების /საწარმოს/ სამეურნეო სინთეზურ მაჩვენებლად ნორმატიული წმინდა პროდუქციის აღიარება იმაზე მეტყველებს, რომ ამაღლდა მისი პასუხისმგებლობა როგორც სახელმწიფოს, ისე საკუთარი კოლექტივის წინაშე, ვინაიდან ამიერიდან მის მიერ წარმოებული პროდუქცია საკუთარი სამომხმარებლო თვისებებით უნდა შეესაბამებოდეს საუკეთესო სამამულო და საზღვარგარეთის ნიმუშებს, რომლის მოხმარებამაც უნდა უზრუნველყოს გარკვეული დონით /როგორც განივთებული, ისე ცოცხალი/ შრომის ეკონომია. ამ მიზანს ემსახურება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილებები, რომელთა მიხედვითაც ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა დაგეგმარების შემდგომი სრულყოფისათვის, საწარმოო სიმძლავრეების სრული ათვისებისა და კაპიტალდაბანდებების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, სამეურნეო ანგარიშიანობის განვითარებისა და ეკონომიკური ბერკეტებისა ია სტიმულების როლის გაძლიერებისათვის, რათა რაც შეიძლება მოკლე ვადაში გადაწყდეს სოციალურ-ეკონომიკური ამოცანები, მათ შორის ქვეყნის სასურსათო პროგრამის პრაქტიკული განხორციელება.

სამეურნეო მექანიზმის ბერკეტების გაძლიერებამ ფართო გასაქანი მისცა გაერთიანებათა /საწარმოთა/ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, რაც გა-

მოვლინდა როგორც დაგეგმარების, ისე მიღებული შედეგების განაწილებასა და გამოყენებაში მათი აქტიური ჩაბმით. ახლებურად აფასებენ რა მათი სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ფართო გასაქანს აძლევენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამრეწველო-ტექნიკური დანიშნულებისა და სახალხო მოხმარების საგნების მიხედვით კავშირების შესრულებაში. ამასთან ერთად მათი სამეურნეო საქმიანობის შეფასების ყურადღების ცენტრში მოექცა ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა შრომის ნაყოფიერების ამაღლება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, მოგების ზრდა და თვითღირებულების შემცირება.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუღალავი შრომით სამოცდაათიან წლებში ჩვენი ეკონომიკა საფუძვლიანად შემობრუნდა ინტენსიური განვითარებისაკენ, ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისაკენ, საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღწევისაკენ. ოთხმოციანი წლების მიზანია ამ ამოცანის, რომელიც პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის ღერძია, დადებითად გადაწყვეტა. სწორედ ეს ხაზია გატარებული სკკპ XXVI ყრილობის მასალებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებში და პარტიისა და მთავრობის სპეციალურ დადგენილებებში.

სამეურნეო მექანიზმის ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებად ის უნდა მივიჩნიოთ, რომ იგი მოითხოვს თეორიის, ეკონომიკური მეცნიერების განვითარებას, მის დაახლოებას სამეურნეო პრაქტიკის საჭიროებებთან, საზოგადოებრივი წარმოების პროცესების გარდაქმნათა გაანალიზებასა და სათანადო პრაქტიკული დასკვნების გამოტანას, რათა რაც უფრო ღრმაა საზოგადოებრივ პროცესებში გარდაქმნა, მით უფრო "უნდა გავაძლიეროთ მისდამი ინტერესი და შეგნებული დამოკიდებულება, დავარწმუნოთ ამ აუცილებლობაში ახალ-ახალი მილიონები და ათეული მილიონები"[1].

---

[1] ვ.ი.ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 612.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ სამეურნეო მექანიზმი, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის სახესხვაობა, დაფუძნებულია სოციალისტური საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონების ღრმამეცნიერულ ანალიზზე და თვითეული მათგანის შინაგანი ბუნებრივი თვისებების ახსნა-განმარტებაზე. ეს უკანასკნელი კი შესაძლებელია პოლიტიკური ეკონომიის, როგორც წარმოებითი ურთიერთობების მოძრაობისა და განვითარების კანონზომიერებათა შემსწავლელი მეცნიერების, თეორიულ საფუძვლებზე დაყრდნობით. პოლიტიკური ეკონომია და ეკონომიკური პოლიტიკა /და მასთან ერთად სამეურნეო მექანიზმი/ ერთიმეორის მიმართ ისეთ ურთიერთკავშირში იმყოფებიან, როგორც ბაზისი და ზედნაშენი. ე.ი. პოლიტიკური ეკონომია განსაზღვრავს ეკონომიკური პოლიტიკის /და მასთან ერთად სამეურნეო მექანიზმის/ ყველა მხარეს და ასაბუთებს მათი ფუნქციონირების ცალკეულ კონკრეტულ მეთოდსა და ფორმებს. ამიტომ იმ მოსაზრების გავრცელებამ, რომლის მიხედვითაც თითქოს პოლიტიკური ეკონომია უნდა სწავლობდეს როგორც ადამიანთა შორის მოქმედი წარმოებითი ურთიერთობების მოძრაობის კანონზომიერებებს, ისე ეკონომიკურ პოლიტიკასო[1], შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს პოლიტიკური ეკონომიის როგორც მეცნიერების შემდგომ განვითარებაზე და საერთოდ მის ისტორიულ ბედზე.

ჩვენი გაგებით, პოლიტიკური ეკონომია არის ეკონომიკური პოლიტიკის უშუალო თეორიული საფუძველი და, რა თქმა უნდა, ის სამეურნეო პოლიტიკაა ეკონომიკურად დასაბუთებული და მეცნიერულად გაანალიზებული, რომლის ყველა მომენტი განპირობებულია საზოგადოების განვითარების

---

[1] Л.И.Абалкин. Экономические законы социализма, М., 1971; его же _ Хозяйственный механизм развитого социалистического общества, М., 1973; его же – Экономическая роль социалистического государства, М., 1976 и др.

კანონზომიერებებით. ყოველივე ამას კი განსაზღვრავს პოლიტიკური ეკონომია, რომელიც წარმოდგება როგორც საზოგადოებრივი წარმოების ანატომია და რომელიც გვიჩვენებს მისი განვითარების ყველა ძირითად ნიუანსებს სოციალურ-ეკონომიკური მიმდინარეობაში.

ჯერ კიდევ 50-იანი წლების დასაწყისში ი. სტალინი მიუთითებდა, რომ პოლიტიკური ეკონომიის კანონების მოთხოვნათა გათვალისწინება შესაძლებლობას გვაძლევს სწორად წარვმართოთ საზოგადოებრივი წარმოება. ამასთან ერთად იგი აქვე გვაფრთხილებდა, რომ არ შეიძლება ერთმანეთში ავურიოთ შესაძლებლობა და სინამდვილე. " ... შესაძლებლობა რომ სინამდვილედ გადავაქციოთ, -ასკვნიდა იგი, -საჭიროა შევისწავლოთ მისი გამოყენება საქმის სრული ცოდნით, საჭიროა შევადგინოთ ისეთი გეგმები, რომლებიც მთლიანად ასახავენ ამ კანონის მოთხოვნებს"[1].

მართალია, დღისათვის ეკონომისტებიდან არავინ არ გამოდის ამ მითითებათა წინააღმდეგ, მაგრამ უმრავლესობა ცდილობს გათქვიფოს პოლიტიკური ეკონომია და ეკონომიკური პოლიტიკა ერთიმეორეში. ამას ისინი აღწევენ პოლიტიკური ეკონომიის ხასიათის მქონე მონოგრაფიების ეკონომიკური პოლიტიკით გადატვირთვის გზით, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ სარეკომენდაციო დებულებების ჩამოყალიბებით, რომლებიც საზოგადოებრივ წარმოებას ასახავენ არა დინამიურობაში, მისი მოძრაობის კანონზომიერებათა სისტემაში, არამედ სტატიკაში, ე. ი. სინამდვილეთა მოძრაობის მხოლოდ დღევანდელობის გათვალისწინებით, რასაც, რასაკვირველია, როგორც პოლიტიკური ეკონომიისათვის, ისე ეკონომიკური პოლიტიკისათვის /განსაკუთრებით სამეურნეო პრაქტიკისათვის/ არც თუ ისე დადებითი შედეგები მოაქვს. /ჩვენი აზრით, სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ეკონომიკური მეცნიერება ჩამორჩა საზოგადოებრივი წარმოების პრაქტიკულ განვითარებას/.

---

[1] იხ. ი. სტალინის დასახელებული შრომა, გვ. 9.

უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური ეკონომიისა და ეკონომიკური პოლიტიკის ურთიერთაღრევა შეიმჩნეოდა ჯერ კიდევ 50-იანი წლების დისკუსიამდელი პერიოდისათვის. ეს აზრი გარკვეული ფორმით ჩამოაყალიბა ლ. იაროშენკომ წერილში საკ. კპ/ბ/ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისადმი, რომელიც მან გაგზავნა 1952 წლის 20 მარტს. ამ წერილში მან პოლიტიკური ეკონომიის პრობლემები დაიყვანა საწარმოო ძალთა რაციონალური ორგანიზაციის პრობლემებამდე, ე. ი. პოლიტიკური ეკონომია მან შეცვალა საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციული ფორმით.

მაგრამ რა მოხდება რომ პოლიტიკური ეკონომია შევცვალოთ ეკონომიკური პოლიტიკით? მოხდება ის, რომ სამეურნეო საქმიანობაში გამეფდება სუბიექტივიზმი, ვოლუნტარიზმი და სოციალიზმისათვის უცხო მოვლენები, რის გამოც საზოგადოებრივი წარმოება დაკარგავს საკუთარი მოძრაობის ძირითად ორიენტაციას და ხელმძღვანელი ორგანოების ყოველი ცდა - გეგმაზომიერად წარმართონ იგი - ნაკლებად შედეგიანი იქნება. /სავალალოდ, 50-60-იანი წლების მიჯნაზე ასეთი მოვლენების გამრავლებამ გარკვეული ზიანი მიაყენა ჩვენი სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერ განვითარებას/. ჩვენი აზრით, ამ მიმართებით საკითხების განხილვა-გაანალიზებისას უნდა ვხელმძღვანელობდეთ ი. სტალინის მითითებებით, რომელიც, აკრიტიკებდა რა იაროშენკოს აზრს ორი სრულიად სხვადასხვა საგნის ერთმანეთში არევის შესახებ, წერდა: "პოლიტიკური ეკონომია სწავლობს ადამიანთა წარმოებით ურთიერთობათა განვითარების კანონებს. სამეურნეო პოლიტიკა აქედან აკეთებს პრაქტიკულ დასკვნებს, ახდენს მათ კონკრეტიზაციას და ამაზე აგებს თავის ყოველდღიურ მუშაობას. პოლიტიკური ეკონომიის სამეურნეო პოლიტიკის საკითხებით დატვირთვა იმას ნიშნავს, რომ დაღუპო იგი, როგორც მეცნიერება"[1].

პოლიტიკური ეკონომია არის მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და უნდა ითქვას, რომ საზოგადოების განვითარების მიმართუ-

[1] იხ. ი. სტალინის დასახელებული შრომა, გვ. 79.

ცებათა გაგებაში იგი მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. სკკპ XXV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: "მარქსიზმ-ლენინიზმი – ეს არის ერთადერთი სანდო საფუძველი სწორი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებისათვის. იგი გვაძლევს ისტორიული პერსპექტივის გაგებას, გვეხმარება მრავალი წლით ადრე განვსაზღვროთ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მიმართულება, სწორად გავერკვეთ საერთაშორისო მოვლენებში. მარქსიზმ-ლენინიზმის ძალაა მუდმივი შემოქმედებითი განვითარება. ამას გვასწავლიდა მარქსი. ამას გვასწავლიდა ლენინი. პარტია მუდამ მათი ანდერძის ერთგული იქნება"[1].

უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის XXVI ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის და 1982 წლის 24 მაისის დადგენილებებმა პოლიტიკური ეკონომიის წინაშე დააყენეს უდიდესი ამოცანები. მართალია, პოლიტიკური ეკონომიის შესწავლის საგანია წარმოებითი ურთიერთობების მოძრაობის სოციალურ-ეკონომიკური კანონზომიერებანი, მაგრამ იგი ამავე დროს შეისწავლის და გაანალიზებს მათ კონკრეტულ ფორმებშიც. ამიტომ დღეისათვის პოლიტიკური ეკონომიის წინაშე დგას მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები, – თვით სამეურნეო მექანიზმის არსის გარკვევა და მისი პრაქტიკაში გამოყენების ფორმებისა და მეთოდების ეკონომიკური დასაბუთება, სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების სისტემაში ეკონომიკურ მაჩვენებელთა ნორმატიულობის გაანალიზება, მისი შინაგანი ბუნების გამოვლინება და საერთო ურთიერთობათა სისტემაში ადგილის გამონახვა და როლის დასაბუთება.

რამდენადაც მომავალ ხუთწლედებში საზოგადოებრივი წარმოების პროცესები უნდა წარიმართოს საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგების გათვალისწინებით, იმდენად პოლიტიკური ეკონომიის წინაშე დგას ამოცანა არა მარტო ამ ეკონომიკური მაჩვენებლების გაანალიზების შესახებ, არამედ მასთან დაკავშირებული ეკონომიკური მაჩვენებლების შინაგანი ბუნების

---

[1] სკკპ XXV ყრილობის მასალები, გვ. 98.

გაგების შესახებაც. ამ ამოცანის დადებითად გადაწყვეტას ისიც ართულებს, რომ საბჭოთა სახალხო-სამეურნეო შედეგების ანგარიშში ითვლება მხოლოდ მაღალეფექტიანი პროდუქციის წარმოება, რომლის სამომხმარებლო თვისებები უნდა შეესაბამებოდეს სამამულო და საზღვარგარეთის საუკეთესო ნიმუშებს. ცხადია, ასეთი პროდუქციის წარმოება განაპირობებს საწარმოთა /გაერთიანებათა/ დაძაბულ შრომას, მისი ხარისხის ამაღლებას, საწარმოო კოლექტივის დარაზმულობას, სიფხიზლეს და სამეურნეო დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, რაც გარკვეულწილად ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის ეკონომიურ /ეფექტიან/ გამოყენებაზე.

რასაკვირველია, სოციალისტურწარმოებით ურთიერთობათა სისტემაში შრომის საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებს განსაკუთრებული ადგილი უკავია, მაგრამ პოლიტიკური ეკონომიისათვის დღესაც გადასაწყვეტია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მისი ფორმირება და გეგმიან ფასებში რაც შეიძლება სრული ასახვა. მაშასადამე, პოლიტიკური ეკონომიის მეტად მტკივნეულ საკითხთა შრომის გეგმიანი ფასების საფუძვლის მეცნიერული დასაბუთება არის უაღრესად რთული და ამავე დროს მეტად აქტუალური, ვინაიდან მასში, როგორც ფოკუსში, თავს იყრის ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და საზოგადოებრივ-ეკონომიკური პრობლემები.

რა თქმა უნდა, მოცემული საკითხების მეცნიერულ დონეზე გადაწყვეტა არის პოლიტიკური ეკონომიის ვალი, რომელზე დაყრდნობითაც სახელმწიფო შეიმუშავებს არა მარტო ეკონომიკური პოლიტიკის საერთო პრინციპებს, არამედ სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების თვალსაზრისით კონკრეტულ მეთოდებსა და ფორმებსაც. ამ გაგებით პოლიტიკური ეკონომია, როგორც მეცნიერება, არის ეკონომიკური პოლიტიკისა და მასთან ერთად სამეურნეო მექანიზმის თეორიული საფუძველი, რომელიც მდიდრდება და ღრმავდება თვით ეკონომიკური პოლიტიკისა და ამიტომ სამეურნეო მექანიზმის საერთოდ საზოგადოებრივი წარმოებისა და სახალხო მეურნეობის ცალკეულ საკითხთა ღრმამეცნიერული ანალიზის ნიადაგზე. კერძოდ, მატერიალური წარ-

მიება თავისი სიღრმისეული და სიგანისეული განზოგადებებით არის პოლიტიკური ეკონომიის კვლევა-ძიების საგანი.

ბუნებრივია, რომ წინამდებარე შრომაში გაანალიზებული საკითხები გადაწყვეტილია წარმოებითი ურთიერთობების შინაგანი ბუნების შემეცნების ნიადაგზე, რომელთა სისტემაშიც შეიმჩნევა პირველადი და მეორადი ურთიერთობები, ამოსავალი, საერთო და საყოველთაო კატეგორიები, არსისეული და გარდაქმნილი ფორმები საკუთარი კანონზომიერებებითა და მოძრაობის საკუთარი კანონებით. ყოველივე ამის შემეცნება არის ეკონომიკური ცნობიერების, ე.ი. საზოგადოებრივი წარმოების დიალექტიკურ წრეში კვლევა-ძიების შედეგი. ამ გაგებით მატერიალური წარმოება არის ადამიანთა საზოგადოების განვითარების მატერიალური საფუძველი, მისი საწყისი, ხოლო მის ნიადაგზე ადამიანთა შორის აღმოცენებული ურთიერთობები კი – ყველა სხვა სახის ურთიერთობათა საფუძველი, ბაზისი, რომელიც წარმოშობს და განავითარებს საკუთარი ბუნებისადმი შესაბამისი ხასიათის მქონე ზედნაშენურ ურთიერთობებს. ცხადია, წარმოებითი ურთიერთობების გაანალიზება მისი შინაგანი ბუნების ახსნა-განმარტება არის არა მარტო ეკონომიკური ცნობიერების საწყისი, არამედ ყველა სხვა სახის /პოლიტიკური, იურიდიული, რელიგიური და ა. შ./ ცნობიერებათა საყრდენიც, საიდანაც აღმოცენდება და ვითარდება ზედნაშენური ურთიერთობების შემეცნებითი გზები და მეთოდები.

ყოველივე ზემოთქმულიდან უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიაში სოციალიზმი ის საფეხურია, სადაც მისი თითოეული შრომისუნარიანი წევრი შეიარაღებულია ეკონომიკური კანონების მოქმედების შესახებ შესაბამისი ცოდნით და ამიტომ მისი სამეურნეო საქმიანობა ექვემდებარება საზოგადოებრივად წინასწარ გააზრებულ მიზანდასახულობას. ამ ურთიერთობათა სისტემაში ადამიანის მოქმედება ვლინდება როგორც შეცნობილი აუცილებლობა. სწორედ ამაშია სოციალიზმის უპირატესობა წინამდებარე საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებ-

თან შედარებით და, რა თქმა უნდა, მისი უპირატესობა უფრო შესამჩნევი და ძლიერი ხდება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პირობებში. ეს კი, როგორც წესი, არ არის თვითმოქმედი მექანიზმი. მისი მოქმედებისათვის აუცილებელია მთელი რიგი გარე ფაქტორების ჩარევა, რომელთა ზედაპირული ერთობლიობაც წარმოდგა სამეურნეო მექანიზმის სახით. ამიტომ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამ ფაქტორების გაძლიერება ნიშნავს არა მარტო სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერებას,

არამედ ამავე დროს იგი ნიშნავს ერთიანი საზოგადოებრივად განვითარებული ადამიანის მიზანსწრაფული მოძრაობის დაჩქარებას, რათა უფრო სრულყოფილად დაიკმაყოფილოს მან საკუთარი /საზოგადოებრივად აუცილებელი/ მოთხოვნილებანი.

Экономические законы и хозяйственный механизм

(Резюме)

В настоящее время в научной литературе большое внимание уделяется вопросам совершенствования хозяйственного механизма с целью повышения эффективности общественного производства и улучшения качества работы во всех звеньях народного хозяйства. Эти требования были поставлены Коммунистической партией и Советским правительством в известном постановлении от 12 июля 1979 года и в решениях XXVI съезда партии и майского (1982) Пленума ЦК КПСС.

Усиление воздействия хозяйственного механизма на процессы материального производства возможно лишь тогда, когда на основе глубокого научного исследования социалистического непосредственно общественного производства экономически обоснованы все стороны его функционирования. В этой системе особое внимание заслуживает вопрос о необходимости и возможности планомерного использования экономических законов нашего общества, которое является объективной основой последвотельного совершенствования самого хозяйственного механизма.

Исходя из этих предпосылок, в данной работе исследуются те вопросы, которые связаны с объяснением особенностей действия экономических законов и их отражение в хозяйственном механизме. Эта центральная задача решается автором на основе осмысления марксистско-ленинского экономического учения, решений и постановлений съездов партии и пленумов ЦК КПСС и специальных постановлений Советского правительства.

Руководствуясь методологией марксизма-ленинизма,возможность планомерного использования экономических законов автор видит в необходимости классификации по признакам и значению их действия,в результате которого по признакам они группируются как всеобщие (закон определяющей роли материального производства (примат), закон соответствия производственных отношений характеру и уровню развития производительных сил, закон определяющей роли отношений собственности внутри производственных отношений), общие (закон стоимости в условиях товарного производства и закон планомерного,пропорционального развития непосредственно общественного производства), специфические (основной экономический закон данной формации,закон свободной конкуренции в условиях домонополистического капитализма и закон монопольной конкуренции в условиях империализма,закон распределения по труду в условиях социализма,закон распределения по потребности в условиях полного коммунизма и т.д.), особого рода экономические законы,которые порождены крупным машинным производством и др.

По значению действия экономические законы классифицируются по следующим группам: I) законы развития общественно-экономической формации; 2) законы функционирования общественного производства. Экономические законы развития общества определяют целенаправленность движения общественного производства в целом (основной экономический закон ---> закон неуклонного роста производительности труда ---> закон социалистического накопления), форму движения (закон планомерного,пропорционального развития народного хозяйства ---> закон перспективного прогнозирования) и возможности этого движения (закон обязательного соответствия производственных отношений производительным силам).

Особенности действия экономических законов функционирования предопределены организацией социалистического труда (закон социалистического соревнования ⟶ закон товарищества и взаимопомощи ⟶ закон коммунистического отношения к труду), характером участия каждого члена общества в создании и распределении материальных благ (закон всеобщности труда ⟶ закон распределения по труду ⟶ закон материального стимулирования) и степенью участия трудящихся в управлении процессами общественного производства в целом (закон обеспечения всестороннего развития личности).

Возможность планомерного использования экономических законов обосновывается еще и тем, что последние (экономические законы) должны найти свое концентрированное отражение в экономической политике партии и правительства, а за одно и в хозяйственном механизме. Таким образом, объективная основа усиления воздействия хозяйственного механизма на процессы общественного производства заключена в необходимости познания экономических законов развития нашего общества в целом и функционирования материального производства в частности, а так же в возможности их сознательного, планомерного использования посредством более полного их отражения в самом хозяйственном механизме. Однако, по мнению автора, этим не завершается обоснование последнего, оно (обоснование) сопровождается еще и тем, что в хозяйственном механизме решающим является вооруженный экономическим знанием человек, труженик, главная производительная сила нашего общества. Именно целеустремленность, организованность и дисциплинированность трудового народа делают хозяйственный механизм более действенным, более гибким и более эффективным, что особо было отмечено ХХУ и ХХУI съездами нашей партии.

Исходя из этого,автор критически относится к мнению тех экономистов,которые хозяйственный механизм считают,с одной стороны,базисного,а с другой,базисно-надстроечного характера социально-экономическим явлением.В данной работе хозяйственный механизм представлен в качестве надстроечного явления,усиление воздействия на процессы общественного производства которого возможно лишь посредством активизации трудящихся во всех сферах общественной жизни нашей страны,ибо возможность превращения преимущественных основ социализма в действительность прежде всего зависит от целеустремленности,организованности и дисциплинированности трудового народа. В этом аспекте хозяйственный механизм представлен как объективный процесс перехода (превращения) базисных отношений в надстроечный,что предполагает и обратный процесс воздействия надстроечных на базисные.

Следовательно,хозяйственный механизм есть движение,усиление или ослабление которого зависит не только от степени развития экономической теории и активизации трудового народа,но и от зрелости объективного процесса взаимопревращения и взаимодействия базисных и надстроечных отношений.

სარჩევი

შესავალი 3

1. ეკონომიკური კანონები და მათი მოქმედების ხასიათი 7
2. ეკონომიკური კანონების შემეცნების ისტორიული ეტაპები 48
3. ეკონომიკური კანონების მოქმედების თავისებურებანი და მათი ასახვა სამეურნეო მექანიზმში 64
4. ეკონომიკური კანონების მოთხოვნები და მათი რეალიზაციის შესაძლებლობები 116
5. სამეურნეო მექანიზმის გაძლიერებისა და მეურნეობის მართვის ამოცანები 137

დასკვნა 159

რეზიუმე რუსულ ენაზე 166

გამომცემლობის რედაქტორი დ.ჯახია
კორექტორი ე.ხურცია

სბ 904
ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.09.83 უე 03941
საბეჭდი ქაღალდი№ 60X84 პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 10,75 სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 7,59 ტირაჟი 800 შეკვეთის №
ფასი 75 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი.ჭავჭავაძის პრ. 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И.Чавчавадзе,14

ЛП РВЦ ГКУ ГССР по. [illegible]
31603 т.800 УЭ 03941 1983 г.